C M Y K

საერთო გაზეთი

№20 (204) ● 25.IV.-1.V,2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.ge; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

politikuri partia `qarTuli ocneba _ demokratiuli saqarTvelos~ deklaracia

daiWers Tuara vano merabiSvili mixeil saakaSvils?

ლიბერალი ლოგოთქმაფანიძე:

qveyanaSi iseTi ubedureba trialebs, ar SeiZleba xalxi arCevnebis molodiniT SeviqcioT...

ISSN 2233-3983

9 772233 398001

მანანა კობახიძე:

mniSvnelovania, aramarto partiis dafuZneba, aramed koaliciis erToba, romelic erTi lideris garSemo Sedga

informacia pirvelwyarodan _

სერგო შამბას ვაჟი და არძინბას ქალიშვილი — სვეტა მართლა არიან გარეულნი ალექსანდრე ანქვაბზე განხორციელებულ ტერაქტებში?

ratom moikla Tavi teraqtebis orma monawilem?

ზაზა ბათიჩიგვილი:

aqamde konstitucia mxolod saakaSvilisTvis icvleboda. im drosac moveswariT, rodesac saakaSvili konstitucias ivaniSvilisTvis cvlis

ნინო ფანქველაშვილი:

„რატომ იღებდნენ ჩემი უბედური ქმრის წამებას, გამაგებინეთ, ან ახლა რაში დასჭირდათ ამ საშინელებების გახსენება?“

ნოდარ წულეისკირი – 80

80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და ერისკაცი ნოდარ წულეისკირი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ნოდარ!

ჩვენო საყვარელო და საამაყო კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა მოწიწების გრძნობით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ უმშვენიერეს წარმომადგენელსა და მეციხოვნეს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 80 წლისთავს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1959 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნეთ მოთხრობები: „მეპაპიროსე მოსე“, „ექვთიმეს ხე“, „ლუკა“... ამ დებიუტმა საქართველოს კიდევ ერთი უნიჭიერესი შემოქმედის დაბადება ამცნო, მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – მოთხრობები, ნოველები, რომანები, მხატვრული ნარკვევები, პუბლიცისტური სტატიები, კინოსცენარები, პიესები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად, იდგმება თეატრების სცენაზე...

თანამედროვე ქართული პროზის საგანძურში სრულიად დამსახურებულად დაიმკვიდრა საპატიო ადგილი თქვენმა ისეთმა რომანებმა, როგორიცა „თუთარჩელა“, „თეთრი მთა“, „ზესნახესა და ბუმგურიას სიყვარულის ამბავი“, „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“. დაიმკვიდრა იმიტომ, რომ თქვენი თითოეული ნაწარმოები მართლაც რომ ეროვნული სულისკვეთებითაა გამსჭვალული, თქვენი მწერლური ნიჭიერება, ტიპებისა და სახეების ძერწვის დიდი უნარი, დამაჯერებლობა,დიდი ადამიანური სიმართლე, ადამიანის სულის იდუმალ ხვეულებში წვდომის უნარი ამ რომანებს განუმეორებელ ხიბლსა და ანდამატს სძენს...

თქვენი პიესები წარმატებით დაიდგა ქართული თეატრების სცენაზე, თქვენი კინოსცენარების მიხედვით შეიქმნა უაღრესად მნიშვნელოვანი მხატვრული ფილმები: „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „საჰაერო ხიდი“, „მონანიება“.

თქვენი პუბლიცისტიკა, თქვენი მხატვრული ნარკვევები მუდამ მებრძოლი პათოსითა და შემართებით გამოირჩევა.

მართლაც რომ დიდ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით. სხვადასხვა დროს მუშაობდით საქართველოს ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა უფროს რედაქტორად, ჟურნალ „დილას“ რედაქტორის მოადგილედ, ჟურნალ „ცისკრის“ განყოფილების გამგედ, ჟურნალ „მნათობის“ პროზისა და კრიტიკის განყოფილებების რედაქტორად, საქართველოს კულტურის მინისტრად, ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორად და ყველგან საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს იცავდით, როგორც მისი ერთგული და ქედუხრელი გუშაგი. თქვენი ბოლო ნაბიჯიც შთამბეჭდავი გამოდგა – დიდი მიხეილ ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელს – წერაქვს მიაშურეთ და კიდევ ერთ დიდ საჯილდაო ქვას შეეჭიდეთ – ქართველი ბავშვების სულიერ ფორმირებას.

ქართულ ენას, ქართულ სიტყვას თქვენი სახით უებარი დამცველი ჰყავს. ვის-ვის და თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართული ენა ქართველ კაცსა ჰგავს – რაც თავი გვახსოვს, ხმალამოღებული ტრიალებს კავკასიაში და გააფთრებით იცავს თავს, მოედინება საუკუნეთა ლაბირინთებიდან და ჩვენამდე მოაქვს არნახული სამოთხისებრი სურნელი.

მწერალთა კავშირის უხუცეს წევრებს კარგად ახსოვთ თქვენი გამოსვლა საქართველოს მწერალთა კავშირში კონსტიტუციის პროექტის განხილვისას 1978 წლის 11 აპრილს. ეს გამოსვლა ცოტნე დადიანის სულიერი შთამომავლის გამოსვლა იყო, რომელმაც სულიერად შეგვძრა და აგვაფორიაქა.

ბატონო ნოდარ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს საყვარელ კოლეგას, ღვაწლმოსილ, ამაგდარ შემოქმედს, დღეგრძელობასა და მზეგრძელობას გისურვებთ მშობელი ქვეყნის სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჯემალ ინჯია – 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ჯემალ ინჯია. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო ჯემალ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ უღირსეულეს წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს.

თითქმის ექვსი ათეული წელია, რაც თქვენი მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი პოეზია, მუდმივი ძიებებისა და მიგნებების ტვიფარით რომ არის აღბეჭდილი, ხიბლავს ქართველი მკითხველის სულსა და გონებას და, ამავე დროს, სამშობლოსა და მშობელი ხალხის მსახურების ერთ ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს. თქვენი პირველი ლექსები ხომ 1955 წელს გამოქვეყნდა ალმანახ „ლიახვში“ და მყისვე მიიქცია საყოველთაო ყურადღება.

თქვენი პოეტური კრებულები: „ლიახვმა თქვა“, „კალენდარი“, „ლირიკული დღიური“, „სილუეტი“, „ლირიკა“, „თავთავები“ „ნამუსის ქუდი“, „ასი ლექსი სიყვარულზე“, „დავიწყებული ვალსები“, „სონეტების გვირგვინი“, „ასი ლექსი“, რჩეული ოთხტომეულის პირველი და მეორე ტომები და სხვა გამოირჩევა ვერსიფიკაციული მრავალფეროვნებით, ორიგინალური ხილვებით, სილაღითა და მელოდიურობით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თქვენ, ერთ-ერთმა პირველმა შექმენით ქართულ სინამდვილეში კლასიკური მოდელი ისეთი ურთულესი პოეტური ფორმისა, როგორიცაა სონეტების გვირგვინი. თქვენი ლექსების წარმატების საიდუმლო ისიცაა, რომ მათი ლირიკული გმირი ხალხის წიაღიდან ამოზრდილი ტრუბადურია მისი უბედური ქვეყნისა, რომელსაც ყველას გასკვირად დღემდე შემორჩენია გაწითლების უნარი, დღემდე სწამს ხარის რქებზე დანთებული სანთლის მადლისა და დაუძინებელი მტერია ადამიანის სახედაკარგული მატადორებისა, რომლებიც მის სათაყვანებელ სამშობლოს ზუსტად შუბლში უმიზნებენ დაშნას... კარგად მოეხსენება, რომ ყინწვისის ტაძრის ჩრდილად არ ღირს მთელი ამქვეყნიური დიდება, ამაოების ბაზართან დგას და საკუთარ ტკივილებს ყიდის, ტკივილებს, რომლებიც არც არავის სჭირდება და არც არავის აღარდებს...

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია უკრაინულ, ინგლისურ, ლიტვურ, უზბეკურ, რუსულ, სომხურ, ოსურ, რუმინულ, ფრანგულ ენებზე.

თავადაც ჩინებული მთარგმნელი ხართ. სწორედ თქვენი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი ა. ბლოკის, ვლ. მაიაკოვსკის, მ. ლუკონინის, ნ. ტიხონოვის, ს. მარშაკის, რ. ასაევის პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ღვაწლი, რომელიც დასდეთ სერგეი ესენინის ქართულად ამეტყველებას. მისი ლექსები თარგმნეთ პოეტის შემოქმედებითი თავისებურებების სრული გათვალისწინებით, განწყობილებათა და ინტონაციის ოსტატური დაცვით, მაღალი სალექსო კულტურით. ბოლო წლებში ქართველ მკითხველს პორტუგალიური პოეზიის კლასიკოსის ლუის დე კამოენსის მსოფლიო მნიშვნელობის რენესანსული ეპიკური შედევრი „ლუზიადები“ და სონეტები გააცანით. ორიოდე წლის წინ ცალკე წიგნად გამოეცით ლიტველ პოეტთა მცირე ანთოლოგია „ლიტვური პოეზიის გაზაფხული“...

დიდ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევით ათლეულების განმავლობაში. 1981 წლიდან თავკაცობთ ჩვენი სამწერლო ორგანიზაციის გორის განყოფილებას და ფასდაუდებელი წვლილი შეგაქვთ უმდიდრესი ლიტერატურულ-შემოქმედებითი ტრადიციების მქონე შიდა ქართლის წინსვლასა და განვითარებაში. სხვადასხვა დროს მუშაობდით გორის კულტურის საქალაქო განყოფილების გამგედ, გაზეთ „გამარჯვების“ განყოფილების გამგედ, შიდა ქართლში საქინფორმის საკუთარ კორესპონდენტად, გორის განათლების მუზეუმის დირექტორად, გაზეთების „ქართლისა“ და „ლიტერატურული გორის“, ჟურნალ „ქართლის“ მთავარ რედაქტორად. არჩეული იყავით მწერალთა კავშირის გამგეობისა და ჟურნალ „განთიადის“ სარედაქციო საბჭოს წევრად.

ღვაწლი და რუდუნება დაგიფასდათ. მონიჭებული გაქვთ გალაკტიონ ტაბიძისა და მწერალთა კავშირის პრემიები, დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით.

ჩვენო ჯემალ!

განგებამ ბოლო წლებში არაერთი განსაცდელი დაგატეხათ თავს. იობის მოთმინებით უძლებთ ამ ტკივილებს და მშობელი ქვეყნის გაბრწყინებას ელოდებით, კარგად იცით, რომ ქართველი მწერლისადმი ნასროლი თითოეული ტყვია თავის დროზე, აუქციონზე, ოქროს ფასად გაიყიდება, როგორც სიმბოლო ორგულობისა, გაუტანლობისა, საქვეყნო ინტერესების ფეხქვეშ გათელვისა...

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს საყვარელ ძმას და მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოს განცხადება

გასულ კვირას ქართულმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს, ეკატერინა ხვედელიძემ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გამოაქვეყნა ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფინანსებული პროექტების სია.

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ ბიძინა ივანიშვილის მეუღლეს, ეკატერინა ხვედელიძეს არ გააჩნია საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელში. ფეისბუქში არსებული პროფილები ყალბია და გახსნილია როგორც მის მხარდამჭერთა, ისე მოწინააღმდეგეთა მიერ. სწორედ ამიტომ, აღნიშნული გვერდები ემსახურება სრულიად გაურკვეველ პირთა ინტერესებს და ატარებს აშკარად გამოხატულ პროვოკაციულ ხასიათს.

როგორც ცნობილია, სოციალური ქსელის პოპულარიზაციასთან ერთად იზრდება ყალბი პროფილების რაოდენობა. ამიტომ, ვთხოვთ მედიის წარმომადგენლებს, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ნებისმიერი ინფორმაცია გადაამოწმოთ ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოსთან.

შეხვედრა უნგრეთის ელჩთან

ბიძინა ივანიშვილი დღეს უნგრეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, შანდორ საბოს შეხვდა. შანდორ საბოსმა ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკური პარტიის დაფუძნება პირადად მიულოცა და „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ დეკლარაცია მოიწონა. უნგრეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხითაც დაინტერესდა.

ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

waba r bacebu l i

რა სჭირს ამ ადამიანს, ვიღაცამ არ უნდა იკითხოს?

ბოლო დროს აშკარად ვერ არის კარგად, მაგრამ არავინ ინტერესდება, რა ჭირს და რით ვუშველოთ!

მახათას მთაზე ღვთისმშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსის გახსნაზე მისული ისე დაბარბაცდა, კინაღამ წაიქცა.

ხელის წამშველებელიც რომ არავინ გამოჩნდა, ესაა რომ მაგიჟებს.

კარგად რომ არის, მაშინ ყველა ერთბაშად რომ დაესევით ჩასაკცნად და ჩასაპროშნად, შეუძლოდ თუ გახდა, ზურგი უნდა შეაქციოთ, თქვე უღმერთოებო?

— ნასვამი არ იყოო, — იფიცებოდა მისი პრეს-სპიკერი.

თუ ნასვამი არ იყო, მაშინ რა დაეტაკა ამ დევივით კაცს და რამ აუკანკალა მუხლები?

ნასვამი გვეგონა და ეს გვქონდა ნუგეშად, ამან კიდევ სულ არ გადაგვიწურა წყალი?!

ერთი გურულის საფლავზე ასეთი ეპიტაფიაა: ხომ ვამბობდი: გლახათ ვარ, გლახათ ვარო, არ მიჯერებდით და აჰა...“

ბოლოს და ბოლოს დაიჯერეთ, რომ გლახათაა ეს კაცი და მიხედეთ ვინმემ.

პრეზიდენტობას არ მოუკვდა პატრონი? — მთავარია ჯანმრთელობა!

m r Ceve l i

ვალერი გელბახიანმა ნებაყოფლობით ბიძინა ივანიშვილის მრჩევლობა იკისრა.

ჯერ იყო, საზღვარგარეთიდან აგზავნიდა და აგზავნიდა ამ რჩევებს დასტა-დასტა, მაგრამ ადრესატს რომ ვერაფერი გაგონა, გადაწყვიტა საქართველოში ჩამოსულიყო, იქნებ ახლოდან მაინც შევასმინო რამე ამ დალოცვილს, თორემ საქმე ცუდადაა.

არც ამან გამოიღო შედეგი — ივანიშვილი მაინც თავის გზაზე მიდის და გელბახიანის შეგონებებისა არაფერი ეყურება.

გელბახიანი მაინც ვერ ისვენებს და უკაპიკოდ, უჰონორაროდ, უყველაფროდ ახალ-ახალ ბრძნულ რჩევებს უგზავნის ივანიშვილს მაინცდამაინც იმ გაზეთის დახმარებით, რომელსაც ივანიშვილი კატეგორიულად არ კითხულობს.

— თუ გინდა დიდხანს იცოცხლო, საკუთარი ჭკუით იცხოვრე, — ამბობს ერთი ჩინელი ფილოსოფოსი.

ივანიშვილი ჩინური ფილოსოფიითაა გატაცებული...

მართალია, ივანიშვილი და გელბახიანი ორივენი საჩხერლები არიან, მაგრამ მათ შორის განსხვავება მაინც დიდია. ივანიშვილს, როგორც ვთქვით, ჩინური ფილოსოფია უყვარს, გელბახიანს — სხვებისთვის რჩევის მიცემა...

qar Tve l i mata har i

არის ერთი ქალი — შეგზავნილების თემაზე მუშაობს მხოლოდ და მხოლოდ.

ყველაფერი იცის — ვინ სად შეაგზავნეს, რატომ და რისთვის შეაგზავნეს და ა.შ.

ყველაფერი იცის და ყველაფერი ახსოვს — ათი წლის წინათ ამან იმას რა უთხრა და იმან ამას რა უპასუხაო, რომ ჰკითხო, სხაპასხუპით ჩამოგითვლის.

დეტალ-დეტალ, მისხალ-მისხალ აქვს ყველაფერი აღნუსხული თავის ჯადოსნურ ბლოკნოტში.

შენ ოღონდ თარიღი უთხარი, პიროვნება დაუსახელე, გადაშლის ბლოკნოტს და ზუსტად გეტყვის ესა და ეს პიროვნება ამა და ამ დროს ვისთან იყო და რას აკეთებდა.

მატა ჰარი ამასთან შედარებით ერთი ტინგიცა გოგო იყო.

ეს ძალიან სერიოზული ვინმეა განსაკუთრებით შეგზავნილების, ჯაშუშების და ადგილობრივი მნიშვნელობის აგენტურული ქსელის საკითხებში.

— სხვების შეგზავნა-შემოგზავნაზე რომ ლაპარაკობ სულ, შენ ვისი შემოგზავნილი ხარ, ქალბატონო? ათი თუ თხუთმეტი წლის წინანდელი ამბები ბლოკნოტში რომ გაქვს ჩამოწიკწიკებული? — ჰკითხა ერთმა.

ამ უბრალო და მარტივ კითხვაზე შეგზავნა-შემოგზავნის უბადლო მკლევარს და სპეციალისტს, ჯერ-ჯერობით, პასუხი არ აქვს.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

mniSvnelovania, aramarto partiis dafuZneba, aramed koaliciiserTobaromelicerTi lideris garSemo Sedga

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის დღიდან საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდა ბიძინა ივანიშვილის პარტიის დაფუძნებას. 21 აპრილს პარტიის „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარედ უფლებადამცველი და მოქმედი ადვოკატი მანანა კობახიძე დაინიშნა.

— როგორ შეეგუეთ პარტიულ რეჟიმში მუშაობას?

— ეს რეჟიმი ჩემთვის უცხო არაა, მთელი ცხოვრება დაძაბული სამუშაო რეჟიმი მქონდა. საქმე ყოველთვის მოითხოვს პასუ-

ხისმგებლობას, ეს საქმე კი - განსაკუთრებულია და შესაბამისად, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

— ქალბატონო მანანა, არჩევნებამდე ცოტა დროა დარჩენილი. რა არის პარტიის პროგამა- მინიმუმი? რა ნაბიჯებს უნდა ელოდოს საზოგადოება ახლადშექმნილი პარტიისაგან პირველ ეტაპზე?

— მოგეხსენებათ, შაბათს, 21 აპრილს დავაფუძნეთ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ”ქართული ოცნება”. ამ კვირაში იუსტიციის სამინისტროს პარტიის რეგისტრაციისთვის წარედგინება შესაბამისი დოკუმენტები. დღეს შეიკრიბა პოლიტიკური საბჭო, ჩატარდა პირველი სხდომა, რომელზეც განისაზღვრა წევრთა თანამდებობები და ფუნქციები, ავირჩიეთ 4 მდივანი : პოლიტიკური- სოზარ სუბარი, საერთაშორისო — თედო ჯაფარიძე, აღმასრულებელი — ნოდარ ხადური, ხოლო რეგიონული — გელა ხვედელიძე. დღეისათვის გვაქვს მნიშვნელოვანი ეტაპი სამოქმედო გეგმის შემუშავება, დებულების დამტკიცება. პარტიის სტრუქტურული მშენებლობა თვეების მანძილზე მიმდინარეობდა, დიდი სამუშაო იქნა ჩატარებული, ძალიან მალე მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველგან იქნება ოფისები.

რთული პერიოდია, ცოტა დროა არჩევნებამდე, ჩვენ კი ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხებისა, გადასაწყვეტია. ”ქართული ოცნება” პოლიტიკური კოალიციის წევრია, შესაბამისად, საარჩევნო სტრატეგია და აქტივობები ერთობლივად განხორციელდება. ამდენად, პოლიტიკურ საბჭოს, რომელიც აღმასრულებელი ორგანოა, წესდებით დაკისრებული სამუშაოების განხოციელება ყოველ წუთსა და საათს მოუწევს.

— რატომ არ ესწრებოდა ყრილობას „ეროვნული ფორუმი”?

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კახა შარტავა და გუბაზ სანიკიძე არ იმყოფებოდნენ თბილისში და მხოლოდ ამიტომ ვერ დაესწრნენ ყრილობას. ”ფორუმი” კოალიციის სრულუფლებიანი წევრია, მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია ძალაა.

— ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე ბატონმა ბიძინამ გაანაცხადა, რომ პარტიის პოლიტიკურ საბჭოში სუფთა წარსულის მქონე ადამიანები გაერთიანდნენ. საზოგადოებაში ნამდვილად არის დაკვეთა ზნეობრივ პოლიტიკოსებზე. როგორ ფიქრობთ, რა შედეგი მიიღო თავად ივანიშვილმა ოქტომბრიდან დღემდე?

— მნიშვნელოვანია არა მარტო პარტიის დაფუძნება, ასევე კოალიციური ერთობა, რომელიც ერთი ლიდერის გარშემო შედგა. რეალურად განისაზღვრა იმ ძალების შემადგენლობა, რომელნიც ხელისუფლების წინააღმდეგ სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. უამრავ ადამიანს ვხვდებით და ისინის სწორედ ბატონი ბიძინას გამო არიან აქტიურები და მზად არიან, საკუთარი რესურსი გაიღონ არჩევნებში გამარჯვებისათვის. კოალიციაში შემავალ ყველა სუბიექტს, თითოეულ წევრს, ცხადად აქვს გათავისებული მიზანი და მისი მიღწევის საშუალებები, პრინციპები, თუ რა ფორმით უნდა ვიმოქმედოთ, რათა ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებული არასწორი პოლიტიკის შედეგად მიღებული მძიმე მდგომარეობა გამოსწორდეს მშვიდობიანად და მხოლოდ არჩევნების გზით.

— ბრიფინგზე ბატონმა ბიძინამ წარადგინა დარეჯან პატაშური, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული კაპრალ ტატუაშვილის დედაა. ქალბატონი და მისი შვილები „ქართული ოცნების” მხარდაჭერის გამო ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან ფსიქოლოგიურ ზეწოლას, დევნას, მუქარას, თვალთვალს განიცდიან. რამდენად მოსალოდნელია მხარდამჭერების მიმართ ზეწოლის გაგრძელება და რა პრევენციულ ღონისძიებებს სთავაზობს ”ქართული ოცნება” საკუთარ მხარდამჭერებს?

— ჩვენ მზად ვართ, რომ ყველანაირი დახმარება გავუწიოთ მათ - იურიდიული ან სხვა ფორმით. ადამიანს რომ პოლიტიკური აქტივობის და შეხედულების გამო უმუშევარს დატოვებ, უზნეობაა. ასეთი ადამიანები არ დარჩებიან მხარდაჭერის გარეშე. პოლიტიკური სიმპატიის გამოხატვის გამო მოქალაქეების შევიწროვების ფაქტები მიეწოდება საერთაშორისო ორგანიზაციებს, ამ მასალებში ასახული იქნება ის, თუ რეალურად ვის და რატომ სდევნიან ქვეყანაში. ასევე ამუშავდება ყველა ის სამართლებრივი მექანიზმი, რაც დაიცავს ამ ადამიანებს. ხალხს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ დაცულია იმ ძალის მიერ, რომელსაც აქვს პრეტენზია, სამართლიანი არჩევნების გზით მოვიდეს ხელისუფლებაში.

— ბევრს საუბრობენ სიებში ”მკვდარი სულების”, ერთ საცხოვრებელ მისამართზე დამატებითი ადამიანების მიწერის შესახებ, ასევე ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეების ხმების ”განკარგვის” შესახებ. რა მეთოდით აპირებთ საარჩევნო სიების დაზუსტებას ?

— კოალიციას აქვს კონკრეტული სამოქმედო გეგმა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიების კონტროლის მექანიზმს, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ რისკები არასწორი მონაცემების გამო, სწორედ ამაშია ჩვენი, ”ქართული ’ოცნების” ძალა, რომ მარტო არ ვართ. კოალიცია - იყო ივანიშვილის მხრიდან გონივრული გადაწყვეტილება, მას თავისუფლად შეეძლო ცალკე, საკუთარი პარტია შეექმნა, ჰყოლოდა ათასობით მხარდამჭერი. მან არ მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, სადაც მარტო იმოქმედებდა.დღეს ივანიშვილი პროგრესულ პოლიტიკურ ძალებთან კოალიციაშია.

— თუმცა კოალიცია, ერთგვარად, ეკლექტური გაერთიანებაა. დღეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში იდეოლოგიური ჭიდილია. ლიბერალიზმი არ გამორიცხავს ეროვნულობას? რა უფრო ახლოსაა კონკრეტულად” ქართული ოცნებისათვის”?

— ეს არის გაერთიანება, რომელსაც აქვს საერთო შეთანხმება პრინციპებსა და ღირებულებებზე. კოალიციაში შემავალი პარტიების იდეოლოგიური განსხვავება არ ნიშნავს იმას, რომ მათ ღირებულებები და პრინციპები არ აერთიანებთ. დეკლარაციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, ყველაფერი, რაც დღეს ქართველ კაცს, ქვეყანას აწუხებს. იყო მსჯელობა, მიზანშეწონილი იყო თუ არა დეკლარაციაში პრობლემებზე საუბარი, მაგრამ საბოლოოდ, დაფიქსირდა — როგორი ქვეყანა გვაქვს და როგორი გვინდა. 20 წელია ვაშენებთ ქვეყანას და დემოკრატიას, მაგრამ ვერ ავაშენეთ. გვინდა. ქვეყნის მთავარი ორიენტირების ამოსავალი ადამიანის უფლებებია. სოციალურ სოლიდარობაზე დამყარებული ქვეყანა გვინდა. დღეს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე რამდენიმე ოჯახისათვისაა განკუთვნილი, ქვეყნის ძირითადი მასა კი სიღატაკის ზღვარზე იმყოფება. ადამიანების უდიდესი ნაწილი დაუცველია სოციალურად, უფლებრივად... ბევრ მათგანს სკოლაში ვერ დაჰყავს შვილი, არაფერს არ ვამბობ ჯანდაცვაზე...

დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შენება და მიღწევა შეიძლება ნაციონალურ მობრაობასაც უწერია წესდებაში, მაგრამ რაც მივიღეთ, კი ვხედავთ. აქ ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ უდგას სათავეში პროცესებს, პიროვნებათა პოტენციალი განსხვავებულია.

— დღეისათვის ბატონი ბიძინას მოქალაქეობის საკითხმა ნახევარი წლით გადაიწია. კოალიციის წევრების განცხადებით, არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ივანიშვილს 2 კვირაში დაუბრუნდება მოქალაქეობა. რა გაძლევთ იმის გარანტიას, რომ დარწმუნებული იყოთ გამარჯვებაში?

— ხელისუფლებამ კანონით და კონსტიტუციით მანიპულირება მოიფიქრა. სამართლებრივად უარი განაცხადა რა მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე სასამართლო დავაზე, ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მინიჭებაზე და მხოლოდ ერთი გზა დაიტოვა — მიიღოს კონსტიტუციური ცვლილება, რათა ბიძინა ივანიშვილი ჩაერთოს პოლიტიკურ პროცესებში. კოალიცია თანხმდება, რომ კერძო ადამიანების გამო კონსტიტუციაში ცვლილებები დაუშვებელია, ვაპროტესტებთ იმ უზნეობას, როცა ქვეყნის უზენაეს კანონს შეიძლება ასე მოექცე. ეს ნიშნავს იმას, რომ კანონი არ კანონობს და მხოლოდ პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად არსებობს. საერთაშორისო საზოგადოებამ დაინახა ყველაფერი და შესაბამის რეაქციასაც ველოდებით.

— თუმცა, ხელისუფლების განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხის მოუგვარებლობა მისი იურისტების არაკომპეტენტურობას ბრალდება...

— ბრძანებულება, რომელიც პიროვნებას ანიჭებს უფლებას ნატურალიზაციის გზით მიიღოს მოქალაქეობა, შეიცავს დანართს, სადაც მკაფიოდ არის მითითებული, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეობის დატოვებას აპირებს პირი მას შემდეგ, რაც საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს. ევროკავშირი საკუთარ მოქალაქეს არ ტოვებს მოქალაქეობის გარეშე, ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისთანავე ავტომატურად შუწყდებოდა საფრანგეთის მოქალაქეობა.მას გაცხადებული აქვს, რომ არ სურს ორმაგი მოქალაქეობა და შესაბამისაც არც მიმართა იმ ადამიანს, რომელმაც მას მოქალაქეობა ურცხვად, არასამართლებრივად, საკუთარი ნება-სურვილით ჩამოართვა.ამასთან, ივანიშვილმა მოქალაქეობის ნატურალიზაციის გზით მოთხოვნისას დაიცვა ყველა ის პროცედურა, რაც გაწერილი იყო კანონით. თუკი ხარვეზი იყო, რეესტრი ვალდებული იყო, დოკუმენტაციის წარდგენისთანავე შეეტყობინებინა მისთვის ამის შესახებ. ამისთვის არ იყო საჭირო 3 თვე. ამით 6 თვით დაბლოკეს ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხი. ხელისუფლებას ამ მეთოდით სურდა პოლიტიკური ველიდან ივანიშვილის მოცილება, თუმცა ეს ფაქტი საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სერიოზული განსჯის საგანი გახდა. თუკი კონსტიტუციაში შევა ცვლილებები, ივანიშვილი ამ მოცემულობით ისარგებლებს.

ნინო ფირცხალავა

aqamde konstitucia mxolod saakaSvilisTvis icvleboda. im drosac moveswariT, rodesac saakaSvili konstitucias biZina ivaniSvilisTvis cvlis

გვესაუბრება ფილოსოფოსი
ზაზა შათირიშვილი

— ზაზა, 21 აპრილს ბიძინა ივანიშვილის პარტია დაფუძნდა, რომელსაც სათავეში მანანა კობახიძე ჩაუდგა. როგორ ფიქრობთ, როგორ განვითარდება მოვლენები?

— ექვსთვიანი პროცესი გარკვეულ ფაზაში შევიდა. ამაში გარკვეული ლოგიკა არსებობს. გარკვეული ტიპის მოულოდნელობა, ალბათ პარტიის თავმჯდომარის არჩევას უკავშირდება. თუმცა, მიუხედავად საზოგადოების რეაქციისა, ამას თავისი პლიუსები აქვს. გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი — უპირველეს ყოვლისა, ეს თანამედროვე სიტუაციიდან გამომდინარეობს, როცა ქალის როლი საკმაოდ გაზრდილია. იურისტი, უფლებადამცველიც თანამედროვე კონიუნქტურის თვალთახედვიდან, პოლიტიკურად სრულიად კორექტული ნაბიჯია. მოგვწონს თუ არა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ თუ გვინდა დასავლური კონტექსტის ნაწილი ვიყოთ, ამ მხრივ, ეს მისაღებია. პროცესი ახალ ფაზაში გადავიდა, ვგულისხმობ, სტრუქტურების ჩამოყალიბებას, რაც აქამდე შეიძლება ცოტა გაფანტული იყო. დღეს პოლიტიკაში ასეა, ესაა ფორმაა არჩევნებში მონაწილეობის.

— მაგრამ როგორ გესახებათ პარტიული სტრუქტურის ჩამოყალიბება ამ ახალი პოლიტიკური გუნდის ფონზე? ივანიშვილის პარტიის არცერთი წევრი პოლიტიკოსი არ არის, ეს პრობლემებს არ შექმნის?

— ბოლო დროს ხშირად მსმენია, პოლიტიკას ახალი სისხლის გადასხმა სჭირდება, ახალი სახეებია საჭიროო. ხოდა ჩვენც ვნახოთ, რის გაკეთებას შეძლებენ ეს ნაკლებად ცნობილი სახეები.

აქამდე კონსტიტუცია მხოლოდ საკაშვილისთვის იცვლებოდა. იმ დროსაც მოვესწარით, როდესაც საკაშვილი კონსტიტუციას ბიძინა ივანიშვილისთვის ცვლის. მეორე მომენტია, რამდენად სწორია ეს, მაგრამ ერთი რამ უნდა ვაღიაროთ — გამოვიდეთ რეალობიდან და არა იურიდიული ფეტიშიზმიდან. ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუცია ნამდვილად არ ასრულებს იმ როლს, რასაც აშშ ან საფრანგეთში. საქართველოში კონსტიტუცია თავისთვისაა, ჩვენ — ჩვენთვის. მნიშვნელოვანია ერთი რამ — ხელისუფლების მხრიდან უკან დახევის მომენტი. მაგალითად, გაიტაცეს „ქართუ ბანკის“ ფული და როგორ უკანონოდაც წაიღეს, ასევე უკანონოდ დააბრუნეს უკან. ეს ხომ არის საინტერესო. ანუ, ბოლო 4-5 თვეა თვალს ვადევნებთ ისეთი ტიპის უკან დახევებს, რაც ხელისუფლებას აქამდე არ ახასიათებდა. როგორც თავად საკაშვილი იტყოდა, პირველად ხდება საქართველოში ის, რომ ნაც. მოძრაობა აშკარად უკან იხევს. ტენდენცია სახეზეა, რაც ჩემი აზრით, რამდენიმე თვეში კიდევ უფრო გაძლიერდება.

— ბატონი ბიძინა აცხადებს, რომ ხელისუფლებაში საკონსტიტუციო უმრავლესობით მოვა მაგრამ, როგორ ფიქრობთ, ამ გუნდით, რაც მან საზოგადოებას 21 აპრილს წარუდგინა, ეს შესაძლებელია?!

— პოლიტიკოსისგან, ხელისუფლების წარმომადგენლისგან ძალიან მინიმალურს მოვითხოვ — მოქალაქეებს არ შეგვეხოს, ანუ ხალხს მუშაობის, მოქმედების საშუალება მიეცეს. საკაშვილის ხელისუფლების მთელი პრობლემა სწორედ ისაა, რომ ხალხს მოქმედების საშუალებას არ აძლევენ. აქედან გამომდინარე, მათ ვერ უწოდებთ ვერც ლიბერალურს, ვერც ლიბერტარიანულს, ვერც ნეოლიბერალურს. როდესაც ქართულ რეალობაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს თემა, რომელიც უმნიშვნელოვანესია — ესაა სამართლებრივი სივრცისა და ძალაუფლების ერთიმეორისაგან აცდენა. გავიხსენოთ, მმართველი პარტიის რამდენიმე წლის წინანდელი ლოზუნგი — მოდერნიზაცია

დემოკრატიის გარეშე, რაც არანაირ სტანდარტში არ ჯდება. მეორე მხრივ, მათი მხრიდან დეკლარირებულია, რომ ახალ ქვეყანას აკეთებენ და ტემპი იმდენად სწრაფი უნდა იყოს, რომ დემოკრატიისთვის დრო არ რჩება. სწორედ ამან მიგვიყვანა იმ კოლაფსამდე, რაშიც ახლა ვიმყოფებით.

— ივანიშვილის გუნდის ხედვა როგორია?

— პირველი, რასაც ივანიშვილი გააკეთებს ბიზნესის გათავისუფლებაა სახელმწიფოსგან, ესაა მთავარი. ჩვენ კლასიკურ ოლიგარქიაში ვართ, სადაც, ფაქტობრივად ბიზნესი და ხელისუფლება ერთი და იგივეა. აქედან გამომდინარე ივანიშვილის წინაშე სერიოზული ამოცანა დგას — მან უნდა დაარწმუნოს ამომრჩეველი, რომ სწორი ხედვა აქვს და მეორე — დაარწმუნოს, საზოგადოება რომ მას ამის გაკეთება შეუძლია.

ივანიშვილი, როდესაც პოლიტიკურ სივრცეში შემოვიდა, ძალიან დიდი მოლოდინი გაჩნდა. ყველა ჯგუფს, განსხვავებული მოლოდინი აქვს. რაღაც ეტაპზე, ივანიშვილი ამ მოლოდინის აკუმულირებას ახდენდა, მაგრამ პოლიტიკურ პროცესში შესვლა, ყველაფერთან ერთად, გარკვეული ტიპის შეზღუდვას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, თუ იგი თავიდან ყველასი იყო, ახლა მთლად ყველასი ვეღარ არის, თუმცა მან არსებული პოლიტიკოსების საკმაოდ ფართო სპექტრი მოიცვა. მეორე მომენტია, რა დამოკიდებულება გვაქვს ამ პროცესებისადმი. თუმცა, შარშან ზაფხულიდან მოყოლებული ოპოზიციონერი პოლიტიკოსების ნდობის ფაქტორი ძალიან სერიოზულად დაეცა. გარკვეული აზრით, ალბათ ამანაც გამოიწვია ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლა.

— ქვეყანაში დაძაბული ვითარებაა, არავინ იცის ბომბი როდის აფეთქდება. რისი იმედი შეიძლება გვქონდეს?

— რამდენიმე ფაქტორია, რისი იმედიც ყველას გვაქვს: პირველი — ესაა ვაშინგტონი, რაც რეალურია. ბოლო დროს ხელისუფლებამ დამოუკიდებლობაზე დაიწყო საუბარი და თქვა, რომ მათ საქმეებში ვაშინგტონი ვერ ჩაერევა. სინამდვილეში, ეს ასე არაა — ვაშინგტონი ჩაერევა და უნდა ვთქვა, რომ ძალიან კარგი რომ ამ სიტუაციაში ჩარევა შეუძლია. ზოგადად, შეიძლება ქვეყანა დამოუკიდებელი უნდა იყოს. მაგრამ ვაშინგტონი არის ერთი ფაქტორი, რის გამოც სამოქალაქო ომი, დაპირისპირება არ მოხდება. ხელისუფლება დღეს ანგარიშს ვაშინგტონს უწევს. ასეთია ორნამენტული, მცირე ქვეყნების ხვედრი. მეორე, რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ ასეთ სიტუაციაში? — საზოგადოება საკმაოდ არაერთგვაროვანია. ადამიანები უფრო აქტიურები უნდა გახდნენ და პროცესებში ჩაერთონ. გარკვეული აზრით, ეს ბრძოლაა სიკვდილ-სიცოცხლეზე. ნაც. მოძრაობა ერთიანი სტრუქტურაა, რომელიც სხვადასხვა ნაწილებისგან შედგება. „კომედი შოუ“ ბიჭებიც ერთ-ერთი ნაწილთაგანია. ივანიშვილთან რამდენიმე მსახიობი კი არა, ხელისუფლების იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები გადავიდნენ. აქედან გამომდინარე მათგან ივანიშვილის გუნდში გადასვლა, დალატად აღიქმება. ეს გასაგებია. დავაკვირდეთ ხელისუფლების დამოკიდებულებას ტრამპისადმი, ეს არაა შემთხვევითი. ოლიგარქიული რეჟიმისთვის ბიზნესმენის ჩამოსვლა ისე აღიქმება, როგორც საბჭოთა კავშირში ზავხოზის ჩამოსვლა იყო. ასე, რომ ვართ ფაზაში, რომელსაც ლევან რამიშვილმა ძალიან ზუსტად ცივი სამოქალაქო ომი უწოდა. ხელისუფლების წარმომადგენლების, იგივე რამიშვილის აზრით ხელისუფლება — ესაა პროგრესი, მომავალი, ხოლო ივანიშვილი და მისი გუნდი — ჩამორჩენილობა. გარეშე თვალით თუ შევხედავთ ივანიშვილსა და საკაშვილს შორის დაპირისპირება, ესაა რადიკალიზმსა და ზომიერებას შორის დაპირისპირება. დღეს, ქვეყანას ზომიერება როგორც არასდროს ისე სჭირდება. უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობ შემდეგს — როცა რეფორმებს ახორციელებ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დროში გაწერას. ხელისუფლების ბევრი შეცდომა იმან გამოიწვია, რომ ისინი ერთ თვეში აკეთებდნენ იმას, რასაც გაცილებით მეტი დრო სჭირდება. ვთქვათ, ერთ თვეში ააშენეს სახლი, ანაკლიის ხიდი, რომლებიც ჩამოინგრა და ა.შ. მაგალითად, განათლების რეფორმა არ კეთდება ერთ წელიწადში. ლატვიაში ამ პროცესმა 15 წელს გასტანა ანუ გარეშე დამკვირვებლისთვის დაპირისპირება მიდის საღ აზრსა — ბიძინა ვანიშვილსა და საღი აზრისგან გადაცდომას — საკაშვილს შორის. ასე, რომ ეს არ არის დაპირისპირება პროგრესსა და რეგრესს შორის.

— ზაზა, როგორ ფიქრობთ, ამ ორ გუნდს შორის კი არა, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ხომ არ არის რეალური დაპირისპირება?

—ხშირ შემთხვევაში თავად ხელისუფლების წარმომადგენლებიც აღნიშნავენ, რომ საკაშვილი უფრო წინაა, ვიდრე საზოგადოება. ხალხი ქსენოფობია და უნდა გაიზარდოსო — თვლიან ისინი. მაგრამ პრობლემა იცით რა არის ვინ უნდა გაზარდოს ხალხი? — ნაციონალი მიხეილ თავხელიძე, რომელსაც თავად სჭირდება სერიოზული აღზრდა, განათლება ხომ ვერ გაზრდის ამ ხალხს?! იგივე ითქმის დანარჩენებზეც. ესაა სერიოზული პრობლემა — არის ელიტიზმი, მაგრამ ელიტის არანაირი უნარ-ჩვევები ამ „ელიტას“ არ აქვს. თუ დეკლარირებულ ღირებულებებზეა საუბარი, ერთია, როცა დეკლარირებული გაქვს მულტიკულტურისტობა — გიყვარს სომხები, აზერბაიჯანელები და მეორეა — როცა აზერბაიჯანელ საქართველოს მოქალაქეებს დათესილ, მოხნულ მინდვრებს ართმევ. ეს არის ტოლერანტობა? ესაა პრობლემა, რაღაც დეკლარირებულია ქაღალდზე, მაგრამ სინამდვილეში რიგ სიტუაციებში ქართველი მოქალაქე აბსოლუტურად დაუცველია. უბრალოდ ფსიქოლოგიურად მოსახლეობისა და ხელისუფლების ფსიქოტიპს შორის უამრავი აცდენაა. არის ბევრი რამ, მაგალითად განათლების სფეროში, რაც გამოსასწორებელ, გასასწორებელი ან თავიდან გასაკეთებელია. შევარდნაძის დროს ამბობდნენ, რეფორმები სათანადო ტემპით არ მიმდინარეობს და უარეს შედეგებს ვიღებთო. მაგრამ, მედალს მეორე მხარეც აქვს — როცა 9 თვიანი პროცესის დასრულება 1 თვეში გინდა, არც მაშინ გამოდის არაფერი. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ივანიშვილი გადახრილ ქანქარას ასწორებს. ის, რომ საკაშვილი ჩაატარებს არჩევნებს და თუ ის მასში დამარცხდება — ეს იქნება ყველაზე დიდი რეფორმა. მაშინ. „ვარდების რევოლუცია“ გაიმარჯვებს და საკაშვილის დამარცხება, მისი ყველაზე დიდი გამარჯვება იქნება.

მაგრამ ქვეყანა დღეს და ახლაა საშველი. ოპოზიცია გვპირდება არჩევნების მერე მოვალთ და ამას და ამას გაგიკეთებთო, მაგრამ საზოგადოებას ლოდინის დრო აღარ აქვს, პრეზიდენტი აბსოლუტურად არაადეკვატურია და კაცმა არ იცის ოქტომბრის არჩევნებამდე რას გადაგვყრის.

მნიშვნელოვანია ერთი რამ — საქართველოს ნაწილი დღეს რუსეთის პროტექტორატის ქვეშაა, მეორე ნაწილი — ამერიკის. ეს რეალობაა. აქ დგება პრო-დასავლურობისა და პრო-რუსულობის საკითხი, რომელიც ყალბი არჩევანია. არჩევანი შემდეგია — ან ჩაატარებ არჩევნებს და დასავლური სივრცის ნაწილი გახდები, ან დარჩება აქ ნაც. მოძრაობა და ევრაზიული სივრცის ნაწილი იქნება. ევრაზიულ სივრცეში ყოფნა რუსეთთან დაძმაკაცებას სულაც არ ნიშნავს. თუ აქ ზუსტად ისე იქცევი, როგორც პუტინი, მაშინ ევრაზიული სივრცე ხარ და რუსეთს სულაც არ სჭირდება შენი ოკუპირება იმიტომ, რომ უკვე რუსეთი ხარ. როდესაც პრეზიდენტის მომხრეები მის შეუცვლელობაზე საუბრობენ, სწორედ ესაა ევრაზიულობა, ჩამორჩენილობა.

— ბოლო პერიოდია მუდმივად მიშა წადის გავიძახით, მაგრამ ვინც მოდის ის რათაა განსხვავებული? ბიძინა ივანიშვილის და საკაშვილის ხედვები ბევრ საკითხში ერთი და იგივეა.

— აბსოლუტურად გეთანხმებით დეკლარირებული ღირებულებების დონეზე განსხვავება არ არის იმიტომ, რომ საქართველოში არ არის არჩევანი პრო-რუსულსა და პრო-ევროპულს შორის, ასეთი რამ არ არსებობს. განსხვავება შემდეგშია — მართლა, რეალურად დასავლეთი ხარ თუ დეკლარირებულად. თუ აქ 100 წლით რჩები, მაშინ შუაზია და რუსეთი ხარ. დღეს საქართველოს წინაშე ძალიან მარტივი ამოცანა დგას — ან დაამტკიცებს, რომ მართლა დასავლეთია ან პოსტ-საბჭოთა სივრცის ერთ-ერთ გამოვლინებად დარჩება. თუ ივანიშვილი გაიმარჯვებს, რამდენიმე თვეში აქ რეალურად მემარცხენე პარტია გაჩნდება, რომელიც ილაპარაკებს რეალური, დასავლური მემარცხენეობის პრობლემატიკიდან გამომდინარე. ასეთი ტიპის პარტიის გაჩენა გარდაუვალი პროცესია, რასაც საკაშვილი აფერხებს. მას მთელი ველი აქვს უზურპირებული — თვითონაა მემარცხენეც, იოშკა ფიშერიც, ტონი ბლერიც, ბუშიც და ა.შ. ყველაფერი თვითონ არის.

— ზაზა, წელან ტრამპი ახსენეთ, მას დიდი სიხარულით ვიღებთ, ჩვენს ქველმოქმედს კი ვდევნით, რა ქვეყანას ვაშენებთ?

— ცხადია ტრამპი შორსაა, იგი არ მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში. ივანიშვილი კი ჩაერთო ამ პროცესში, რის შემდეგაც მტერი გახდა. პრობლემა არის არა ივანიშვილის ქველმოქმედებაში, არამედ ის, რომ ივანიშვილი ოლიგარქიულ რეჟიმს ანგრევს იმიტომ, რომ ბიზნესმენია, რომელიც ამ ოლიგარქიულ სისტემაში არ მონაწილეობს. ის თავისთავად ამოვარდნილობაა, იგი თავისი არსებობით უკვე არღვევს ოლიგარქიულ სისტემას. ტრამპის ზარზეიმით დახვედრა ლოგიკურია, ასე ხვდებოდნენ საბჭოთა კავშირის დროს საქართველოში „გუმის“ და „ცუმის“ დირექტორებს. მათთვის ბიზნესი კერძო სფერო კი არა, ხელისუფლების ნაწილია, ასეთ დახვედრასაც სწორედ ეს განაპირობებს.

თამარ შველიძე

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

informacia pirvelwyarodan _ sergo Sambas vaJi da arZinbas qaliSvili _ sveta marTlaarian gareulni aleqsandre anqvabze ganxorcielebul teraqtebSi?

ratom moiklA Tavi teraqtebis orma monawilem?

ქართველებს ერთი უცნაური ჩვევა გვაქვს, კერძოდ, თუკი ვინმე ღირსეულად, ვაუკაცურად იქცევა, იმ ადამიანში უმალ ქართულ გენეტიკას ვეძებთ და ასე ვამბობთ: „აბა, რა? მაგას დედა ჰყავს ქართველი“, ანდა „თბილისშია ნაცხოვრები“, „ოჰ, მაგას ცოლი ჰყავს ქართველი და იმიტომ არის ჯიგარი“-ო, მაგრამ არასოდეს ვკითხულობთ, ამა თუ იმ პიროვნებას ეგებ თავისი, ეროვნული ღირსებები არ აძლევს უფლებას უღირსივით მოიქცეს და აფერ შუაშია მისი კავშირი ქართველობასთან? ამბავი, რომელსაც ქვემოთ მოგიყვებით თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ ისეთივე მართალია, როგორც ის, რომ დღეს აფხაზეთი საქართველოს იურისდიქციაში არ არის და როგორც ის, რომ დღეს ე.წ. დამოუკიდებელი აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბია.

საქართველოში თითქმის ყველამ იცის, რომ აფხაზეთში რუსული პოლიტიკის მომძლავრებამ, ეთნიკურ აფხაზებს დიდი პრობლემები გაუჩინა, როგორც ეკონომიკური, ასევე დემოგრაფიული და ძირძველი აფხაზური ტრადიციების შენარჩუნების თვალსაზრისით, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ აფხაზური, ჭეშმარიტად პატრიოტული ელიტა თავგამოდებით ებრძვის ყოველივე არააფხაზურს და ამის გამო იგივე რუს ულტრანაციონალებთან, ანდა რელიგიურ უმცირესობებთან ლამისაა ხელჩართულ ბრძოლაში არიან შესული, ჩვენგან განსხვავებით.

„საერთო გაზეთის“ ერთგულ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ მე, ჟურნალისტი ირინე გოგოსაშვილი, 90-იან წლებიდან მოყოლებული აქტიურად ვმუშაობდი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს ტელევიზიის პროგრამა „საღამო მშვიდობისა“-შიც, ასევე აქტიურად ვაშუქებდი ჯერ ომამდელ, ხოლო შემდგომ, ომის ამსახველ ვიდეო-დოკუმენტურ ფაქტებს. მაგრამ მიუხედავად ჩვენში შუღლის გაღვივებისა რა თქმა უნდა, ომამდე და ომის შემდგომაც, არაჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებს ვინარჩუნებდი აფხაზურ ელიტასთან, პოლიტიკურ ელიტასთან, ჟურნალისტებთან და რიგით აფხაზებთანაც, რითაც არაერთხელ დავზარალებულვარ მავანთა კომენტარებით, მაგ: –„ეჰ, ეგ ხომ ფარულად აფხაზების აგენტია“ და მსგავსი უსაფუძვლო ბრალდებებით, მაგრამ როცა საქმე-საქმეზე მიდგებოდა და აქეთ „გამოვიჭერდი“ ხოლმე ასეთებს (ოღონდაც კრემლისთვის აქტიურ გარჯაში), მაშინ იცოცხლეთ, ვუწევდი ხმას და ვეუბნებოდი, რომ „ის“ არათუ ქართველების, არამედ ეთნიკური აფხაზების პირდაპირი მტერიც იყო და ეს ომიც, სწორედ მისთანების წყალობით გაჩაღდა 1992-93 წლებში“-თქო.

გასაკვირია, მაგრამ ვლადისლავ არძინბას „ზეობის“ პერიოდში, ანუ მაშინ როცა იგი აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე იყო და ანტიქართული პროპაგანდაც უკიდეგანოდ იღვრებოდა და ქართველ ჟურნალისტებს თითქმის ეკრძალებოდათ აფხაზ ჩინოვნიკებთან ურთიერთობა, სწორედ მაშინ სერგეი შამბას, ზურაბ აჩბას, ალექსანდრე ანქვაბის, ნათელა აკაბას და თვითონ ვლადისლავ არძინბას უშუალო ჩარევით, მე არათუ უზენაესი საბჭოს შენობაში შესვლას, არამედ სხდომების ვიდეოფირზე აღბეჭდვასაც ვახერხებდი და მინდა გითხრათ, რომ ამ საქმეში ე.წ. „ქართული მხარე“ საერთოდ არ მეხმარებოდა, მეტიც, მეუბნებოდნენ, რომ –„ისინი“ ვერ უზრუნველყოფდნენ ჩემს ნორმალურად მუშაობას, რადგან სიტუაცია ძალიან დაძაბულიაო. საკმარისი იყო დამერეკა არძინბასთვის და მეთქვა: ვლადისლავ გრიგორიჩ თქვენ ქართველ ჟურნალისტებს შეგნებულად გვავიწროვებთ, არ გვიშვებთ შენობაში“-თქო, რომ უმალ თავის თანაშემწეს ჩამოარბენინებდა პირველ სართულზე, მომკიდებდნენ ხელს და „ჩტო ვი, ჩტო ვი“, რა შევიწროება, მობრძანდით,

გვკითხეთ, რაც გაინტერესებთო“, – მებოდიშებოდნენ, მაგრამ მეორე იყო, თვითონ აფხაზი პოლიტიკოსები როგორი მოწიწებით და როგორი პატივით გვიღებდნენ კაბინეტებში, ჯერ ერთი, თითოეული მათგანი იმიტომ, რომ აფხაზურ კულტურას უწევდა ანგარიშს, არავითარ შემთხვევაში არ გაგრძნობინებდა, რომ შენ მისთვის არასასურველი სტუმარი იყავი, ანდა უხერხულ კითხვებს სვამდი და მეორეც – აქეთ გეუბნებოდა: „ირა, იქნებ არ ღირდეს ამ ინტერვიუს გამოქვეყნება, ვითარება ისედაც არეულიაო?“ ანუ აფხაზ პოლიტიკოსთა უმრავლესობას ომი, რომელიც ჩვენ დავიწყეთ, არ სურდათ და მეტიც, ისინი შორს იყურებოდნენ და გრძნობდნენ, რომ მესამე ძალა, ე.ი. რუსეთი, ომის შემდგომ მათთვისაც მოიცლიდა და უფრო მეტ პრობლემას გააჩენდა, ვიდრე ეს ომის მიმდინარეობისას ჰქონდათ აფხაზებს. ასეც მოხდა... მას შემდეგ ბევრმა მღვრიე წყალმა ჩაიარა აქაც და იქაც, მაგრამ, როგორც დღეს ირკვევა, აფხაზებს იმაზე მეტი პრობლემები აქვთ, ვიდრე ჩვენ გვქონია და ეს რომ მართლაც ასეა, ამაში ჩემმა ძველმა ნაცნობმა, აფხაზმა ჟურნალისტმა, კიდევ ერთხელ დამარწმუნა.

– ირა, ძალიან მიხარია, რომ გაგახსენდი, ალბათ, მიზეზიც გექნება, გისმენ...

– ეს ერთი კვირაა, აფხაზეთიდან ცუდი ამბები ისმის, პრობლემები გქონიათ...

– რა პრობლემებია, ვერ დამიკონკრეტებ?

– მაინტერესებს, მართალია თუ არა ანქვაბზე განხორციელებულ ტერაქტში სვეტა არძინბას და სერგეი შამბას ბიჭი არიან ეჭვმიტანილები?

– ერთი პირობით, ჩემი სახელი და გვარი არ უნდა ახსენო, ხომ ხედები რატომაც?

– მიგიხვდი, არ არის პრობლემა... ხომ იცი, თუ შეგპირდი, გავაკეთებ.

– ვიცი... დავიწყოთ იმით, რომ გალიდან ლესელიძემდე სანაპირო ზოლზე ყველა „ლაკომნი კუსოჩეკ ზემლი“ (ნუგბარი მიწის ნაკვეთი) რუსმა ბიზნესმენებმა, მათმა საყვარლებმა, შვილებმა, რუსმა მაღალჩინოსნებმა და სამხედრო პირებმა იყიდეს. ეგ კიდევ არაფერი... ადგილობრივ მოსახლეობას იცი როგორ ეურთიერთებიან? „ვოტ, მი ზა ვას ვოევალი, კროვ ლილი ზა ნეზავისიმოსტ აფხაზია, ი ვი ეშჩო ნე დავოლნიე?“ (აი, ჩვენ თქვენთვის ვიბრძოდით, აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის სისხლს ვღვრიდით და კიდევ უკმაყოფილონი ხართ?) საერთოდ, სიტუაციაა ისეთი, თითქოს აფხაზეთი აფხაზების კი არა, ყველა სხვა დანარჩენებისაა, გესმის?

– ისე, შენ არ გეწყინოს, მაგრამ რეალურად ვფიქრობ, რომ მართლაც ასეა და გეტყვი რატომ. ჯერ ერთი – აფხაზეთში, მგონი, უკვე სომხები არიან ეთნიკური უმრავლესობა და მეორეც, მანდ თუ რუსებმა მასიურად დაიწყეს ჩამოსახლება, სულ გადაგყლაპავენ, როგორც ეთნოსს, არ მეთანხმები?

– ირა, აფხაზეთიდან ბევრი მიდის და ამიტომ შეიძლება, ეთნიკური ბალანსი ცოტა საგანგაშოა, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ეს დიდხანს გაგრძელდება, პრობლემა მართალია, აქტუალურია, მაგრამ ვისი ბრალია?

– ახლა არ მითხრა, დემოგრაფიული პრობლემაც ქართველებმა.. (გაწყვეტინებთ)

– არ გინდა წარსული, თუმცა რაც ომში ახალგაზრდები დაიღუპა,

რა თქმა უნდა, აფხაზთა გენოფონდს წარმოადგენდა, ისევე, როგორც, თქვენი ჯარისკაცების უდიდესი უმრავლესობა წარმოადგენდა ქართველთა გენოფონდს! მე ძალიან კარგად ვიცი, თქვენი დემოგრაფიული რეალობა, მაგრამ აფხაზებთან შედარებით, თქვენ უკეთესი მდგომარეობა გაქვთ და გეტყვი, რატომაც. დღეს აფხაზეთში გასათხოვარი ქალი 3-ჯერ და 4-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე დასაქორწინებელი ვაჟი და ეს უკვე ძალიან დიდი პრობლემაა. პრობლემაა ნარკომანიაც და ხშირ შემთხვევაში, აფხაზურ ოჯახებში ასეთი სასიძოები სასურველები არ არიან. ამას დაუმატე ლოთობა, უმუშევრობა, ემიგრაცია, მასიური დეპრესია და მიხვდები, რომ ჩვენთან საქმე არცთუ შემთხვევითად, ძალიან საგანგაშოა და სწორედ ამიტომ ვართ აფხაზები ძალიან შეწუხებული.

იცი რა მითხარი? სერგო შამბას შვილი და სვეტა არძინბა მართლა არიან გარეული ალიკა ანქვაბის წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტების სერიაში?

– მე, ვერავის ხელს ვერ დავადებ, მაგრამ ფაქტია, რომ შამბას შვილი ახლა იძებნება...

– ტერაქტის მოწყობაში ეჭვმიტანილებმა, რომლებიც დააპატიმრეს, რამდენიმე დღის წინ, ციხეში თავი მოიკლეს, მართალია?

– ჰო...

– როგორ ფიქრობ, რა იყო ამის მიზეზი, ის, რომ დამკვეთები არ დაესახელებინათ თუ ზეწოლას ვერ გაუძლეს?

– მე ერთი რამე ვიცი, ირა, კავკასიაში ხელისუფლებების ცვლა სისხლის გარეშე აღარავის წარმოუდგენია და ეს ყველაფერი კი მხოლოდ ჩვენი ბრალია. შენ იცი, რომ მეც მომიკვდა ოჯახის წევრი ომის დროს, მაგრამ სხვებივით არ გავბოროტებულვარ... ხომ ხედავ, შენც ნორმალურად გეკონტაქტები და სხვა ქართველებსაც, მაგრამ იცი, რა მაკვირვებს? მანდაც და აქაც ისევ სიტუაციის ესკალაციისთვის რატომ ირჯებიან? სააკაშვილი ადრე იძახდა 1 წელიწადში აფხაზეთი ჩვენი იქნება, „იუჟნაია ოსეტიას“ ერთ საათში ავიღებთ და რა ხდება აქ 90-იან წლებში მარტო მკვდრები დატოვეს ქართველებმა, შეწინააღმდეგებას რომ გამორიცხავენ?

– ისევ ტერაქტს, ანქვაბს, შამბას და არძინბას დავუბრუნდეთ და მითხარი, ანქვაბსა და შამბას შორის დაპირისპირება არსებობდა?

– ნუუუ, ეს არ ჩანდა ზედაპირულად, მაგრამ ის, რომ ანქვაბი გახდა პრეზიდენტი და არა ე.წ. „არძინბას თანამოაზრე“, გარკვეულ დაპირისპირებას მაშინვე ნიშნავდა, თუმცა გიმეორებ, რომ მათ პირად ურთიერთობებში ეს არ ჩანდა.

– რას ნიშნავს „არძინბას თანამოაზრე“, რაღა დროს არძინბაა, ნუ გადამრიე...

– „არძინბას თანამოაზრეობა“ აფხაზეთში ნიშნავს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, აფხაზთა მიერ აფხაზეთისთვის დაღვრილი სისხლის ხსოვნას, აფხაზი ეთნოსის უპირატესობას აფხაზეთში და ერთგულებას იმ ფიცისა, რომელიც თავის დროზე გარკვეულმა ადამიანებმა აფხაზ უხუცესებთან დადეს, გასაგებია?

ვლადისლავ გრიგორიჩი თავისი პრეზიდენტობის მემკვიდრედ სწორედ სერგეი მირონოვიჩს (შამბა) მოიაზრებდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა...

– არძინბა ვის მოიაზრებდა, მაგას არა აქვს მნიშვნელობა, იმიტომ, რომ რუსეთი ნიშნავდა და ნიშნავს დღესაც თავის ემისრებს აქ... შენ ის მითხარი ალექსანდრე ანქვაბი „არძინბას ბრატვაში“ არ იყო?

– ანქვაბს „ესენი“ არასოდეს ენდობოდნენ, თუმცა აფხაზეთში გუდაუთელობა უკვე ძირშივე ნიშ-

ნავს პატრიოტ, ერთგულ და უღალატო აფხაზს!

— ალიკაც ხომ გუდაუთელია და რას უწუნებდნენ იმას, რომ თბილისში მუშაობდა? მასე არძინბაზეც, შამბაზეც, საწყალი ბაგაფშიც და კიდევ ბევრნი, ყველა აქ არ სწავლობდა და მუშაობდა?

— ჰო, მაგრამ ანქვაბმა მაინც ვერ მიიღო მათი სიმპათიები. სხვათაშორის თქვენმა კიტოვანმა თქვა — ომის დროს ალექსანდრე ანქვაბი ჩვენი მოკავშირე იყოო...

— აუფ, კიტუშამ ეგ იმიტომ თქვა, რომ მაშინ არჩევნები იყო და ვიღაცამ დაავალა, ასე თქვი და ანქვაბი ხმებს ვერ მიიღებსო, მაგრამ ეხლა იცი, რა ვიფიქრე? შეიძლება ეს „არძინბას ბრატვამ"-აც სთხოვა, ვინ იცის? ფაქტი ერთია— კრემლმა „სტავკა" ანქვაბზე გააკეთა და ამას, ალბათ, გარკვეული მიზეზებიც ჰქონდა. მე მაინც ტერაქტების ამბავი და ძიების დეტალები უფრო მაინტერესებს. სვეტლანა არძინბა დაკავებულია?

— რომ არ მოგატყუო, არ ვიცი... ისე კი ამბობენ, რომ შიდა პატიმრობაშია, მაგრამ რამდენად მართალია, არც ეგ ვიცი.

— შეგიძლია დამიდასტურო თუ არა ის, რომ დღეს აფხაზეთში კლანური დაპირისპირების გარდა, იდეოლოგიური დაპირისპირებაცაა?

— იცი, რა? იდეოლოგიური დაპირისპირებაა იმ მხრივ, რომ ადამიანებმა ამდენი ომის, გაჭირვების და დამცირების შემდეგ დაიწყეს ფიქრი იმაზე, რომ მხოლოდ ურა-პატრიოტიზმით სამშობლოს ვერ შეინარჩუნებენ, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობენ და ვერც მათ შეედავები. ანუ, აქ ახლა მთავარი კითხვაა — „კაკ ჟიტ დალშე" (როგორ

ვიცხოვროთ შემდეგ) და ჩემი აზრით, მთავარი მართლაც ეს არის.

— ერთი რამე მინდა გკითხო — მართალია, რომ აფხაზი გოგონები, აფხაზეთში ჩამოსულ შუა აზიელ „გასტერბაიტერებთან" ულლდებიან და ამის აღსაკვეთად ლამისაა სახელმწიფო აპარატია მობილიზებული?

— ოო, ეგ ძალიან სერიოზული პრობლემაა! მე არ ვიცი, იცნობ თუ არა შენ, ჟურნალისტ ზაირა ცვიშბას, მაგრამ აი, ეგ არის მაგ საქმეში ყველაზე კარგად ინფორმირებული. ეს „გატერბაიტერები" მრავალცოლიანობის მომხრეები არიან და შენ რომ იცოდე, ერთმა აფხაზურმა ოჯახმა თავისი ქალიშვილი აფხაზეთიდან გააძევა კიდეც, როგორც გვარის შემარცხვენელი, რადგან ჩამოსულ „გასტერბაიტერს" გაჰყვა ცოლად... პრობლემაა, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ყაზახზე გათხოვილი ქალის შვილი აფხაზი ვერ იქნება, არადა, დემოგრაფიის თვალსაზრისით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— ჩვენთან ამბობენ იმასაც, რომ აფხაზეთში იეღოვას მოწმეთა შემოსევაა და რომ ისინი თავიანთ „მრევლს" ღღითიდღე ზრდიან. მართლა ასეა? ჰო, ჩვენთან დაიბეჭდა ისიც, რომ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იეღოველი, რუს იეღოველთა „სულიერი" ლიდერი — გრიგორი მარტინოვი აფხაზური ხელისუფლების საერთაშორისო ზეწოლით იმუქრება, იეღოველებს ავიწროებენ და აფეთქებენო. ანუ, მინდა გკითხო, ბევრნი არიან ისინი ტრადიციულ აფხაზეთში?

— მე არ დამითვლია, მაგრამ ამბობენ, ბევრიაო. ვებრძვით, რა თქმა უნდა, ყველაფერს არააფხაზურს, სხვათაშორის, ეგეც ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანია, რომელზეც ჩვენი საუბრის დასაწყისში გითხარი...

— დიდი დანაშაულია ქართველების და აფხაზების ომი, რადგან დღეს აფხაზეთში ოჯახს ვერ ნახავ, სადაც ან რძალი, ან სიძე, ანდა ბებია-ბაბუა არ იყოს ქართველი. დღეს? დღესაც ასეა, მაგრამ უფრო და უფრო ვიწროვდება წრე, ანუ ომმა ეს ტრადიციაც ნელ-ნელა ჩამოწერა! (ვოინა „ეტუ ტრადიციუ სპისალა) რაც ძალიან სამწუხაროა... აბა, კარგად იყავი ირა, ვინ იცის, კიდევ როდის შევხვდებით ერთმანეთს, მაგრამ ერთია — რა სიტუაციაშიც არ უნდა შევხვდეთ ჩვენ ერთმანეთს, მაინც ძმები ვიქნებით, მოსწონს თუ არა ეს ვინმეს მეთანხმები?

— ასი პროცენტით. გკოცნი ბევრს, მომიკითხე ყველა, ვისაც ვიცნობ.

ძვირფასო მკითხველო! ადამიანი, რომელიც მესაუბრებოდა ბებიით ქართველია, მაგრამ ის, უპირველესად, ჭეშმარიტი აფხაზია და დღევანდელ მათ გასაჭირზეც იმიტომ მესაუბრა გულახდილად, რომ სტკივა თავისი კუთხე, თავისი ჯიშის ნელ-ნელა გაქრობის პერსპექტივა, ტრადიციული რელიგიის შევიწროება, დემოგრაფიული კატასტროფა და რაც ყველაზე მთავარია — სტკივა ის მოგონებები, რომელიც მშვიდ, ულამაზეს და კოპწია აფხაზეთთან მთელი ცხოვრება აკავშირებდა. განა ჩვენც ასე არ ვართ?

ჩემი მეორე რესპონდენტი, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების პირველი პირი ალექსანდრე ანქვაბია, რომელთანაც ბოლო სატელეფონო საუბარი შარშან ზაფხულში მქონდა და რომელსაც გუშინაც სიამოვნებით დავურეკე, რადგან ჩემი აფხაზი მეგობრების ჩამონათვალში იგი ერთ-ერთი პირველია, ვისაც ვიცნობდი და რომელიც ჩემი თბილისელი ახლობლების ბახატურიძეების ოჯახში ცხოვრობდა, ვიდრე ბინას მისცემდნენ...

დღეს აფხაზეთში ვისაც დარეკავა უნდა, ყველამ იცის, რომ „ბილაინის" ბარათი უნდა იყიდოს ანუ რუსული კომპანიის და კოდით 044, უპრობლემოდ დაუკავშირდებოდა სასურველ აბონენტს, მაგრამ ადრე აფხაზები, (უფრო ზუსტად კი 2 წლის წინ) საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემაში იყვნენ ჩართული და ვიდრე ჩვენმა ბედოვლათმა პარლამენტმა ამ „სიხშირიდან" აფხაზეთის „ამოგდებას" არ მიაღწია, ვერ მოისვენეს, რააა? ჰოდა, ვიყიდე „ბილაინის კარტა", ავკრიფე ნომერი და დაველოდე... ერთი ზარი გავიდა და უცბად გაწყდა სიგნალი.

ჩემს კოლეგა, სოხუმელ ჟურნალისტს თენგიზ პაჭკორიას გადავურეკე ქალაქის ტელეფონით — თენგო, კოდი შეცდომით ხომ არ მიკარნახე, ახლა ანქვაბთან დავრეკე, მაგრამ სიგნალი წყდება-თქო და ამ დროს, ჩემმა მობილურმა დარეკა... დავხედე ნომერს და ბოლო ციფრებით მივხვდი, რომ ვისთანაც ვრეკავდი, ის მირეკავდა აქეთ...

— ალო, თქვენ დარეკეთ ამ ნომერზე? — იკითხა თავაზიანად.

— დიახ, გამარჯობა ალიკ, გენაცვალე, ირა ვარ, გოგოსაშვილი ჟურნალისტი თბილისიდან...

— ოოო, ზდრასტვი ირაჩკა, როგორ ხარ?

— კარგად, კარგად, შენ როგორ ხარ?

— არა მიშავს, რამ შეგაწუხა, რით გემსახურო?

— იცი, მე კომენტარი მინდოდა იმ ტერაქტებზე, შეწხე რომ განახორციელეს, ინფორმაცია ეჭვმიტანილებზე, ციხეში თავი რომ მოიკლეს იმ ადამიანებზეც, მაგრამ ვიცი, შენთვის უხერხული იქნება ამ ყველაფრის კომენტირება და იქნებ რომელიმე გამომძიებლის, ანდა პოლიციის უფროსის ტელეფონი მომცე, ინტერვიუ რომ ჩავწერო?

— ეს შეუძლებელია, შენ მართალი ხარ, მე ამ თემაზე კომენტარს არ გავაკეთებ, მაგრამ ვერც სამართალდამცველები გეტყვიან რამეს...

— რატომ? ძალიან მოკლე კომენტარები მინდა, ერთ საათს კი არ გავაბამ ლაპარაკს... ძალიან გთხოვ, რა?

— ირა, საქმე ძიებაშია, კომენტარები ამ თემაზე ჯერ არ იქნება, გამიგე?

— კარგი ჰო, გავიგე, მაგრამ აქ ძალიან დიდი ინტერესია ამ ყველაფრის გამო და ვიფიქრე, იმაზე მეტს გავიგებდი შენგან, ვიდრე ამბობდნენ. რადგან ასეა, სხვა რა გზა მრჩება? კარგად იყავი და თავს გაუფრთხილდი, ნახვამდის.

— ნახვამდის, არ გეწყინოს, უბრალოდ კანონი მოითხოვს ასე. კარგად იყავი მადლობა ზარისთვის.

— შენ მადლობა, ჩემო კარგო, რომ არ იცოდი ვისთან გადმორეკე, მაგრამ მაინც, რომ დარეკე იმისთვის. არ იცვლები ალიკ, ისევ ისეთი ხარ, როგორიც იყავი. აბა, კარგად...

ძვირფასო მკითხველო! თითქოს არაფერი მომხდარა, არა? ერთმა ადამიანმა მეორეს გადაურეკა, ვერ მიაწვდინა ხმა და იმ მეორე ადამიანმა აქეთ გადმოურეკა უცნობ ნომერზე პირველ ადამიანს, მაგრამ ხომ საკითხავია, ეს ადამიანი მოცლილია, ძალიან ყურადღებიანია თუ პირიქით, ფეხებზე ჰკიდია, ვინ ურეკავს?

შეიძლება, ვინმეს არ ესიამოვნოს, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, არც მეტი და არც ნაკლები, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა გადმომირეკა და ეს მაშინ, როცა ჩემი ტელეფონის ნომერი მისთვის აბსოლუტურად უცნობი იყო. ანუ, ის უცნობი ნომრით დარეკილ და მის მობილურზე დაფიქსირებულ ყველა ზარს პასუხობს და ეს დამეთანხმეთ, რომ მას როგორც პიროვნებას ძალიან კარგად ახასიათებს. რა მაგის პასუხია და ახლავე შემიძლია ჩამოვწერო ჩვენი ათობით პარლამენტარის, მინისტრის, ქალაქის მერის და მისი მოადგილეების ტელეფონები, მაგრამ

rezo amaSukelis mimarTva qarTvel xalxs!

ერთხელ კიდევ ვაძლევ უფლებას საკუთარ თავს, მივმართო ჩემს ხალხს, ქვეყნის ყველა გულშემატკივარს, ყველა ოპოზიციურ პარტიას — გაერთიანდით და იხსენით ქვეყანა შავი ჭირისგან.

შეგახსენებთ, რომ გამალებულად მიმდინარეობს შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს სრულ განადგურებას ისახავს მიზნად. იმ საშინელი, შეურაცხმყოფელი კადრების შემდეგ, რაც, დარწმუნებული ვარ, მთელმა მსოფლიომ ნახა და რაც მოხდა მახათას მთაზე, ჩვენი ე.წ. პრეზიდენტი წამლით გათხლეშილი, ყოველგვარი ზრდილობისა და საქციელის გარეშე სამღვდელოების წინაშე იგრიხებოდა და თვალებს ვერ ახელდა, ამ კადრების ნახვის შემდეგ მაინც უნდა დაფიქრდეს ერი, ვის აბარია ჩვენი ხვალინდელი და დღევანდელი დღე.

აღარაფერი ქართული აღარ არსებობს საქართველოში. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დასრულდეს საქართველოში ბოკერიების, თევზაძეების, რამიშვილების, დარჩიაშვილების, ამ გარყვნილების და გათახსირებულების ბოგინი? მათი გეგმით ხორციელდება ყველაფერი. რა რუდუნებით ხსნიან პროფესიულ სასწავლებლებს, ხომ ხედავთ? იმიტომ, რომ ქართველები მიმტანებად, ზეინკლებად, მღებავებად, მუშებად, მონებად გამოზარდონ. ყველა ხელობა დასაფასებელია, მაგრამ მაგათ უნდათ საქართველო დააჩოქონ, მთელი საქართველო გაუნათლებელი იყოს... ყოველი დღე, ყოველი წამი ამათი ბოგინის, ნიშნავს საქართველოს განადგურებას, ისპობა ბუნება, ნადგურდება ქართული სული და ის უმთავრესი, რამაც აქამდე მოგვიყვანა და გადაგვარჩინა...

მოვუწოდებ ყველას, გაერთიანდეთ, დავდგეთ ერთად, რომ გადავარჩინოთ საქართველო. წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობას ვაკისრებ ყველას, დაწყებული პოლიტიკოსებიდან, საზოგადო მოღვაწეებიდან, დამთავრებული ჟურნალისტებით. ასევე ვაკისრებ პასუხისმგებლობას ყველა მოქალაქეს — თუ ამ შემოდგომაზე საქართველო კიდევ ერთხელ დამარცხდება და თუ ეს მტარვალები თუნდაც რაიმე ფორმით დარჩებიან ხელისუფლებაში, თითოეული ჩვენგანი უმკაცრეს პასუხს აგებს ერისა და ისტორიის წინაშე.

ჩემი მიმართვა მსურს დავამთავრო პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სიტყვებით: „არ დაეცეთ, არ შედრკეთ, არ შეუშინდეთ დროს, არ დაკარგოთ იმედი ღვთისა, იმედი მომავლისა".

გიპასუხებენ, როოო? აქეთ გადმორეკვას ვინ ჩივის. ხომ ცნობილია, რომ ისინი უცნობ ნომრებს საერთოდ არ პასუხობენ?

არადა, ესენი ვითომ ქართველები არიან და ანქვაბი კიდევ მტერი აფხაზი არა?

ისე, ერთი ამბავიც მინდა მოვყვე, რომელიც 1992 წლის 15 აგვისტოს, ანუ აფხაზეთში ომის დაწყებიდან მეორე დღეს მოხდა...

აფხაზეთის ყოფილი დე ფაქტო პრეზიდენტი, აწ გარდაცვლილი სერგო ბაღაფში, აფხაზეთის დღევანდელი დე ფაქტო პრეზიდენტი ალექსანდრე (ალიკა) ანქვაბი და კიდევ ერთი აფხაზი მაღალჩინოსანი, სოხუმში ჩარჩნენ და გუდაუთაში გადასვლა ვერ მოახერხეს. იმიტომ, რომ მათი სიცოცხლე დაცული ყოფილიყო, მაშინდელმა აფხაზეთის უშიშროების მინისტრმა ავთო იოსელიანმა ეს სამი ადამიანი თავის სახლში მოათავსა. ცნობილია, რომ ავთო იოსელიანს აფხაზებთან არაჩვეულებრივი ურთიერთობები ჰქონდა და ვიღაც „გულშემატკივრის" წყალობით, აფხაზებმა გუდაუთაში შეიტყვეს, რომ ზემოთჩამოთვლილი ადამიანები, სწორედ მასთან იყვნენ დაბინავებული.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, გუდაუთიდან ავთოსთვის დაურეკავთ — „ჩვენ „იმის" (იგულისხმება ვლ. არძინბა — ი.გ.) დავალებით ვრეკავთ და გადაეცით მაგათ, (ბაღაფშს, ანქვაბს და მესამეს) რომ აფხაზებმა მოღალატეებად გამოაცხადეს და აწი, თავს ნუ შეიწუხებენ აქ ჩამოსვლით"-ო! აუ, ავთოსთან სახლში თურმე ისეთი ამბავი ამტყდარა, მტერს და ავს... საწყალი ბაღაფში თურმე იატაკზე ჩაკეცილა, ის მესამე აფხაზი კედელს ურტყამდა თავს, მოღალატედ გამომაცხადეს და როგორ ვიცოცხლოო? მაგრამ ალექსანდრე ანქვაბს თურმე წარბიც არ შეუხრია და ავთოსთვის უთქვამს: „დაი ტრუპკუ, ია პოგოვარიუ სნიმ"-ო. ავთოსაც მიუცია ყურმილი და... „ეი, ტიპოდონოკ, პერედი „ემუ" (არძინბას) ჩტო ია ზავტრა პრიედუ, ა ტამ ვიასნეტსია კტო პრედატელ ა კტო ნეტ, პონიალ? ოდნუ პულიუ ტებე ზასუნუ ვროტ, ა ვტოროგო ტვოეგო ნაჩალნიკა, ესლი ტაკიმ დუხომ ბუდეტე პოვტორიატ ო ნაშემ პრედტელსტვე. ვსიო რაზგავორ ოკონჩენ. ჟდიტე! — ეი, შენ, გარეწარო, გადეცი იმას (არძინბას) რომ ხვალ ჩამოვალ და მერე გაირკვევა, ვინ არის მოღალატე და ვინ არა, გაიგე? თუ არ შეწყვეტთ მოღალატეების ძახილს, ერთ ტყვიას შენ ჩაგთხრი პირში, მეორეს კი „მაგას" „არძინბას"). ლაპარაკი დავამთავრე, მორჩა. მელოდეთ. მოკლედ, ეს ამბავი მე მომიყვა ადამიანმა, რომელიც ამ დიალოგს შეესწრო და რომელიც ზემოთჩამოთვლილი აფხაზების დიდი მეგობარი იყო! ეს ადამიანი ცოცხალია, თბილისშია და მას ქართველი საზოგადოებაც კარგად იცნობს.

სხვათაშორის, გუშინ ეს ადამიანი იმაზეც დავითანხმე, რომ ომის დროინდელ „სამთავრობო კულუარებზე" გულახდილად ისაუბრებდა „საერთო გაზეთთან" და ძვირფასო მკითხველო, გარწმუნებთ, რომ წინ ბევრი საინტერესო რამ გელით.

ირინე გოგოსაშვილი

nino fanqvelaSvili: `ratom iRebdnen Cemi ubeduri qmris wamebas, gamagebineT, an axla raSi dasWirdaT am saSinelebebis gaxseneba?~

რატომ მოკლეს ვახტანგ ნოდია და რატომ დევნიდნენ მის ოჯახს, რატომ ანადგურებდნენ ვახტანგ ნოდიას საფლავს და ვინ იყო ამაში მთავარი დამნაშავე? — ეს კითხვები 20 წლის შემდეგაც პასუხგაუცემელი რჩება. გამოძიება არ ჩატარებულა. ოჯახს რეპრესირებულის სტატუსი არ მისცემია...

მხატვარ ვახტანგ (ვალერიანე) ნოდიას შესახებ ადრეც მქონდა გაგებული თამაზ ფიფიას წიგნიდან „სისხლიანი კალო სამეგრელოში“, რომელიც ბატონმა თამაზმა დაახლოებით სამი წლის წინ თვითონ მაჩუქა წარწერით.

ორიოდე დღის წინ ქალბატონი ნინო ფანქველაშვილი და თამაზ ფიფია რედაქციაში გვეწვივნენ. საუბარი ქალბატონმა ნინომ დაიწყო:

– სამსახურიდან სახლში ვბრუნდებოდი, როცა ჩემმა ძმამ დამირეკა, ნახე, გაზეთში ვახოზე დაუწერიათო. ქუჩაში ხომ ვერ წავიკითხავდი, მივედი სახლში, გადავშალე და რას ვხედავ, თვალები დამიბნელდა, მომცვივდნენ შვილები... მთელი ორი კვირა უდიდეს სტესში ვიყავით. ის სიმწარე და უბედურება, რაც ვნახეთ, თითქოსდა გაგვიახლდა. ვახო ასეთი არ გვინახავს, შვილები პატარები იყვნენ, მე არ დამითვალიერებია მისი ცხედარი. მითხრეს, 12 ტყვია აქვს მოხვედრილიო. მკლავი მოაჭრესო. მე არ შემეძლო ამის ნახვა.

– როგორც ცნობილია, თქვენი მეუღლის მხეცურად მოკვლის მთავარი მიზეზი იმის გარდა, რომ ის აბაშის რაიონში ზვიად გამსახურდიას რწმუნებული იყო, გახდა ის, რომ მან შექმნა ნახატი, სადაც ზვიად გამსახურდია იესო ქრისტესთან ერთად იყო გამოსახული.

– ღამის 4 თუ 5 საათი იქნებოდა, ხმაურზე გამეღვიძა, ამდგარიყო ვახტანგი და სანთელს ანთებდა ხატებთან. რა მოგივიდა-მეთქი, რომ ვკითხე, პასუხი არ გამცა, ილოცა და მერე მითხრა: ნინო, ზვიადი დამესიზმრაო. რა მოხდა მერე, ცუდია, რომ დაგესიზმრა-მეთქი? ძალიან უცნაური სიზმარი ვნახე, არ ვიცი, სიზმარი იყო თუ გამოცხადებაო, მითხრა, გაოგნებული სახე ჰქონდა. ორი თუ სამი თვის შემდეგ ეს ნახატი რომ დაამთავრა, სწორედ „გამოცხადება“ დაარქვა. ორი ერთნაირი ნახატი შექმნა. ერთი პატარა, ერთი უფრო დიდი. ის დიდი სურათი ლოთი ქობალიას აქვს სახლში.



თამაზ ფიფია: ზუგდიდში სესიაზე გადასცა ზვიადს ეს ნახატი ვახტანგმა, იმხელა სურათი იყო სამ კაცს ძლივს მოჰქონდა. მე თვითონ ვესწრებოდი სესიას, როცა ვახტანგმა თქვა – ამ ნახატს სესიას ვუძღვნი და მთელ ეროვნულ მოძრაობასო. ეს იყო ერთგვარი მინიშნება, რომ ზვიად გამსახურდია ეკლიანი გზით კვლავ ბრუნდებოდა ჩვენთან, საქართველოში.

– რომ იკითხეთ, რა მოხდაო, რა გითხრეს, როგორ, რა ვითარებაში, ვინ მოკლა თქვენი მეუღლეო, რა გითხრეს?

ნინო ფანქველაშვილი: – ლოთი ქობალია ძალიან ახლოს იყო ჩვენს ოჯახთან და ლოთის ვკითხე, ვინ დამღუპა-მეთქი და ყველაფერს გამოვიძიებთ, გამოვიკვლევთ და დამნაშავეს დავსჯიო, მითხრა. ერთ თბილისელ ჟურნალისტს გადაუღია ვახტანგის წამება და ფირზე ყველას სახეები ჩანს თურმე, ხელიდან ვერ დაგვიძვრებიანო, – მეუბნებოდა.



ამ ნახატის შექმნისთვის მოაჭრეს მარჯვენა ვახტანგ ნოდიას

– თქვენ სად ცხოვრობდით ქალბატონო ნინო, ზუგდიდში?

– ვცხოვრობდით ლოთი ქობალიას დის ოჯახში. კალანდიები იყვნენ გვარად. დიდი სახლი იყო და უამრავი ხალხი ცხოვრობდა იქ. ნათესავები, აფხაზეთიდან დევნილები, ვახო მეუბნებოდა, ბავშვები დევნილების ბავშვებს დააახლოვე, მათთან ითამაშონ, რადგან სამთავრობო ჯარები ადგილობრივებს უფრო ერჩიან, ვიდრე დევნილებსო. იმდენი ბავშვი იყო, ეზოში სულ ჟრიამული იდგა ხოლმე.

– დილით წავიდა თქვენი მეუღლე თუ ვინმემ მოაკითხა? როგორ იყო ეს ამბავი, მომიყევით.

– დილით მანქანა აკითხავდა ვახოს, ზუგდიდის ცენტრში იყო შტაბი და იქ მიჰყავდა. იმ დილით დააგვიანა დაცვამ. ვახომ გამოიყვანა მეზობლის მანქანა და რომ არ დაგვიანებოდა, თვითონ წავიდა შტაბში. მერე ცოტა მოგვიანებით კიდევაც მოვიდა დაცვის მანქანა, მაგრამ ბედისწერა იყო. დაცვა რომ დროზე მოსულიყო, შეიძლება, არ მომხდარიყო ეს უბედურება...

ჩემი ქმარი თვითონ შეეჯახა სიკვდილს...

გავიდა დღე. დაღამდა. ვახო არ ჩანდა. გაივსო ეზო ხალხით, რაღაცას ლაპარაკობდნენ, მაგრამ მეგრული არ მესმოდა და არ ვიცოდი, რას ლაპარაკობდნენ. თურმე უკვე იციან, რომ ჩემი ქმარი მკვდარია. მერე ბავშვმა მითხრა, ქალები ტირიან და მგონი, მამაზე ლაპარაკობენო, გამოვვარდი, ლოთის ცოლი იყო მოსული: რა ხდება, ნელიმეთქი, ვკითხე. ვახო დაუჭრიათ და საავადმყოფოშიაო. მივედით და ვნახე ვახო...

– ივივე ტანსაცმელი ეცვა, რითიც წავიდა?

– შიშველი იყო. ტყავის ქურთუკი, საათი, ფული ჰქონდა ჯიბეში ბლომად, მანქანის ხელოსნისთვის მისაცემი. ჯვარს ატარებდა. ხელით გაკეთებულ ხის ჯვარს, ისიც არ ეკეთა.

– ხის ჯვარი იყო ხომ?

– კი, ხის იყო, 12 სმ იქნებია, მაგრამ ამას ვერ დავამტკიცებ, რადგან არასდროს მინახავს ის ბიჭი.

თამაზ ფიფია: მე ტელევიზიაში ვმუშაობდი კარგა ხანს. ის ბიჭი, დათო ბოლქვაძე, არ ვიცი, არ მინახავს, მაგრამ, როგორც ჩემთვის ცნობილია, ოპერატორი იყო და არა ჟურნალისტი. ვისთან ერთად, რომელ ჟურნალისტთან ერთად მუშაობდა, ვისი დავალებით მუშაობდა, ეს ყველაფერი გამოსაძიებელია, არ შეიძლება მითქმა-მოთქმის საფუძველზე დასკვნების გაკეთება, დამეთანმებით, ალბათ.

ნინო ფანქველაშვილი: მე არ მინახავს ის ბიჭი, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, მაგრამ ჩემი უბედური ქმრის წამებას რომ იღებდა, რად უნდოდა, გამაგებინეთ, ან რაში დასჭირდათ ახლა ამ საშინელების გახსენება?

თამაზ ფიფია: მე არავის განვსჯი, მაგრამ ჩემს წიგნშიც მაქვს მოხსენიებული სიჭინავა, რომელიც თავის 13 წლის გოგოს გადაეფარა, როცა აუპატიურებდნენ და მოკლეს. იქ ყოფილა ის ოპერატორი და იღებდა თურმე ამას.

– მერე არ მოძებნეთ ის ჟურნალისტი?

ნინო ფანქველაშვილი: სანამ დავკრძალავდით, მეორე დღეს თვითონ ლოთიმ მითხრა, ის ჟურნალისტი მოუკლავთო. საშინელ დღეში ჩავვარდი, ეს იყო ერთადერთი იმედი, მეგონა, ასე გავიგებდი ჩემი ქმრის მკვლელების სახელებს. მაგრამ ლოთი ქობალიამ დამამშვიდა, მითხრა, იმ კასეტას მაინც ვიპოვი და გავარკვევ ყველაფერსო. მოკლედ, გავიდა დრო, მე იმ კასეტის შესახებ არაფერი გამიგია. აღარც მიძებნია, იმიტომ რომ უბედურება უბედურებას მოსდევდა და იმდენი გაჭირვება შეგვემთხვა მე და ჩემს შვილებს, კასეტა სულ არ გამხსენებია.

დასაფლავებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ თბილისში დავბრუნდით., თემქაზე ჩვენი საცხოვრებელი სახლიდან ყველაფერი პირწმინდად გაქურდული დაგვხვდა. როგორც ჩანს, ვიღაცამ, როცა გაიგო, რომ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი და საქართველოს მოყვარული კაცი ვახტანგ ნოდია უკ-

ვე ცოცხალი აღარ იყო, პირდაპირ შესეოდნენ ჩვენს სახლს და სკამი რომ სკამია, ისიც წაეღოთ. საოცარია, მაგრამ სახლი საერთოდ ცარიელი დამხვდა. მეზობლის გარაჟიდან ჩემი ქმრის „ნივაც“ წაეყვანათ უცნობ პირებს. მეზობელი მიყვებოდა – 12 შეიარაღებული კაცი მოგვადგა – „ნივა“ უნდა წავიყვანოთო და ჩვენ წინააღმდეგობა ვერ გავუწიეთო.

ამასობაში სტუდქალაქის ტერიტორიიდან მოგვადგნენ – ვახტანგის სახელოსნოს ანგრევენ და მიხედეთ იქაურობასო. რა მექნა? მოვკიდებდი დილის 7 საათზე ბავშვებს ხელს, შევიდოდით სახელოსნოში და ღამემდე იქ ვიყავით, მოგვცვივდებოდნენ – სახელმწიფო უნივერსიტეტს სჭირდება ეს ტერიტორია და უნდა დავანგრიოთო. განსაკუთრებით ერთი კაცი აქტიურობდა, უნივერსიტეტის პროფესორი.

მოკლედ, 20 დღე ვიარეთ მე და ბავშვებმა, ბულკი და პური მიმქონდა, რომ მთელი დღე მშიერი არ ყოფილიყვნენ და ვდარაჯობდით იქაურობას. სახელოსნო კი არ მინდოდა, მე ქმარი მომიკლეს და ის შენობა ჩემთვის მნიშვნელოვანი იმით იყო, რომ ვახტანგის სული იქ ტრიალებდა. ყველაზე მეტად ის მწყვეტდა გულს, რომ ძალიან უყვარდა იქაურობა ვახტანგს, იქ ჰქონდა ასოციაცია „აისიც“.

სასწაულები გადამატარეს *(ტირის)*.

მერე, ერთ დილასაც რომ მივედით, იქაურობა ტრაქტორით დაგვხვდა გადასწორებული, ისე იყო განიავებული ყველაფერი, ერთი პატარა რაღაც რომ აგელო და სახსოვარი დაგრჩენოდა, ისიც არ იყო, ხელისგულივით დაგვხვდა იქაურობა.

მაგრამ სახელოსნოს ბედ-იღბალი რაღა საინტერესო იყო, ჩემი ქმრის სადისტური მკვლელობა დღემდე არ არის გამოძიებული.

– ქობალია ხომ დაგპირდათ?

– ამის მერე ლოთი მალე დაიჭირეს. თუმცა მე მაინც ვცდილობდი ამ საქმის გამოძიებას. ანზორ ბალუაშვილთანაც ვიყავი.

– რას გეუბნებოდათ ბალუაშვილი?!

– თუ ეჭვი ლოთის მხარეზე გაქვთ, მივიღებთ თქვენს განცხადებას, თუ მეორე მხრის მიმართ გაქვთ პრეტენზიები, უნდა დაასაბუთოთ ეს და ბოლოს და ბოლოს უნდა გქონდეთ განსაზღვრული, რომელ მხარეს უჩივითო.

რომ მცოდნოდა, ვინ მოკლა ჩემი ქმარი, ბალუაშვილთან რა მინდოდა, გამოძიებას ვითხოვდი, ამ საშინელი დანაშაულის ჩამდენების გამოააშკარავება მინდოდა. ბალუაშვილმა მოსამართლესთან გამგზავნა, იმ მოსამართლემ მითხრა: ეს საომარი მოქმედებების დროს ჩადენილი მკვლელობაა და ვერ გამოვიძიებთო.

– თქვენ თვითონ ეჭვი ვისზე გქონდათ?

– სამთავრობო ჯარებმა მოკლეს ჩემი ქმარი.

ბალუაშვილი რომ მეუბნებოდა ლოთის მხარემ ხომ არ მოკლაო, ლოთის ბიჭები რატომ მოკლავდნენ, როცა იმათი მეგობარი იყო, ლოთისთან მეგობრობდა, ზვიადის მხარდამჭერი იყო. ლოთი ქობალიას ჩვენს გვერდით იდგა ყოველთვის.

გახსენებაც კი მზარავს, ვახტანგის საფლავი რამდენჯერმე დაგვინგრიეს – ზუგდიდში ვახო ნათესავის სასაფლაოზე დავკრძალეთ, 8 თვის შემდეგ თბილისში გადმოვასვენეთ, რადგან, მე თბილისში ვცხოვრობდი და ისეთი გაჭირვება იყო, ხშირად საფლავზე ვერც ჩავდიოდით... თბილისშიც გაჭირდა მისი დასაფლავება, სასაფლაოც ვერ გამოინახა. მერე ავჭალის სასაფლაოზე დავასაფლავეთ. მაგრამ ამით არ დამთავრებულა ყველაფერი, საფლავის ქვას იპარავდნენ, სასაფლაოს ანგრევდნენ. ბოლოს უბრალოდ შემოვრაგვეთ საფლავი, ყურდღება რომ არავის მიექცია *(ტირის)*.

აბსანძესაც ვთხოვე ამ საქმის გამოძიება, მაგრამ პასუხი ერთი და იგივე მომდიოდა – არ ექვემდებრება გამოძიებასო!

რატომ გახდა პრობლემა ამ საქმის გამოძიება. რატომ არავინ დაინტერესდა რისთვის არ ასვენებდნენ ამ ადამიანს არც ცოცხალს და არც მკვდარს.

ან ის რა არის, გაზეთში მთელ გვერდზე რომ დაბეჭდეს – სიცრუე №1, სიცრუე, №2, იქვე ჩემი ქმრის შემაძრწუნებელი ფოტო, სანამ ამ წერილს ვინმე წაიკითხავს, ვახტანგ ნოდია და სიცრუე ეცემა თვალში. რატომ მიდიან ასეთ პროვოკაციაზე სხვისი უბედურების ხარჯზე?

თამაზ ფიფია: წერილი „ქრონიკაში“, ძირითადად, ჩემს წიგნზე „სისხლიანი კალო სამეგრელოში“ დაყრდნობით არის დაწერილი. არც მე არ დამკავშირებია ჟურნალისტი თავის დროზე. ამ ბოლო დღეებში შემეხმიანა. დაგირეკავო. ვნახოთ, ალბათ, დამირეკავს. მე თვითონ ვარ ბევრი ამბის მომსწრე, რაც ჩემს წიგნში არის აღწერილი და თუ სიმართლის თქმა უნდათ, მეც უნდა მკითხონ რაიმე.

ირანდა კალანდაძე

ბიძინა ივანიშვილის ესკორტი პოლიციამ გააჩერა

დასავლეთ საქართველოში მიმავალი "ქართული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილის ესკორტი საპატრულო პოლიციამ თითქმის ერთი საათით შეაყოვნა.

მომხდარის ამსახველი ვიდეო მასალა ჟურნალისტმა შალვა რამიშვილმა გაავრცელა.

ადგილზე ვითარების გარკვევას დაცვის წევრებთან ერთად ბიძინა ივანიშვილიც შეეცადა. პოლიციელებმა გაჩერების მიზეზად ჯერ ექსკორტის ორი მანქანის გადამოწმება დასახელეს, თუმცა როდესაც ივანიშვილმა კითხვა დაუსვა, თუ ვინ მისცა მათი გაჩერების ბრძანება, პოლიციელებმა განაცხადეს, რომ ბრძანება არ მიუღიათ და ესკორტი გზაზე არასწორი მანევრირების გამო დააკავეს.

ამის შემდეგ ივანიშვილი დაინტერესდა, საგზაო წესების დარღვევის გამო, ავტომანაქანების გაჩერებას ორი საპატარულო მანქანა რატომ დასჭირდა.

ვიდეომასალაში ჩანს, რომ ვიდრე ესკორტი გაჩერებულია, საპატრულო პოლიციოის თანამშრომლები მობილური ტელეფონით რეკავენ და საუბრობენ.

დაახლებით ერთსაათიანი გაჩერების მერე, ესკორტმა გზა განაგრძო.

„მედიანიუსი“

qveyana, romelic trampiskenmidis

პაატა ბურჭულაძის თაოსნობით მახათაზე სამინისტრო კომპლექსის საძირკველის ჩაყრა და დონალდ ტრამპის ჩამოფრენა საეჭვოდ მიჰყვა ერთმანეთს.

ჯერ ბურჭულაძემ უმღერა იავნანა აშკარად „კაიფში“ მყოფ საკაშვილს, მოგვიანებით კი ტრამპმა მიუბანა – თქვენ რომ პრეზიდენტი გყავთ მაგისთანა პრეზიდენტი არავის ჰყავს დუნიაზეო.

ბურჭულაძემ და ტრამპმა, როგორც ჩანს, ერთდროულად დაგეგმეს ეს ღონისძიებები, რომ სააკაშვილის კარგად შებარბაცებული იმიჯი როგორმე გაემყარებინათ, თუმცა ბურჭულაძის ღონისძიებაზე ისეთი რამ დაემართა სააკაშვილს, შეიძლება ახლა მის კეთილისმყოფელს უშვერი სიტყვებით ლანძღავდეს – შენ რომ არ აგეჩემებინა ამ კომპლექსის მშენებლობა ეს ამბავი ხომ არ დაემართებოდაო.

მისტერ დონალდმა ცოტათი გამოუკეთა გუნება ნირწამხდარ სააკაშვილს, თუმცა მახათას მთაზე გადაღებული სააკაშვილის ბანცალის და მილულული თვალების ამსახველი კადრები სამუდამოდ დარჩება ისტორიას, როგორც უტყუარი არგუმენტი იმისა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა ძალზე მძიმეა და სასწრაფოდ საჭიროებს გამოცდილი მკურნალის ჩარევას.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრებო, სხვა არგუმენტი არ გჭირდებათ, აჩვენეთ ეს კადრები მსოფლიოს და ყველას გასაგონად იყვირეთ – გვიშველეთ!

დაანებეთ თავი არჩევნებზე ლაპარაკს! ჯერ ავადმყოფი დავაბინავოთ, თორემ არჩევნებიც უკან მოგვრჩება და ეს ქვეყანაც.

პაატა ბურჭულაძის ჩანაფიქრი, მაინცდამაინც საარჩევნო წელს დაკავშირებოდა კომპლექსის მშენებლობისთვის საძირკველის ჩაყრა, რა თქმა უნდა, კარგად გათვლილი პიარია – დიადი მიხეილის დროს საძირკველი ჩაეყარა საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი კომპლექსის მშენებლობას! დიდება მიხეილ აღმაშენებელს!

რაზეც ნართაულად მიგვანიშნა ბურჭულაძემ, ტრამპმა პირდაპირ თქვა და ღიად მოგვიწოდა ქართველებს დიდი მიხეილის მხარდაჭერისკენ.

ტრამპს რა ენაღვლება, თავის სახელს ყიდის და ამაში, ალბათ, ჰონორარსაც იღებს, მაგრამ ამ ჩვენს სახელოვან, ამ ჩვენს საყვარელ მომღერალს პაატა ბურჭულაძეს რა რჯის, ფიანდაზად რომ ეგება ჩაკაიფებულ პრეზიდენტს?

ეკლესიების, სამონასტრო კომპლექსების მშენებლობა საჭირო და აუცილებელი საქმეა, მაგრამ როცა ქვეყანაში ამდენი უსახლკარო, ამდენი ღარიბ-ღატაკი, ამდენი გაჭირვებულია, ხომ არ სჯობს, უსახლკაროთათვის სახლების მშენებლობაზე, უმწეო ავადმყოფთათვის საავადმყოფოების აგებაზე, უპატრონო ბავშვების დაპურებასა და შემოსვაზე უფრო მეტი ვიფიქროთ?

ცხონებულმა ოთარ ჭელიძემ თქვა: ადამიანს შეუძლია ღია ცისქვეშ ილოცოს, მაგრამ ადამიანს არ შეუძლია ღია ცისქვეშ იცხოვროს.

ეჰ, ვინ არის ამ სიტყვების შემსმენი, ტრამპისკენ მიდის ეს ქვეყანა, ტრამპისკენ, – როგორც ბატონმა რეზო ამაშუკელმა თქვა...

გიორგი გამეზარდაშვილი

qveyanaSi iseTi ubedureba trialebs, ar SeiZleba xalxi arCevnebis molodiniT SeviqcioT...

გვესაუბრება პარლამენტარი **დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

— ბატონო დიმიტრი, სახალხო დამცველმა პენიტენციარულ სისტემაში არსებული შოკისმომგვრელი ანგარიში გამოაქვეყნა. პარლამენტმა კი იგი უბრალოდ „ცნობად მიიღო“. ასე კარგად გვაქვს ციხეებში საქმე, რომ ცნობად მიღების გარდა სხვა რეაგირება საჭირო არაა? როგორია იქ შექმნილი რეალობა?

— ციხეებში ადამიანების მიმართ მოპყრობის კუთხით არაფერი შეცვლილა, პირიქით, ვითარება საგრძნობლად დამძიმდა. „დაიხვეწა“ მეთოდები, რითაც ადამიანებს უსწორდებიან და ამ „ეფექტური ინსტრუმენტის“ მეშვეობით ისინი ისეთ კონდიციამდე მიჰყავთ, რომ მათ ბიუჯეტის სასარგებლოდ საპროცესო შეთანხმებაზე წასვლა უწევთ. მაგრამ ტერორიზმის ბრალდებით დაკავებული ყოლბაია, რომელიც კოჭოიას სახელითაა ცნობილი, მის მიერ მიცემული ჩვენების დადასტურებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. იგი ასახელებს გარემოებებს, პირებს, ვინც მას აწამებდნენ და იგი წამების შემაძრწუნებელ მეთოდებზე საუბრობს. ყოლბაიას ფეხები დაუცხრილეს, მას რვა ნატყვიარი აქვს. ერთ-ერთ ნატყვიარში საწერი კალამი გაუყარეს და ისე აწამებდნენ. მიმართავენ წამების არაადამიანურ მეთოდებს, რათა ადამიანს ის აღიარებინონ, რაც არ ჩაუდენია. დღეს, ფაქტობრივად 1937 წელი გვაქვს — ადამიანის სიცოცხლეს ფასი არ აქვს და სახელმწიფო, ჩინოვნიკები საკუთარი სტრატეგიული მიზნების მიღწევის საბაბით, ფაქტობრივ ტერორს ახორციელებენ.

— ამ ყველაფერზე ჩვენს „სტრატეგიულ პარტნიორებს“ რა მოსაზრებები აქვთ?

— ჩემში, როგორც უფლებადამცველში ყველაზე დიდ აღშფოთებას სწორედ ის ფაქტი იწვევს, რომ საერთაშორისო საზოგადოება სდუმს. ეროვნულ დონეზე, როგორი ავტორიტეტული დასკვნებიც არ უნდა გამოქვეყნდეს, თუ საერთაშორისო საზოგადოება ადეკვატურ შეფასებას არ მისცემს, ამ ყველაფერს არავითარი აზრი არ ექნება. საზოგადოება უკვე სრულ პროსტრაციაშია — არავითარი ნდობა, სურვილი, რომ გაეცნონ კიდევ რაიმე დასკვნას, აღარ აქვთ. იმიტომ, რომ აღარ დარჩა უფლებადარღვევათა სფერო, რომელიც საზოგადოებაში გაკვირვებას გამოიწვევდა, დაწყებული საკუთრების ხელყოფის უფლებიდან დამთავრებული ფუნდამენტალური, კონსტიტუციით გარანტირებული სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტებით. ამ ფონზე, აშშ-ს ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ე.წ. ნდობის რეიტინგები ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. გულდასაწყვეტია ის, რომ სახელმწიფოები, რომელთაც ჩვენ სტრატეგიულ პარტნიორებს ვეძახით, რომელთაც პირდაპირ აქვთ გაცხადებული, რომ მათი მხარდაჭერის სუბიექტი არის არა სახელმწიფო, არამედ ხალხი, რომელიც მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში, ხელისუფლების წყაროა, ორმაგი სტანდარტებით ხელმძღვანელობის განცდას ბადებენ.

სასამართლოში არცერთი საქმე არაა წარმართული, რომელიც პატიმრის წამებას, არაადამიანურ მოპყრობას შეეხება. უფრო მეტიც, აშკარად გამოხატულ წამების ფაქტებზე საქმე სამოხელეო დანაშაულით გათვალისწინებული მუხლებით აღიძვრება ხოლმე, რაც აბსოლუტურად არაადეკვატურია იმ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა, რომელსაც ესა თუ ის ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენელი სჩადის. ხშირ შემთხვევაში, სწორედ თავად ციხის დირექტორები ახორციელებენ პატიმრების მიმართ არაადამიანურ ქმედებებს. ამის ნათელი დადასტურებაა სახალხო დამცველის მიერ ქუთაისის №2 დაწესებულების შემოწმებისგან აღმოჩენილი ფაქტები. ეს იყო სპეციალური ანგარიშით წარმოდგენილი დასკვნა, რომელიც სახალხო დამცველმა 2011 წლის სექტემბერში დაწერა. იქ წარმოუდგენელი ფაქტებია დასახელებული. 630 პატიმარი სახალხო დამცველის მიერ წარგზავნილ მონიტორინგის ჯგუფს ერთი და იმავე ჩვენებას აძლევდნენ, თუ როგორ უსწორდებოდა მათ ციხის ადმინისტრაცია და მისი დირექტორი — პატიმრები შიშველ მდგომარეობაში ჩაჰყავდათ ე.წ. ბოქსებში, სადაც, მათ, ამ მდგომარეობაში საათობით ამყოფებდნენ. ასევე, იატაკზე ასხამდნენ წყალს, რათა პატიმარი ვერ დაწოლილიყო. ეს ამაზრზენი ფაქტია. ბევრი ვაკრიტიკეთ ხელისუფლება, მაგრამ ეს ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა დარჩა. როგორც წესი პროკურატურა იმ პირთა მიმართ, რომელთაც პატიმართა ბედი აბარიათ, ინტერესს არ გამოხატავს. რატომ? — იმიტომ, რომ ციხემ მითოსური როლი უნდა შეიძინოს. ციხის გაგონებაზე საზოგადოება უნდა ძრწოდეს, რათა მომავალში დასაჭერმა, დასაპატიმრებელმა პირებმა და მათი ოჯახის წევრებმა ციხეში არაადამიანური მოპყრობის ფაქტები გაითვალისწინონ და პროკურატურის მიერ შეთავაზებულ წინადადებებს ადვილად დასთანხმდნენ. პროკურატურა იმდენად გათავხედდა, დასაჭერი პირის ოჯახის წევრებს თავად ურჩევს! არ შეიწუხონ თავი უფლებადამცველის აყვანით, არამედ სახაზინო ადვოკატი მოითხოვონ. ეს

არის ტერორი. ეს არის დანაშაულებრივი მოქმედების გაცხადებული ქრონიკა, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს და ამას დასასრული არ უჩანს. 2008 წლის 20 იანვრიდან მოყოლებული, ამ რეჟიმის წინააღმდეგ, საზოგადოება პროტესტს გამოხატავს. მაშინ, 200 ათასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა იპოდრომზე. დღეს, განა რამე შეიცვალა უკეთესობისკენ?! დღეს პროტესტი არ არის საზოგადოებაში?! მაგრამ, ახლა ფაქტობრივად ჩაკლულია მუხტი, ანუ ადამიანის ცნობიერება ფრუსტრირებულია. მას შიში სძლევს, რათა გარეთ არ გავიდეს და საფრთხეში არ ჩაიგდოს თავი. შიში სძლევს იმის გამო, რომ მისი შვილი ჩადებული ნარკოტიკების გამო მსხვერპლი არ აღმოჩნდეს.

— წელან ბოქსები ახსენეთ, რომელიც აბსოლუტურად უკანონოა. როგორც ანგარიშშია ნათქვამი შინაგანაწესის დამრღვევი პატიმარი კანონით გათვალისწინებული კარცერის ნაცვლად ბოქსში მიჰყავთ და იქ სასტიკად აწამებენ. ანუ თქვენს მიერ ნახსენებ ენით აუწერელ სისასტიკესთან გვაქვს საქმე. რა შეგიძლიათ თქვათ კონკრეტულ ფაქტებზე?

— მოგახსენებთ. გავიხსენებ, გალის მკვიდრის დაპატიმრების სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც ტერორიზმის ბრალდებით აღიძრა. მაგრამ მანამდე ნარკოტკული საშუალებების უკანონოდ შეძენა-შენახვის ფაქტზე მალხაზ არქანიას საქმე აღიძრა. ეს ძალიან გახმაურებული საქმეა. პატიმარმა შეძლო ფსიქოლოგიური სირთულეების გადალახვა და უფლებადამცველებს სულისშემძვრელი ისტორია მოსწერა, ანუ რა ფორმით აწამებდნენ მას. ძალიან მიჭირს გადმოგცეთ, გავიმეორო ის, რაც ერთხელ უკვე ჩემს ცნობიერებაში დაილექა, იმდენად განვიცადე ამ ადამიანის უსუსური მდგომარეობა, რომელსაც გაუპატიურებას უპირებდნენ. მამაკაცური ღირსების მატარებელი ნებისმიერი პიროვნებისთვის ამაზე დიდი დამცირება არ არსებობს. მალხაზს თავის წერილში აღწერილი აქვს, როგორ აცქერინეს მას გაუპატიურების აქტი, შემდეგ როგორ დაემუქრნენ, თუ ჩვენებას ხელს არ მოაწერდა, მასაც იგივე ელოდა, თანაც ამას გადაიღებდნენ ვიდეოკამერით და ინტერნეტის მეშვეობით სოციალურ ქსელებში გაავრცელებდნენ. მას ველს სწერდა — მიშველეთ, გადამარჩინეთ, ჩემს მოკვლას აპირებენო. ძალიან მიჭირს ამის გახსენება, მაგრამ ერთი კვირის შემდგომ მოხდა ის, რაზეც ჯერჯერობით საზოგადოების მხრიდან ადეკვატური შეფასება არ მომხდარა. ეს ადამიანი საკანში ბინტით ჩამომხვრჩვალი იპოვეს ანუ ბინტის სახვევით, რომლის სიგრძე ორ მეტრს აღემატებოდა და რომელიც წესით ჭრილობების გადასახვევად გამოიყენება. კახაბერს არ ჰქონდა არანაირი ჭრილობა, რაზეც შეიძლება სახვევი დასჭირვებოდა. ეს კონკრეტული ფაქტია და ასეთი ბევრია.

— ბატონო დიმიტრი, ბოლო მონაცემებით პატიმართა სიკვდილიანობის რეკორდული მაჩვენებელი 2010 წელს დაფიქსირდა. რა შეიცვალა მას შემდეგ?

— არაფერი შეცვლილა. 2010 წლის მსგავსია 2011 წლის მონაცემებიც. 2010 წელს საპყრობილეებში 142 პატიმარი გარდაიცვალა, შარშან კი — 140, ანუ რეალურად განსხვავება არ არის. ასევე, იმატა მძიმე ინფექციური, უკურნებელი სენით დაავადებული პატიმრების რიცხვმა. მიუხედავად ამ სავალალო სტატისტიკისა, სასჯელღსრულებისა და ჯანდაცვის ერთობლივი კომისია უმოქმედოდაა.

არსებობს უზენაესი სიკეთე — ადამიანი, რომელმაც უნდა იაროს გაკეთებულ გზებზე და დატკბეს ცხოვრებით. ეს მთავარი ღირებულება ქვეყანაში დაცული არაა. პოლიტიკოსები იმიტომ გვქვია — ჩვენი ვალდებულებაა საზოგადოებას კი არ დაველოდოთ და ვუსაყვედუროთ უმოქმედობის გამო, არამედ თავად ვიმოქმედოთ, რასაც არ ვაკეთებთ. ფაქტია, რომ დღემდე ტირანი ხელისუფლების პირობებში შეწირული სიცოცხლეები ურეაგირებოდ რჩება. ის, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსის გახსნას იმ მდგომარეობაში ეწერება, რაც სოციალურ ქსელებში ვიხილეთ, ამაზე უკვე კრიტიკაც ზედმეტია, მოქმედებაა საჭირო. ამაზე დიდი სულში ჩაფურთხება, სილის გაწვნა საზოგადოებისთვის, არ არსებობს. თუ პოლიტიკოსები გონს არ მოვეგეთ, საზოგადოებაზე სასაყვედურო აღარავის ექნება იმიტომ, რომ საზოგადოებაში ინდივიდები აღარ იქნებიან. რეალურად, ხელისუფლების პოლიტიკა სწორედ აქეთკენ მიდის, რომ ინდივიდები მოისპონ. ინდივიდუალები, ხელისუფლებისთვის სახიფათო აზრის მატარებელი საინფორმაციო წყარო, უნდა მოისპოს. როგორც ფლორას და ფაუნას, ასევე ადამიანს, ამ ქვეყანაში იმ მეთოდით ექცევიან, რომ პლაზმის გამოცვლა მოხდეს. ამას ნებსით, თუ უნებლიეთ, ძალიან ბევრი ავტორიტეტული ორგანიზაცია კვერს უკრავს თავისი დუმილით, რაც თანხმობის ნიშანია.

— რომელ ორგანიზაციებს გულისხმობთ?

— იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ქვეყანაში უფლებადაცვითი საქმიანობის ეგიდით არიან შემოსულნი და რომელთა პირდაპირი ვალდებულებაა, წერონ არა ნახევარი, არამედ სრული სიმართლე. იგივე სახალხო დამცველის ანგარიშშიც მთელი რიგი საკითხები ასახული არ იქნა, რაზეც მას ვუსაყვედურე კიდეც. მაგალითად, ანგარიშში ასახული არ არის ბატონი ბიძინა ივანიშვილის ავტომანქანების დაყაჩაღების ფაქტი, რაც 2011 წელს მოხდა. ასევე, „ქართუ ბანკზე“ მიყენებული ზიანი. ეს საბოტაჟია სახელმწიფოს წინააღმდეგ. აბსოლუტურად არაფერი თქმულა ელექტრონული ID-ბარა-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

თების უალტერნატივო ფორმებზე, რაზეც საზოგადოება აღშფოთებას ვერ მალავს – ეს პირდაპირ ბმაშია ადამიანის უფლებებთან. ეს ხომ უნდა ასახულიყო სახალხო დამცველის ანგარიშში?! სახალხო დამცველის ანგარიში სახელმძღვანელო დოკუმენტია და თუ ამ არანორმალურ, ფაშისტურ რეჟიმს თავი დავაღწიეთ, ამით უნდა მოხდეს სამომავლოდ ხელმძღვანელობა, ამიტომ მასში სრული სიმართლე უნდა აისახოს.

– სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილი ფაქტები ცხადყოფს, რომ მარტო პოლიციური კი არა სადისტური სახელმწიფო გვაქვს. წამების მსგავსი ფაქტები საშინელებათა ფილმების ბევრ რეჟისორს შეშურდებოდა.

– ეს აშკარად მიმართულია იქითკენ, რომ ქართველი ერი გაროზგილი, ღირსებააყრილი, შეურაცხყოფილი იყოს. აქ, თითქოს მცდელობაა იმისა, რომ ვიღაცამ ვიღაცამ უპატაკოს, რომ მას ძალუძს ქართველი ხალხის დამონება. დამონების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია ლოზუნგი – ყველანი ციხეში და შემდეგ იქ არაადამიანური მოპყრობა, ღირსების აყრა. საქართველო შემთხვევით როდია პატიმრების რიცხვის ოდენობით ლიდერი სახელმწიფო, მსოფლიო მასშტაბით მეოთხე ადგილზე ვართ – 539 პატიმარი 100 ათას სულ მოსახლეზე. ევროპაში კი პირველ ადგილზე ვართ და ამ ფონზე პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება შემცირებულია. უკაცრავად, მაგრამ საქმე იმასთან ხომ არ გვაქვს, რომ ჭიანჭველას ზარბაზანს ვესვრით, ვახდენთ მთლიანად გარემოს სტერილიზაციას იმ მთავარი და მნიშვნელოვანი პრინციპის უგულებელყოფით, რაც ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში შემდეგს გულისხმობს – სჯობს 10 დამნაშავე გარეთ, ვიდრე ერთი უდანაშაულო ციხეში, ეს ყველა ნორმალური ქვეყნის კონცეფციაა.

– პრობლემაა, ალბათ კანონის შერჩევითობაც...

– დიახ, 15 ლარიანი ფიცრის გამო ადამიანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მან კი არ იქურდა, არამედ მიტოვებული ფიცარი, რომელიც ესპერტიზამ 15 ლარად შეაფასა, მხატვარმა კაცმა სახლში მიიტანა და ეს ინკრიმინირებულ ქმედებად შეფასდა. თქვენ შერჩევითი სამართალი ახსენეთ, რისი მსხვერპლიც ყოველი მეორე პატიმარია.

– დასაწყისში ახსენეთ, საზოგადოების დაკვეთა უნდა შევასრულოთო. რა დაკვეთა აქვს დღეს საზოგადოებას?

– საზოგადოების დაკვეთა, დროის მოცემულ მომენტში, პოლიტიკოსების მხრიდან საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე ადეკვატური რეაგირებაა, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებს ეხება. არ შეიძლება არჩევნებს მივანდოთ სურვილი და მოქმედების გაცხადებული გეგმა იმის შესახებ – თუ არჩევნებში მხარს დამიჭერ, მოვალ და შენს პრობლემას გამოვასწორებო. მაგრამ სანამ არჩევნები ჩატარდება, შეიძლება ძალიან სერიოზული პრობლემა დაგვემუქროს. ამიტომ

საზოგადოებას აღარ რჩება დრო არჩევნებამდე გელოდოს. საზოგადოებას უნდა დახმარება დღეს და ახლა.

ხელისუფლებამ მიაღწია საზოგადოებაში საყოველთაო ნიჰილიზმის დათესვას შიშის ინსტრუმენტების და პოლიტიკური ოპოზიციის უმოქმედობის გამოყენებით. ათასობით საფრთხე არსებობს, რასაც არჩევნებამდე არ უნდა ველოდოთ, იმიტომ, რომ ადამიანებს, ბუნებას ემუქრება საფრთხე, ჩვენი ადგილი აღარ რჩება ამ სივრცეში. ამ ეკოსისტემაში, ჩვენი საქართველოს მოქალაქეთა ადგილი აღარ რჩება. რა დოქტრინას ახორციელებს ხელისუფლება, საიდან არის თავს მოხვეული ამდენი არაადამიანური აქტი?! არ შეიძლება ამას პასუხი არჩევნების ლოდინით გავცეთ, ამას პასუხი დღესვე სჭირდება. თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მოვუწოდებ ყველას – გავერთიანდეთ ადამიანის უმთავრესი უფლებების დასაცავად.

თამარ შველიძე

ვეფხვაძემ ხელისუფლება ქუთაისის „ფეხზე დაკიდებაში" დადანაშაულა

საპარლამენტო ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წევრი ლევან ვეფხვაძე ხელისუფლებას ქუთაისის "ფეხზე დაკიდებაში" დანაშაულებს. როგორც მან დღეს გამართულ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, ხელისუფლებისათვის მთავარი პიარაქციები და აღლუმების ჩატარებაა და არა იმ ძირეული პრობლემების მოგვარება, რომლებიც ქუთაისში არის შექმნილი.

„ქუთაისში წყალი და ელექტროენერგია 50 თეთრი რატომ უნდა ღირდეს? ხალხი წყლის მრიცხველებში 100 ლარს რატომ უნდა იხდიდეს? წყალი, გაზი და გზა ისევ პრობლემად რჩება მაშინ, როცა ქუთაისი მეორე დედაქალაქად ცხადდება. ვფიქრობ, მოსახლეობას ამაზე სწორი და ადეკვატური დამოკიდებულება ექნება", — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

„მედიანიუსი"

viswinaaRmdeg amzadebs saakaSvili 150 000 naRmtyo rcnebiT SeiaraRebul rezervists?

კი ვხვდებოდი პრეზიდენტის „დამუხტული ბატარეა" სასწაულებს რომ მოახდენდა, მაგრამ ამდენი თუ შეეძლო, მაინც ვერ წარმოვიდგენდი. საქმე ის გახლავთ, რომ ახლახან, პრეზიდენტმა ქვეყნის კიდევ ერთი პრიორიტეტი – ქართული სამხედრო ინდუსტრიის განვითარება გვამცნო. ჯანდაცვაში რეფორმებმა პიკს მიაღწია და დადგა დრო ახალი ტანკსაწინააღმდეგო იარაღითა და უხმაურო ნაღმტყორცნებით მოვიწონოთ თავი. 2008 წლის ომის შემდეგ, თავს დიდი უბედურება დაგვატყდა – პრაქტიკულად, რამდენიმე თვე იარაღის წყაროს მოწოდება შეგვიწყდა – ბრძანა პრეზიდენტმა. ჩვენი ქვეყნის გარდაცვალება, თურმე საერთაშორისო თანამეგობრობის 90 პროცენტმა დაიჯერა. „როგორ შეიძლებოდა არ დაეჯერებინათ? – რომელ ქვეყანაში შევიდა საბჭოთა კავშირი, ისეთში რომელი ქვეყანაც მაშინვე არ ჩამოემხო, მთავრობა არ გაიქცა პირველივე რამდენიმე საათში? – მჭექარედ დასვა შეკითხვა ბატარეა დამუხტულმა პრეზიდენტმა და იმთავითვე მიგვითითა, თუ სად უნდა გვეძებნა ამ კითხვაზე პასუხი: –„იხილეთ, რა მოხდა ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს, იხილეთ, რა მოხდა 1956 წელს უნგრეთში, იხილეთ, რა მოხდა თუნდაც საქართველოში 90-იან წლებშიო". საქართველო გადარჩა და ვითარდება – ასეთია დასკვნა. პრეზიდენტს ან ძალიან გადაეწვა თავის დამუხტული ბატარეა ან აშკარად არ ახსოვს, ჯერ ერთი ის, რომ თუ სხვა ქვეყნებში მთავრობები ომის დაწყებიდან რამდენიმე საათში გაიქცნენ, ჩვენებმა, ეს, უბრალოდ ვერ მოასწრეს, თორემ მათი დიდი ნაწილი გამზადებულ ჩემოდნებზე იჯდა. რაც შეეხება, 90-იან წლებში „ყველაფრის დათმობას", მგონი არც „ვარდების რევოლუციის" შემდგომ დაგვითმია ნაკლები – მთელი ქართული ეკონომიკა დღეს სწორედ ჩვენი მტრის ხელშია. იხილეთ, იუგოსლავიის და უნგრეთის მაგალითიო – დაჟინებით მოითხოვა პრეზიდენტმა. უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი თქვენს მიერ დასახელებული ქვეყანა რუსეთს არ დაუშლია. უნგრეთში რუსეთმა, უბრალოდ თავისი კომუნისტური რეჟიმი განამტკიცა. აი, ჩვენთან კი რუსეთმა მართლაც ჩამოშალა ქართული სახელმწიფოებრიობა და ჩვენი ტერიტორიების საუკეთესო 20 პროცენტიც თავის აქტივში მიითვალა. თქვენ კი დაგიჟინებიათ ავყვავდით, ვვითარდებითო. კი არ ავყვავდით, არამედ კოლუმბიის უნივერსიტეტის დასკვნით, ყველაზე უბედური ქვეყნების ჩამონათვალში, ისეთმა ქვეყანამაც კი გვაჯობა, როგორიც სომალია. კი, ნამდვილად ვვითარდებით, ოღონდ ღარიბ-ღატაკი მოსახლეობის რიცხვის მატებით, უმუშევრობის ზრდით, ბავშვების სიკვდილიანობით პირველ ადგილზე ყოფნით და რაც მთავარია წარმატებული ჯანდაცვის კიდევ ერთი წარმატებული რეფორმით – ახალი საავადმყოფოების შენებით, სადაც მძიმე გულით ავადმყოფი და მშობიარე ქალი ერთ პალატაში იმყოფებიან.

დავუბრუნდეთ ისევ სამხედრო მიღწევებს. პრეზიდენტმა კიდევ ერთ გამარჯვებად რეზერვისტთა სისტემის ხელახალი აწყობა დაგვისახელა. თურმე ამ მხრივ ფენომენალური შედეგი გვაქვს – ყველა სოფელში, სადაც თავდაცვის სამინისტრო შევიდა, ყველა ზრდასრული მამაკაცი რეზერვში ჩაეწერა. ზაფხულში 70 ათასი, ხოლო მომავალ წელს – 150 ათასი ნებაყოფლობითი რეზერვისტი გვეყოლება. „ეს ნიშნავს, რომ ყველა სოფელს ეყოლება რაზმი – ეს ყველაზე მყარი გარანტიაა მშვიდობის" – გვამცნო „ფენომენალური" სიახლე პრეზიდენტმა. კიდევ ერთი სასწაული ასე ჟღერს – 2008 წელს მწარედ ვიწვნიეთ შიდა ტერიტორიული დაცვის არარსებობა. რომ დავფიქრდეთ, 2008 წელს ბეწვზე ვართ გადარჩენილები. პრეზიდენტი მილიტარიზმის იდეებმა შეიპყრო– იგონებს იარაღებს, 15 ათას რეზერვისტს ყუმბარმტყორცნები, ავტომატები უნდა დავურიგოო. წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა 2008 წელს 100 ათასი ყუმბარმტყორცნიანი რეზერვისტი რომ გვყოლოდა? ხომ ამოგვჟლიტავდნენ ერთიანად. კიდევ კარგი, ბატონო პრეზიდენტო, რომ 2008 წლის აგვისტოში ეს ყუმბარმტყორცნები არ გვქონდა, თორემ მსხვერპლი ათეულ-ათასობით იქნებოდა. ნაღმტყორცნებს რომ ურიგებთ რეზერვისტებს, 21-ე საუკუნეში ნაღმტყორცნებით ომი როგორ წარმოგიდგენიათ?! 150 ათას ნაღმტყორცნებით შეიარაღებულ რეზერვისტს ვის წინააღმდეგ ამზადებთ საომრად?! წარმოგიდგენიათ, მაინც 2008 წლის აგვისტოში 150 ათას რეზერვისტს რუსის ტანკებისთვის ნაღმტყორცნები რომ ესროლათ, რა მოხდებოდა. სენაკის ბაზა ერთ საათში აიღეს და თქვენ სოფლის გლეხებით აპირებდით ომის მოგებას?! „ფაშისტურმა გერმანიამ უარი თქვა შვეიცარიაში შესვლაზე იმიტომ, რომ შვეიცარია ერთადერთი ევროპული ქვეყანა იყო, რომელსაც რეზერვისტთა სისტემა ჰქონდა აწყობილი. ვიმეორებ, ყველა ევროპული ქვეყანა ადვილად აიღეს, გარდა შვეიცარიისა, რომელსაც კარგი რეზერვისტები ჰყავდათ" – არ ეშვება ბატონი პრეზიდენტი „ფენომენალური" აზრების გადმოფრქვევას. ბატონო პრეზიდენტო, შეგახსენებთ, რომ შვეიცარიაში ომი ისედაც არ მოხდებოდა და ამის მიზეზი ის კი არ იყო, რომ მას რეზერვისტთა სისტემა ჰქონდა აწყობილი, არამედ სულ სხვა რამ, რაც თქვენს „ფენომენალურ" მეხსიერებას რატომღაც არ აღუნიშნავს. ფაშისტური გერმანია არც I და არც II მსოფლიო ომის დროს არ შევიდა შვეიცარიაში იმიტომ, რომ მთელი მსოფლიოს ფული შვეიცარიის ბანკებში იყო განთავსებული და სწორედ ამან გადაარჩინა შვეიცარია ომს.

მკითხველს ალბათ, ჰგონია, რომ ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა და პრეზიდენტის აღმოჩენები აქ დასრულდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად. სააკაშვილმა „ნამდვილი სასწაული" ამცნო საზოგადოებას. თურმე ნუ იტყვით და რუსეთს მარტო ჩვენი პოლიციის მანქანების, შენობების კი არ შურს, არამედ „დიდგორი" და „ლაზიკაც" შეხარბებია და სასწრაფოდ, ივენკოს ბაზაზე თავის ბეტეერის აწყობა დაუწყიათ. ეკონომიკური რეფორმების გაკეთების იმიტაცია არ მაკვირვებს, არც პოლიციის შენობებში მიმბაძველობა, მაგრამ იარაღში თუ მომბაძავდა რუსეთი, ამას რას წარმოვიდგენდი, – ხელები გაასავსა პრეზიდენტმა – ეს მართლა დიდი ამბავია, ე.ი. რაღაც შეგვძლებია, ეს სასწაულიაო. თქვენ მაგას ვერ წამოიდგენდით, მე კიდევ ის გამკვირვებია, ტელევიზიით რომ უხსნით ხალხს მუხა რა იარაღია. მსოფლიო მიღწევის იარაღების დამზადება ყველა ქვეყანაში გასაიდუმლოებულია. თქვენ რა გგონიათ, სხვა ქვეყნები რადგან ტელევიზიით არ გვიხსნიან იარაღის მოხმარების წესებს, არ იციან?! ასეთი ქარხნები ყველა ქვეყანაში გასაიდუმლოებულია, მაგრამ ჩვენ მსოფლიოს რას ვუყურებთ, ვერ ხედავთ როგორ ვვითარდებით, თურმე ევროპის 90 პროცენტი რუსეთზეა დამოკიდებული, ჩვენ კიდევ არავისზეც არ ვართ დამოკიდებული და სწორედ ამაშია ჩვენი „განვითარების" საიდუმლო.

მოკლედ, რუსეთმა აშკარა მიმბაძველობა დაიწყო, ახლა იარაღის გამოგონებაშიც გვბაძავს. პრეზიდენტს არ უთქვამს, მაგრამ იგულისხმა – ადრე თუ რუსების ლოზუნგი „დავეწიოთ და მივბაძოთ აშშ-ს" იყო, ახლა ისინი უკვე ყველაზე განვითარებულ ქვეყანას – საქართველოს მიბაძავენ. აქვე ერთი ანეკდოტი გამახსენდა – კომუნისტების ლოზუნგი: „დავეწიოთ და გავუსწროთ აშშ-ს" – გურულმა რომ მოისმინა, იკითხა: რო გაუსწროთ ძამა და აი დახეული შარვალი გამოგვიჩნდეს, მერე რა ვქნათო?...

თამარ შველიძე

nino CxobaZe: raSi gvWirdeba heseb i, roca SeiZleba, wyali gaqres saqartvelosi?

ცოტა ხნის წინ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ გარემოსდაცვითი კუთხით საკმაოდ უცნაური კანონპროექტი შეიმუშავა. უფრო კონკრეტულად რას გულისხმობს აღნიშნული კანონპროექტი და რა საფრთხის წინაშე აყენებს გარემოსა და ადამიანებს, თემის დეტალებზე „საერთო გაზეთს" ყოფილი გარემოს დაცვის მინისტრი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების" თანათავმჯდომარე ***ნინო ჩხობაძე*** *ესაუბრა.*

– ქალბატონო ნინო, თუ შეიძლება გვითხარით, რას ითვალისწინებს კანონპროექტი, რომელიც ხელისუფლებამ 19 მარტს პარლამენტში, ასე, რომ ვთქვათ, გააპრავა?

– ვფიქრობ, საქართველოს ისტორიასა და საკანონმდებლო სივრცეში ამ კანონის შემუშავების შედეგად უცნაური პრეცედენტი შეიქმნა. ჩვენ მას დავარქვით 21-ე საუკუნის ინდულგენცია. არასამთავრობო სექტორმა რეაგირებაც ვერ მოასწრო, ისე მიიღეს კანონი პარლამენტში. აღნიშნული კანონპროექტის თანახმად, შეთანხმება იდება იურიდიულ პირსა და სახელმწიფოს შორის და ამ შეთანხმების პერიოდში პირს შეეძლება გარემოში გაკეთოს ის, რაც მოესურვება.

– რას ნიშნავს, გააკეთოს რაც მოესურვება?

– გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში ჩაიდინოს ნებისმიერი სახის დანაშაული. მაგალითად, შემეძლება ჰაერში გავავრცელო ისეთი ნივთიერება, რომ ზიანი მივაყენო ადამიანებს, შემეძლება წყალმომარაგების სისტემაში ჩავუშვა ის, რაც მინდა, შემეძლება ნაგავი დავყარო ისეთი რაოდენობითა და შემადგენლობით, რომ გარემოს სერიოზული ზიანი მივაყენო, შემეძლება ხის ან მთლიანად ტყის მასივის გაჩეხვა ისე, რომ ამაზე არავინ არაფერი არ მითხრას და ა.შ.

– იმ შემთხვევაში, თუ ჩემს მიერ ჩადენილი ქმედებით დავაზარალებ ადამიანებსა და გარემოს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ქმედება სახელმწიფოს მხრიდან ლეგალიზებული იქნება, ასეთ შემთხვევაში ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა?

– შეგიძლიათ იმოქმედოთ ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლით. ცხადია, ხელისუფლებასა და თქვენს შორის დადებული ხელშეკრულების ვადის პერიოდში. პრაქტიკულად, მოხდა ის, რომ პასუხისმგებლობა მოეხსნა იურიდიულ პირს და მთლიანად ეს ტვირთი დაეკისრა სახელმწიფოს. კერძო პირს ასეთ შემთხვევაში არავინ არაფერს არ ეტყვის, რადგან კანონპროექტში მითითებულია, რომ დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან რაიმე სახის ჯარიმის დაკისრება. მსოფლიოში ასეთი შეთანხმების ანალოგი, პრაქტიკაში, არ არსებობს თვით აფრიკის ქვეყნებშიც კი. გარემოს დაცვა არის სახელმწიფოს მხრიდან ძალიან რთული მართვის მექნიზმი. პირველ რიგში, ესაა ეკონომიკური მექანიზმი, რომ სახელმწიფო მარტო არ აღმოჩნდეს საკუთარი მოქალაქეების პირისპირ. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ გარკვეული ვალდებულებები დააკისროს იურიდიულ პირს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

– ვინ არის კანონპროექტის ინიციატორი?

– კანონპროექტის განმარტებით ბარათში წერია, რომ ამის ინიციატორი ენერგეტიკის სამინისტროა.

– კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას?

– რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება, რადგან სახელმწიფო, ამ შემთხვევაში ვეღარ შექმნის ჯანსაღ გარემოს, სადაც უნდა ვიცხოვრო. ამასთან სახელმწიფო იმის გარანტიასაც ვეღარ მომცემს, რომ წყალი სუფთა მექნება. აქამდე სასმელი წყლის ობიექტების დაბინძურება კანონით ისჯებოდა, არსებული რედაქციით, კი თუ პირს ხელისუფლებასთან დადებული აქვს ხელშეკრულება შეუძლია დააბინძუროს სასმელი წყლის აუზიც.

– ამ შემთხვევაში რა წარმოადგენს ხელისუფლების მიზანს. როგორც თქვენ აღნიშნეთ, ასეთი პრეცედენტი მსოფლიოში არ არსებობს?

– ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გააკეთა დემონსტრირება შერჩევითი სამართლის და კანონპროექტში ჩადო კორუფციული გარიგების მექანიზმი. კანონში როცა წერია, რომ ენერგეტიკის სამინისტროს ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე შეუძლია უარი მითხრას განაცხადზე და სხვა ადამიანის განაცხადი დააკმაყოფილოს, ესაა მხოლოდ და მხოლოდ შერჩევითი სამართალი და მეტი არაფერი, რაც ნიშნავს კორუფციას. მიღებულ კანონში არაფერია მითითებული, როგორ, რის საფუძველზე განისაზღვრება ნებართვის მიცემა ამა, თუ იმ პირზე. ანუ გამოდის, რომ ხელისუფლებას ვინც მოეწონება, იმას მისცემს ნებართვას.

– კანონპროექტში თუ არის გაწერილი თანხები რამდენი უნდა გადავიხადო თუნდაც ნიადაგის მოჭრისთვის, ან თუნდაც წყლის დაბინძურებისთვის?

– კანონში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი და ესეც არის კორუფციის ნაწილი. კანონპროექტში ნათქვამია, რომ მოხდება რაღაც კომპენსირება, მაგრამ ვინ ან როგორ დაადგენს ამას, არაფერია ნათქვამი. ამიტომ, რადგან კანონში ამის შესახებ არაფერია მითითებული, რაც არ უნდა მიმტკიცოს ენერგეტიკის სამინისტრომ, რომ თანხების რაოდენობას გაწერს ნორმატიულ აქტში, ეს არის მხოლოდ შეთხზული ზღაპარი და მეტი არაფერი. აქედან გამომდინარე ხელისუფლებას შეუძლია დამიდგინოს ვთქვათ, გადასახდელ თანხად 500 ლარი და თქვენ 200 ლარი, რაც ნიშნავს

კორუფციას და შერჩევით სამართალს.

– მოქმედებს უკვე აღნიშნული კანონპროექტი?

– ეს კანონი უკვე ძალაში შევიდა, პრეზიდენტმა მასზე ხელი 30 მარტს მოაწერა.

– არსებობს რაიმე მექანიზმი, რომ არასამთავრობო სექტორმა ხელი შეუშალოს კანონპროექტის ფუნქციონირებას?

– ყველა ის მექანიზმი, რისი გამოყენებაც არასამთავრობო სექტორს შეეძლო უკვე ავამუშავეთ. ყველა არასამთავრობომ დააფიქსირა თავისი პროტესტი, გაკეთდა მიმართვა ბიზნესმენების სახელზე, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მისამართით, გავაგზავნეთ მიმართვა ევროსაბჭოში და მზადდება ასევე წერილი გაეროში. აღნიშნული კანონპროექტის შემუშავებით ჩვენმა ხელისუფლებამ უარჰყო გაეროს გადაწყვეტილება, რომელზეც საქართველომ ხელი გასული წლის დეკემბერში მოაწერა.

– რამდენადაც ცნობილია, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყანაში გარემოსდაცვით პირობებს. შეიძლება, აღნიშნულმა კანონმა ხელი შეუშალოს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას?

– ეს სერიოზულად შეუშლის ხელს საქართველოს ინტეგრაციას ევროპულ სტუქტურებში. ევროკავშირის ერთ-ერთი სერიოზული მოთხოვნაა ქვეყანაში გარემოსდაცვითი კუთხით შექმნილი ვითრება. ამასთან, არსებული კანონი ეწინააღმდეგება ევროკავშირის მიერ დადგენილ ნორმებსა და საერთაშორისო სტანდარტებს. „ნატო" გარემოს დაცვის კუთხით ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას ისეთივე დონეზე აყენებს, როგორც ადამიანის უფლებებს. ალბათ, ჩვენს ხელისუფლებაში ვიღაც-ვიღაცებს ჰგონიათ, რომ გარემოს დაცვა არის ნარჩენების შეგროვება და ხეების დარგვა. ეს ასე არ არის, გარემოს დაცვა გაცილებით რთული მექანიზმია.

– გარემოს დაზიანებაზე ვსაუბრობთ და დიდი რეზონანსი გამოიწვია თრუსოს ხეობაში მიმდინარე ლარსის ჰიდროელეტროსადგურის მშენებლობამ. კონკრეტულად რა საფრთხეების წინაშე აყენებს თრუსოს ხეობას ჰესის მშენებლობა?

– ლარსის ჰიდროელექტროსადგური შენდება იმ მონაკვეთზე რომელიც არის თრუსოს ხეობაში შესასვლელი ჩვენი მხრიდან. შესაბამისად, ხეობაში შესვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთიდან. მეორე პრობლემა თვითონ დარიალის მდინარეა. ჰესი იმდენ ელექტროენერგიას არ მოგვცემს, რაც იმად ეღირება, რომ ჩრდილოეთის მარშრუტზე ტურისტული პოტენციალი დავკარგოთ. „ყველაზე დიდი საფრთხე და პრობლემა, რომელიც საქართველოში გამოიკვეთა, ის სტრატეგია და პოლიტიკაა, რომელიც საქართველოს აქვს აღებული. ჩვენ ვამბობთ, რომ გვინდა გავყიდოთ ელექტროენერგია, რომელსაც გამოვიმუშავებთ ჰიდროელექტროსადგურებით. თითქოს ეს არის ალტერნატიული ენერგეტიკის წყარო. სინამდვილეში, დიდი, გიგანტური ჰესები იქნება დამღუპველი. ჩვენ შეიძლება დავკარგოთ საქართველოს კუთხეები იმიტომ, რომ ტენიანობა და დაავადებები მოიმატებს. მარტო ხუდონჰესის მშენებლობის შედეგად 26 ისტორიული ტოპონიმი გაქრება, ხაიში დაიტბორება. მოსახლეობის ნაწილს აქვს მოლოდინი, რომ კომპენსაციას მიიღებს. მე ვიცი, რომ ეს არ მოხდება. იმდენ კომპენსაციას მაინც ვერ მისცემენ, რომელიც საქართველოსთვის სვანეთის დაკარგვას აანაზღაურებს. ამიტომ ყველა დიდ ჰესთან და გრანდიოზულ მშენებლობასთან მიმართებაში „საქართველოს მწვანეთა მოძრაობას" მიაჩნია, რომ ეს შეიძლება საქართველოსთვის დამღუპველი იყოს. მე, პირადად, თრუსოს ხეობაში ჰესის მშენებლობის საკითხს უფრო მეტად სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ვუდგებოდი, ვიდრე გარემოს დაცვის თვალსაზრისით. ეს იყო ძალიან სერიოზულად გასაანალიზებელი საკითხი, პირველ რიგში, პოლიტიკური კუთხით, ჩვენ საზღვრებთან მიმართებაში. 70-იან წლებში დაარსდა ყაზბეგის ნაკრძალი. ეს მაშინდელი საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, რომ თრუსოს ხეობაში არ აშენებულიყო ჰიდროელექტროსადგური.

– რატომ რა იყო მიზეზი?

– მიზეზი იყო ის, რომ ეს ტერიტორია შეიძლებოდა გამქრალიყო ქართული იურისდიქციიდან და ეს საფრთხე დღესაც არსებობს. ამასთან, თერგს იმხელა ლოდები მოაქვს შეუძლია ჩახერგოს, სადერევაციო არხი და თერგი წავიდეს თავის გზით და ასეთი არაერთი მაგალითი გვინახავს.

– როგორ ფიქრობთ, ამ საფრთხის შესახებ არ იცის ხელისუფლებამ?

– მე, პირადად, მთავრობის მხრიდან ვხედავ ისეთ ნაბიჯებს, საიდანაც აშკარაა, რომ მათ ამ საფრთხის შესახებ არაფერი იციან. იმ შემთხვევაში რა ვუყოთ ამდენ ჰესს, თუ წყალი არ გვექნება.

– რას ნიშნავს წყალი აღარ გვექნება?

– პროგნოზი, რომელიც გაკეთებულია, მათ შორის საქართველოში ჩვენი მეცნიერების მიერ. მსოფლიოში მტკნარი წყლის რაოდენობა სერიოზულად კლებულობს და შეიძლება დაგვრჩეს მხოლოდ აშენებული ჰესები წყლის გარეშე.

მირანდა ნაბახტეველი

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

daiWers Tuara vano merabiSvili mixeil saakaSvils?

ქართული პოლიტიკური სპექტრი და ჩვენი საზოგადოებაც, როგორც ჩანს, ძალიან გულუბრყვილო და მიამიტია, რომელსაც დღემდე სჯერა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვანო მერაბიშვილი დაიჭერს მიხეილ სააკაშვილს, გაკოჭავს, ხელბორკილს დაადებს, სპეციალურად სააკაშვილისთვის გაკეთებულ რკინის გალიაში ჩასვამს და „თავისუფლების მოედანზე“ „დადგამს“, რომ გამვლელ-გამომვლელებმა აგინონ, აფურთხონ, ლაყე კვერცხები ესროლონ და ამით მოილბონ და მოითბონ არაერთგზის მწარედ ნატკენი გული.

თითქოსდა ხუმრობას ჰგავს ეს ყველაფერი, რასაც ახლა ვამბობთ, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების ერთ ნაწილს მართლაც სერიოზულად სჯერა, რომ ეს შესაძლებელია მოხდეს და კარგმა მერაბიშვილმა ცუდი სააკაშვილი გასკვანჩოს.

ამ თემაზე საუბარი უკვე რამდენიმე წელია ინტენსიურად მიდის და პოლიტიკური პროცესების კვალდაკვალ ხან მძაფრდება, ხან დავიწყებას ეძლევა.

გასაოცარი ის არის, რომ მერაბიშვილის მიერ სააკაშვილის დაჭერას შესაძლებლად მიიჩნევენ ისეთი ადამიანებიც კი, რომელთა გონიერებასა და ინტელექტში ეჭვი არავის ეპარება.

ასე, მაგალითად, 2007-2008 საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქართული აკადემია“, რომელიც უდაოდ ინტელექტუალური ადამიანებით არის დაკომპლექტებული, ოპოზიციურ ძალებს მთელი სერიოზულობით, ხშირად აკადემიური ტონით ურჩევდა, საპროტესტო აქციების პარალელურად აუცილებლად მიემართა ვანო მერაბიშვილისთვის თხოვნით, რომ ის ქართველ საზოგადოებას, ქართველ ხალხს დახმარებოდა სააკაშვილის „განეიტრალებაში“ და იქვე გამოთქვამდა რწმენას, რომ მერაბიშვილი ოპოზიციისა და ქართველი ხალხის თხოვნას გულთან ახლოს მიიტანდა და კონტროლიდან გამოსული სააკაშვილის მოსათოკად ყველა ზომას მიიღებდა.

მსგავსი სულისკვეთების გამომხატველი მოსაზრებები არა მარტო „ქართულ აკადემიას“, სხვებსაც ბევრჯერ გამოუთქვამთ.

საზოგადოებიდან წამოსულ ამ მესიჯებს თან სდევდა ჭორები იმის შესახებ, რომ სააკაშვილსა და მერაბიშვილს შორის შავმა კატამ გაირბინა, რომ მერაბიშვილს არ ენდობიან და სამთავრობო სხდომებსაც კი არ ასწრებენ, რომ მერაბიშვილი არ ეთანხმება ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს მიტინგების და აქციების დარბევის თაობაზე, რომ მერაბიშვილი რეპრესიული ზომების წინააღმდეგია და ა.შ.

ძნელი სათქმელია, შეგნებულად ავრცელებდნენ ამ ხმებს, რომ ზემოთნახსენები მოსაზრებებისთვის შესაფერისი ფონი და მეტი დამაჯერებლობა მიეცათ, თუ ეს ჭორები და მერაბიშვილთან ელჩების გაგზავნის მომხრეთა ინტერვიუები და პუბლიკაციები უშუალოდ დროში ემთხვეოდა ამ ჭორების გავრცელებას, მაგრამ ფაქტი ფაქტია – ყოველივე ეს არა სპონტანურ, არამედ კარგად დაგეგმილ პიარკამპანიას ჰგავდა ხოლმე, რომელიც სინამდვილეში საპროტესტო განწყობის შენელებას და ჩაცხრობას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოშორების რეალურ გეგმას.

ბოლო წლების განმავლობაში, როცა სულ უფრო რადიკალური და უკომპრომისო ხდებოდა მოთხოვნა სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის აუცილებლობის შესახებ, პარალელურად ხალხში ვრცელდებოდა ოპტიმისტური შეფერილობის იმედიანი განცხადებები, რომ სააკაშვილს მალე წაიყვანენ, თუმცა გადიოდა დრო და არც სააკაშვილი მიჰყავდა ვინმეს და არც არსებული სიტუაცია იცვლებოდა უკეთესობისკენ.



სააკაშვილის წამყვანად ყოველთვის ერთი და იგივე სუბიექტი სახელდებოდა – ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც, როგორც მავანნი და მავანნი ირწმუნებოდნენ, სააკაშვილს არავითარ შემთხვევაში არ აპატიებდა თურმე დემოკრატიული ნორმებისგან გადახვევის არაერთ ფაქტს, არაერთ მცირე თუ დიდ დანაშაულს და ა.შ.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამგვარი ტიპის განცხადებებს, ხშირ შემთხვევაში, ეგრეთწოდებული შეურიგებელი და რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები აკეთებდნენ მეტწილად, რომლებიც ზოგჯერ სააკაშვილის წაყვანის „ზუსტ“ თარიღებსაც კი ასახელებდნენ.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი აქტიურობით ბატონი შალვა ნათელაშვილი გამოირჩეოდა, რომელიც ქართველ ხალხს ჩვეული დამაჯერებლობით და კატეგორიული ტონით უმტკიცებდა, რომ სააკაშვილს დღეს თუ არა ხვალ მაინც, ყოველ მიზეზგარეშე, უსიტყვოდ და ულაპარაკოდ, მოჰკიდებდა ხელს ქეჩოში აშშ და წაიყვანდა.

ასახელებდნენ თანამდებობებსაც კი, რომლებიც აქედან წაყვანილი სააკაშვილისთვის უნდა შეეთავაზებინათ.

ასე კეთდებოდა იმედი – არაფრისმომცემი, ფუჭი, ყალბი, დრო კი გადიოდა და დროის გაყვანის ტაქტიკას მავანთა და მავანთა მიერ შეთზხული სააკაშვილის წაყვანის წარმტაცი და მიმზიდველი ლეგენდა კიდევ უფრო ამაგრებდა და ამტკიცებდა.

ძნელი სათქმელია, ფსიქოლოგიური ზომბირების და მზაკვრული პიარტექნოლოგიური მეთოდების რომელ საიდუმლო ლაბორატორიაში ითხზვებოდა ეს ზღაპრები, ისიც ძნელი სათქმელია, რატომ მაინცდამაინც ეს ე.წ. რადიკალური ოპოზიცია ჰყვებოდა ხალხში ამ ზღაპრებს ნამდვილი ამბავივით, ისიც საინტერესოა, გაუცნობიერებლად, ემოციებზე დაყრდნობით თუ შეგნებულად და მიზანმიმართულად აკეთებდა ამას ოპოზიცია?

ასე თუ ისეა, ამ ზღაპრებით დიდხანს, ძალიან დიდხანს შეიქციეს ქართველი ხალხი, რომელიც დაარწმუნეს, რომ საჭირო არ იყო დიდი თავგამოდება და თავგანწირვა, მის გასაკეთებელ საქმეს ან მერაბიშვილი გააკეთებდა, ან აშშ, ან ევროკავშირი, ან გაერო, ან რუსეთი...

რაც შეეხება მერაბიშვილს, ის იმდენად ჭკვიანი კაცია, რომ არც უარუყვია ოდესმე მისი სახელის გარშემო აგორებული ეს სკანდალური ხმები.

ის დუმილის უფლებას ინარჩუნებს, რადგან იცის, რომ დუმილი, ამ შემთხვევაში, ბავჯაღლო ოქროა.

და ბოლოს, ძნელია პოლიტიკოსი უწოდო ადამიანს, რომელსაც სერიოზულად სჯერა, რომ, გნებავთ, ვანო მერაბიშვილი, გნებავთ, ნებისმიერი სხვა ვინმე სახელისუფლებო სტრუქტურებიდან თითის დაკარებას გაბედავს სააკაშვილისთვის, სანამ ამის ნებართვა და დასტური „ზემოდან“ არ იქნება.

ჩვენ, ფაქტობრივად, კოლონიური ქვეყანა ვართ და ასეთი ქვეყნის რომელიმე მაღალჩინოსანი ვერასოდეს გაბედავს საკუთარი ინიციატივით და საკუთარი პასუხისმგებლობით შეცვალოს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია და ამ ნაბიჯით მეტროპოლიის ნების წინააღმდეგ წავიდეს.

გიორგი გამეზარდაშვილი

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

sazogadoebis Sorenizacia, anu `granti maCvene da liberastobas me gaCvenebo~

„ლიბერალიზმზე“, იგივე „ლიბერასტობაზე“ საუბარი (როგორც საზოგადოებაში შეარქვეს), დღეს ისევე მოდურაც იქცა, როგორც „ევროპელობაზე“, „ნატოსა“ და ცივილიზებულობაზე საუბარი. „ლიბერალი“ ილია ჭავჭავაძეც იყო, თუმცა არც ილიასთან, არც მე-19 საუკუნის საპატიო ლიბერალი მოღვაწეების ლიბერალურ პრინციპებთან და თავისუფლებასთან „დღევანდელ ლიბერალობას“ საერთო არაფერი აქვს.

კლასიკური გაგებით, ლიბერალიზმის პოლიტიკური ფილოსოფია კონსტიტუციით განსაზღვრულ ადამიანის უფლებებს იცავს. ის არსებულ სახელმწიფოებსა და მთავრობებს, კონსტიტუციითვე განსაზღვრული ***იმ მორალური უფლებების დაცვას*** ავალდებულებს, რომელიც ***პირად ავტონომიასა და სხვა პირების სახელმწიფოს ძალაუფლებისგან დაცვას, კერძო საკუთრებისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავისუფალ კონკურენციას გულისხმობს***. ესაა "კლასიკური ლიბერალიზმის" ბირთვი და არა სექსუალური უმცირესობების უფლებების აქტიური დაცვა, სარწმუნოების დაკნინება, რომელსაც დიდი გრანტებით დაფინანსებული რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები, გამოცემები და პიროვნებები ეწევიან. "პირადი ავტონომიაც" (ისევ ფულის გამო) მხოლოდ "სექსუალური უმცირესობების ავტონომიად" იქნა აღქმული. ჭეშმარიტი ლიბერალური ფასეულობებისგან განსხვავებით, "გლობალიზაციის მესვეურთაგან" შემოგდებული "ქართველი ლებერასტების" პოლიტიკაც, ძირითადში, სამოციქულო მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ხან ფარული, ხან ღია ბრძოლის ფონზე და საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფაში ვლინდება. არადა "დემოკრატია" სწორედ უმრავლესობის აზრის გათვალისწინებას რომ გულისხმობს და არა პირიქით – "დემოკრატიის მებაირახტრე ლიბერატსებს" არ ესმით? გამოდის "ასეთი ლიბერალიზმიც"- უმცირესობის აზრის უმრავლესობისთვის თავსმოხვევაც – დემოკრატია არ ყოფილა და "ლიბერალისტები" ტყუიან!

"ლიბერასტობის" თემაზე მედიით გამართულ ტელე-გადაცემებსაც თავისი მიზანი აქვს. ცალკე თემაა ამართლებს თუ არა! ტელეკომპანია "მაესტროს" "პირდაპირი საუბრების" რუბრიკის წამყვანი ეკა ბერიძეც ამ თემაზე ჟურნალ "ლიბერალის" რედაქტორის შორენა შავერდაშვილის სტატიით და პატრიარქის ბოლო ეპისტოლეზე მისი მოსაზრებით დაინტერესდა. შავერდაშვილის სტატიით, "ის რაც ჩემია"– მეც დავინტერესდი. ბავშვობის "გულწრფელ" მოგონებებთან ერთად, წავიკითხავთ "(ფოკაში) წელიწადნახევრის წინ სტუმრობამ "თავდაყირა დააყენა ყველა სტერეოპტიპი, რითაც მანამდე ყოფილა შორენა შეპყრობილი". როდესაც "გაპყრობილი შორენას" აზროვნებაში "მოგვიანებით, როცა უცოდინრობასთან ერთად, **საქმეში ინტელექტუალური წიაღსვლები ჩერთო,** გაქრა შეგრძნებებიც და ეკლესია გახდა ინსტიტუცია, გაუნათლებელი და უწესო მღვდლები და ბევრი ხილული ფარისევლობა. . . და შემდეგი 9 წელი, საკუთარ ჯვრისწერასა და რამდენიმე ნათლობას თუ არ ჩავთვლით, ეკლესიაში ფეხიც კი არ შემცდენია (მაგრამ **ჯვარი მაინც დაუწერია! –(ბ.ა.)** ."წარბშეუხრელად ვამხელდი იმას, რაც არ მომწონდა, უკვე ჟურნალების ფურცლებიდან.. . ეკლესია იყო გაუნათლებელი, ეკლესია იფარებდა ფარისევლებს, ეკლესია იბრძოდა ძალაუფლებისთვის, ეკლესია მფარველობდა ნაციონალიზმს, ეკლესია ქადაგებდა კარჩაკეტილობას და უღვივებდა მრევლს ახლის მიუღებლობასა და უამრავ ფობიას. . . მოკლედ ქართული ეკლესიაა, ჩემი ღრმა რწმენით, "უკან ექაჩებოდა წინ მიმავალ ქვეყანას, აფერხებდა პროგრესს". (თუმცა კი ახლაღა ვხვდები, როგორი ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა იმათ პროგრესულობაზე, ვინც მეგონა, რომ ამ ქვეყანას წინ მიაქანებდა"). "ბუნდოვანება გაიფანტა" და "ინტელექტუალური წიაღსვლებით" აღმოაჩინა სად ყოფილა "ფობიების ბუდე"? ვინ უშილის ხელს "ახალ ქართველს" "პედერასტიის პროგრესულობის" გაგებაში, "ამ პროგრესისკენ წინ მიმავალ" ქვეყანას "ვინ ექაჩება უკან"?! – სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესია და საზოგადოების უმრავლესობა! ამ „ლიბერასტებს“ ადამიანურ ქართულ ენაზე აზრების გადმოცემა რომ უჭირთ და "წიაღსვლებითა და მაღალი მატერიებით რომ "გვეინტელექტუალებიან", მაგათი კიდევ ერთი უბედურება ამაშია!

წამყვანმა გადაცემა პარტიარქის ეპისტოლეეთი და ორი მხარის დაპირისპირებაზე საუბრით დაიწყო, მაგრამ ეპისტოლედან ამ კუთხით პარტიარქის ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრება არ მოიყვანა: **"სეკულარიზაციის მიმდევრებმა წინ წამოწიეს ცრუ თავისუფლების იდეა, ზნეობა საერთოდ ჩამოაშორეს მას და ბოლოს უკვე ასეთი პრინციპი წამოაყენეს: "რაც მსურს, ყველაფერი ბუნებრივია, დასაშვებია და მისაღებია!" ეს ნიშნავს, რომ ბოროტებაც მისაღებია და ამაში ცუდი არაფერია! ასეთი ცხოვრების ფილოსოფია ერთ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა იდეასა და შეხედულებას, ღირებულებათა ყველა სისტემას და ადამიანს ნებისმიერი არჩევანის გამართლებას სთავაზობს"!** ყველაზე მთავარი კი ეს იყო! "ასეთი პროგრესული" სტატიის ავტორ შორენასაც, რომელიც თურმე "ეპისტოლეებს საერთოდ არ კითხულობს", გადაცემაში მისვლის წინაც რატომ გაუჩნდებოდა ეპისტოლეს გადაკითხვის სურვილი. შედეგად, გადაცემაში დასმულ ბევრ შეკითხვაზეც არც პასუხი გაჩნდა. ან მან რად ითავა, ან წამყვანმა რატომ მიანიჭა მას ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის "მომრიგებელი მოსამართლის" როლი? ან მხოლოდ ფონდი „ღია საზოგადოება– საქთველოს“ გრანტის დამსახურებით „გაცნობადებული“ შავერდაშვილის მოსაზრება საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ესოდენ „კომპეტენტური“ რატომ უნდა გამხდარიყო?

რესპონდენტის მოწვევის მიზეზიც (ალბათ) "ლიბერალის" რედაქტორის ბოლო სტატია და ეკლესიაზე მისი შეხედულებებიც გახდა, რომელიც თურმე "ყველგან და ყველაფერში სტერეოტიპების არსებობას გაუღიზიანებია და ***აზროვნების საშუალებით***, (რასაკვირველია, გრანტის გამო, რადგან ვერ გაიგებდი, რისი თქმა სურდა, აქეთაც მოედო და იქეთაც – ბ.ა.) ***ცდილობს რაღაცის შეცვლას***". "ანტაგონისტურ ტუსოვკებად დაყოფილ საზოგადოებას ერთმანეთის გაგება აკლია. ჩამოყალიბდა თითქოს ქვაზე ნაჭედი უმრავლესობის სტერეოტიპი და უმცირესობა", რომელსაც თურმე ეს "საშინელი უმრავლესობა" ჩაგრავს დონორისადმი გზავნილის არსიც – ნახე, რა კარგი გოგო ვარო იყო: თუ "არის მჩაგვრელი და დაჩაგრული"– არის პრობლემაც. რაშიც დიდი გრანტს იძლევიან! გადაცემის წამყვანიც არ დაინტერესდა: "რაში გამოხატება უმცირესობის ესეოდენი ჩაგვრა"?. **იმაში, რომ საზოგადოების უმრავლესობა პედერასტიისა და გარყვნილების გადაზრილ გამოვლინებას არ იწონებს?**

"ლიბერასტებად" და "სტერეოტიპების მსხვერპლებადაც", იმისთვის არ ხდებიან, რომ ამ "მსხვერპლშეწირვაში" ძალიან დიდ ფულს იძლევიან? საბედნიეროდ, ვერავინ დავობს იმაზე, რომ მიუხედავად "ლიბერასტთა" არაერთგზის მცდელობისა, ეკლესიის რეიტინგი მაინც ყველა ინსტიტუციისას უსწრებს. საზოგადოებაც დიდი გულისყურით, სწორედ უწმინდესისა და უნტარესის – ილია II-ის ეპისტოლეებს ელოდება ხოლმე. პატრიარქის ეპისტოლეებიც, სახელმწიფოში გატარებული უზნეო და ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების "მათრახი" არაერთხელ გამხდარა. წინაარჩევნო პოლიტიკური ცვლილებების მოლოდინში კი საზოგადოებისთვის განსაკუთრებულად საინტერესო ბოლო – საღღვგომო ეპისტოლე იყო. სიტყვა „ლიბერალის“ გამოყენებაც ძალადობრივად იქნა მოპარული და გამოყენებული მათ მიერ, რომელთაც შეგნებულად დაამახინჯეს ამ სიტყვის მნიშვნელობა. წარსულში სიტყვა "ლიბერალურს", პრინციპული აზროვნებისა და სახელმწიფოებრივი მმართველობით ხმარობდნენ. "კონსტიტუციურ რესპუბლიკანიზმს" ემხრობოდნენ და არა პედერასტობის, ლესბოსელობისა და აღვირახსნილობის ლეგალიზაცას, რომელიც ჯერ ოჯახის, შემდეგ კი სახელმწიფოებრიობის საფუძვლებსაც არყევს. "ილიას ლიბერალიზმიც" "ხმლის, გუთანისა და გვირგვინის საქართველო" იმ "კონსტიტუციური მონარქიის" მომხრეობა იყო, რომლის ხსენებაც "გველის ნაკბენივით" აშინებთ სეკულარიზმის მომხრეებს.

ბევრ "ლიბერასტს" პედერასტად ან ლესბოსელად ყოფნა თავადაც არ სურს! შორენამ აღნიშნა: "ჩვენ ხშირად გვიყვარს, ***განსაკუთრებით ინტელექტუალებს***, საუბარი. . .. ***ადამიანებთან, რომლებთანაც მე მაქვს შეხება და ურთიერთობა, არიან ძალიან განათლებულები და პროგრესულები. ცდილობენ თვითონვე იპოვონ პრობლემის გადაწყვეტის გზები*** და ეს გასაგებია". ანუ "ლიბერასტთა" აზრიც აპრიორში საზოგადოებისთვისაც "გამორჩეულად მისაღები" უნდა იყოს! ვინც პერდერასტიას და გარყვნილებას "უფლებების დაცვად" არ მივიჩნევთ, "შორენების" გაგებაში "რეგრესულებად და გაუნათლებლებად" გამოვიყურებით! ასეთი "მინიშნებითი შეურაცხყოფა" კი ***არც "უფლებების დარღვევად" და არც უმცირესობისგან უმრავლესობის დიქტატად აღიქმება!*** ხელისუფლების "არალიბერალობაზეც" არაერთი მინიშნება გაკეთდა! რელიგიის ანტისახელმწიფოებრივი კანონის მიღებაში კი ხელისულებისა და "ლიბერალების" თანმხვდომი პოზიციისთვის – ამას ხელი არ შეუშლია! "ვინც არის ამ ხელისუფლების მეზობბე და ლიბერალი, დაარღვია ეს სტერეოტიპი, რომ ხელისუფლება არის ლიბერალურიო"– ფაქტი მაინც ჯიუტია. ხელისუფლება არა მარტო "ლიბერასტი", "პიარასტიც" არის! ყველა შეკითხვაზე ერთი პასუხიც– "აქაც ინფორმაციის ნაკლებობაა". შეკითხვაზეც: "სიტუაციიდან გამოსავალი, ინფორმაციის ნაკლებობა რომ მოიხსნას, ერთმანეთის შესწავლაა საჭიროო?", კვლავ გაურკვეველი, აბდაუბდა პასუხი გასცა: ***"აგრესიასა და შეურაცხყოფას ადამიანები ვავლენთ, როდესაც რაღაც არ გვესმის".*** – თემის სრულ უცოდინრობაზე და მხოლოდ გრანტის გამო "ლიბერასტობით" დაინტერესებაზე მეტყველებდა. ხელისუფლებისა და ეკლესიის რელიგიის თემით სპეკულირებაში თანაბრად დადანაშაულებაც ხელისუფლებისთვის "სოდომიზმის" მხარდაჭერის აცილების ერთგვარი ფანდი იყო, რადგან სახელისუფლებო მედიაპოლიტიკა კი სრულებით საწინააღმდეგოზე მეტყველებს! "ამ სპეკულირების დიდოსტატი არის ხელისუფლება და ეკლესიაც გადასარევად იყენებს ხოლმე ამას". თავიც გაყიდა და "ლიბერალთა" ჭეშმარიტი არსიც – გარყვნილებასთან მებრძოლი მართლმადიდებლური ეკლესიისადმი მტრული განწყობაც ველარ დამალა! "ინტელექტუალმა შავერდაშვილმა" ვერც იმას უპასუხა: "რა უნდა იღონოს ამ დაყოფილმა მხარეებმა თუ მათ შორის დიალოგი კვლავაც არ შედგა"?. მთელი გადაცემა მისგან "მშვიდობის მტრედის" იმიჯის შექმნას მიეძღვნა. ეკლესიაც, უმრავლესობაცა და "ლიბერალებიც" ერთმანეთზე ქილიკში ამხილა და მთელი ერთი საათი მხოლოდ იმის ახსნას მოანდომა, როგორი განსხვავებულია ეს ორი მხარე ერთმანეთისგან. მისი საათიანი ტირადის გარეშე, საზოგადოებამ, ეტყობა, ეს არ იცოდა! "სამართლისთვის მებრძოლ და კომპლექსური რეალობის გარკვევის მოსურნე" რედაქტორის "მახვილ თვალს" სტატიაში არ გამორჩა ზოგიერთი სამღვდელო პირის ნაკლოვანება, მაგრამ "გამორჩა" **რა რაოდენობის გრანტებს იძლევიან "გადაზრილი ფასეულობებისა" და ე.წ. უმცირესობების უფლებების დაცვაში. "ლიბერალის" გამოცემაში გარყვნილების პროპაგანდის ხელშემწყობ გადაცემებში მონაწილეობისთვის რა თანხა გადაუხადეს მის სეხნიას შორენა ბეგაშვილს "იმედის" ტელევიზიით გარყვნილების ტირაჟირებისთვის.** "ქილიკზე იოლი არაფერია. იოლია ვიდგეთ და ვიქილოკოთო". ამაში მაყურებელს "ლიბერალთა გულწრფელი მშვიდობისმოყვარეობა" უნდა ამოეკითხა. არადა რა გვექილიკება? საკვლელი და საყვირელია ის, რაც "ლიბერალური ფასეულობების სახელითა" და "უმცირესობების უფლებების დაცვის" აგიტაციისთვის ქვეყანაში ხდება! "**გრანტი მაჩვენე და ლიბერასტობას გაჩვენებო",** ამათზეა ნათქვამი. (თურმე) ***"პრობლემაც მაშინ დგება, როდესაც ამას აქცევ იდეოლოგიად***". ყველა გადაცემასა და სერიალში პედერასტობის, ლესბოსელობის, ტრანსსექსუალებისა და გარყვნილების აგიტაცია იდეოლოგიად ვინ აქცია? "უმცირესობაზე მოძალადე უმრავლესობამ", ეკლესიამ, თუ იმ "არალიბერასტმა ხელისუფლებამ", რომელიც "შავერდაშვილებთან" ერთად, "**პიარისტი** სახელისუფლებო სახეების" მეშვეობით საზოგადოებისთვის მიუღებელ ზნეობასა და "სოდომისტურ ნორმებს" გრანტების გამო ნერგავთ?

რა გიყოთ, რით დაგეხმაროთ საცოდავო "ლიბერასტებო"? მიუხედავად "რეგრესული უმრავლესობის უფულობისა", დიდი გრანტებიც რომ ვერ გშველით და ამ "ინტელექტუალურობაში", იმაზეც "ვერ ქაჩავთ", რითაც საზოგადოებას „ტვინს უჭამთ“. თქვენს "უალტერნატივო ინტელექტუალურობაშიც" ვერავის არწმუნებთ! თქვენს "მაღალინტელექტუალურ სულიერ სამყაროს" გრანტიც იმდენად ვერ შველის, რომ არგუმენტირებულ, დამაჯერებელ პასუხებს იმაზეც ვერ იძლევით – რისთვისაც გადაცემებში მიდიხართ. **ეკლესიაცა და პატრიარქიც, როგორც "უმცირესობის მჩაგვერლი და რეგრესული უმრავლესობის ინტერესების დამცველი", "ლიბერასტთა" მთავარ სამიზნედ კვლავაც რომ რჩება, ეს ამ გადაცემიდან კიდევ ერთხელ გამოიკვეთა.**

ბაია ამაშუკელი

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

migviRebs evropa Tanasworuflebian wevrad an mzad varTki amisaTvis?

ევროკავშირმა ოფიციალურად მოაწერა ხელი საქართველოსთან ხელშეკრულებას გამარტივებული სავიზო რეჟიმის თაობაზე. ეს იმას გულისხმობს, რომ გარკვეული კატეგორიის მოქალაქეები – დიპლომატები, მეცნიერები, ჟურნალისტები, სტუდენტები გამარტივებული გზით, უფასოდ მიიღებენ ვიზებს ევროპულ ქვეყნებში გადაადგილებისათვის. მაგრამ ჩვენს თანამემამულეებს ჟურნალისტს გრიგოლ არახამიასა და მკვლევარ ვახტანგ ქარქაშაძეს ევროზონაში, ბრიუსელში ჩასასვლელ ვიზაში 35 დოლარი გადაახდევინეს.

ვიზების ფასიდიტაციისა და რედმისიის ხელშეკრულებით, საქართველომ არა მხოლოდ პრივილეგიები მიიღო, არამედ ვალდებულებებიც. ერთ-ერთი მათგანია– საქართველოს მოქალაქეთა დაუბრკოლებლად უკან დაბრუნება. ამისათვის ევროკავშირმა 3 მლნ. ევრო გამოჰყო. აღსრულება კი ჩეხეთის შსს-ს დაევალა. მისი ოფისი ლტოლვილთა განსახლების სამინისტროს შენობაშია. როგორც ჩვენთან მოსაუბრეები აცხადებენ. მათ პრობლემები შეექმნათ დაბრუნების დროსაც. მაგრამ ვერაფრით მოახერხეს თბილისში, ჩეხეთის შსს-ს ოფიციალურ წარმომადგენელთან შეხვედრა. ტელეფონი მუდმივად დაკავებულია ან არავინ პასუხობს. შემსვლელთ კი სუბელიანის უწყება უქმნით ახალ პრობლემებს.

ჩვენგან მივლინებულ ჟურნალისტსა და მეცნიერს უდიერად მოექცნენ საბაჟო დათვალიერების დროსაც. მათ ისე, როგორც კრიმინალებს ჩაუტარეს ჩხრეკა. ჩამოართვეს 5-5 ბოთლი მასპინძელთათვის საჩუქრად ჩასატანი ძვირადღირებული ღვინო „ევროპული“. ხელშეკრულებით თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში ნაყიდი სუვენირები და სხვადასხვა ნივთები აკრძალული არ არის.

შეურაცხყოფილმა არახამიამ და ქარქაშაძემ ევროპის ელჩს საქართველოში, ფილიპ დიმიტროვს მიმართეს განმარტებისათვის წერილობით. მან კი ქართველები პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა.

საჯარო ინფორმაციაზე პასუხი არ გასცა ჩვენებურებს ევროკავშირში საქართველოს ლობისტი ქვეყნის, ჰოლანდიის სელჩომაც. ეს მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული კოდექსის თავი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე სწორედ ჰოლანდიურიდანაა გადმოქართულებული.

როდესაც არახამიამ და ქარქაშაძემ მომხდარის შესახებ და განმარტებისათვის, რას ნიშნავს გამარტივებული სავიზო რეჟიმი ევროკავშირის მაღალჩინოსანს – სატურნი ნომენოს მიმართეს, პასუხად მიიღეს ბევრ ევროპელ ჩინოსანს არ უნდა, რომ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეები შემოუშვან მათ ტერიტორიებზე.

გამოდის, რომ ჩვენ მეორეხარისხოვან სახელმწიფოთა მოქალაქეების რიცხვს მივეკუთვნებით. ბაქიბუქი ჩვენი პირველევროპელობის შესახებ, მხოლოდ მითია. ყველაფერი ხელისუფლების არათანმიმდევრული ნაბიჯების (პოლიტიკურ, ეკონომიკური) შედეგია, – აცხადებენ ექსპერტები და პოლიტოლოგები.

კიდევ ერთი ჩინოვნიკი ევროკავშირიდან შტეფან ფიულე აცხადებს, რომ უნდა გაკეთდეს უფრო მეტი. თუ ადრე ევროკავშირი თანაბრად უდგებოდა კავშირის წევრობის ყველა კანდიდატს, ახლა ურთიერთობების ახალი ეტაპი დადგა. ყველა მიიღებს იმას, რასაც იმსახურებს. საინტერესოა მეტი რაღა უნდა გააკეთოს საქართველოს მოსახლეობამ, თუკი მას უუნარო ხელისუფლება ჰყავს.

ვინ იტვირთებს მძიმე ტვირთს

ეკონომისტ გიორგი ლაშხიას განმარტებით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებით პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებით რომელიც ძალაში 1999 წელს შევიდა. საქართველოს მინიჭებული აქვს **FGQSP** ანუ პრეფერენციათა ზოგადი სარგებლობის უფლება, რაც ჩვენს ქვეყანას ევროკავშირის ბაზრებზე თავისუფალი გასვლის უფლებას აძლევს.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალ ვაჭრობას საქართველოსათვის ბევრად უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია, ვიდრე უბრალოდ თავისუფალ ვაჭრობას, – აცხადებს ეკონომისტი ლაშხია.

რამდენიმე წლის წინ ცნობილმა კვლევითმა ჯგუფმა **CASE**-მ დაადგინა, რომ ხელშეკრულების დადებიდან 5 წელიწადში არნახული წინსვლები ექნებათ ჩვენს ქვეყანაში საფეიქრო მრეწველობას, სამთო მოპოვებით დარგებს, რეზინის, ქიმიური და პლასტმასის პროდუქციის წარმოებას, მეტალურგიას, ყოველივე დადებთიად აისახება ხელფასების ზრდაზე, მაგრამ ეს უფრო არაკვალიფიციური მუშახელის შემოსავლებზე აისახება, ვიდრე მაღალკვალიფიციურზე. რადგანაც ზრდის ტენდენცია ექნებათ იმ დარგებს, რომელთაც მეტი შრომითი ინტენსივობა ახასიათებთ, გვიხსნის ჩვენი ინტერვიუერი, ყოველივე კი იმპულსს შესძენს საექსპორტო საქონლის ზრდას.

ამათ ხელში უფრო მძიმე მდგომარეობა გველის

ევროპასთან თავისუფალი და ყოვლისმომცველი ვაჭრობა მძიმე შედეგებს მოუტანს ისედაც მყიფე ჩვენს ეკონ.ომიკას. ვარაუდობენ ექსპერტები. მათი აზრით ყველაზე მძიმე მდგომარეობა პროდუქტის უვნებლობისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროებში შეიქმნება.

პროდუქტის უვნებლობის რეგულაციების გამკაცრება კიდევ უფრო გაზრდის ისედაც მაღალ ინფლაციას, არადა ევროკავშირი, აუცილებლად მოითხოვს, **DCFTA**-ს ფარგლებში მოთხოვნების უმოკლეს ვადებში გატარებას.

„ახალი ეკონომიკური სკოლა-საქართველოს“ ვიცე-პრეზიდენტი გია ჯანდიერი აცხადებს, რომ, მაგალითად, ხორცზე ან მისგან ნაწარმოებ რძის პროდუქტებზე იმდენი მოთხოვნა იქნება გასათვალისწინებელი (სად გაიზარდა რით კვებავდნენ, როდის დაიკლა, ვინ გაიტანა ბაზარზე და ა.შ.) რომ მათი შესრულება ხელისუფლებას 700 მლნ. ლარი დაუჯდება. ერთი ამდენი იქნება გამოსაყოფი სოციალურად დაუცველთათვის. რადგანაც ამ კატეგორიის მოსახლეობა არაკონტროლირებად და იაფ პროდუქტს ვეღარ შეიძენს. გამკაცრებული კანონების გამო დახლებიდან უბრალოდ გაქრება.

ზაზა ბილიხოძე

merab RoRoberiZe: stambulSi rom qarxana daiwva da iq 12 adamiani Caiferfla, maT Soris 6 qarTveli iyo, icis vinmem amis Sesaxeb?

როგორ და რა ფორმით ხდება თურქეთში ქართველებით ვაჭრობა? თემის დეტალებზე „საერთო გაზეთს" არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრის" ხელმძღვანელი მერაბ ღოღობერიძე ესაუბრა, რომელიც სიტუაციის გასარკვევად თავად ჩაერთო ამ საქმეში და ქართველებით ვაჭრობის შესახებ კონკრეტული ვიდეო-მასალაც მოიპოვა.

– ფეისბუქის აქტიური მომხმარებელი ვარ. თურქეთში მყოფი ბათუმელები დამიკავშირდნენ და სიტუაციის გარკვევა მთხოვეს. დავადგინე, რომ არის ვინმე თემო, რომელიც დაკავებულია ქართველების გაყიდვით თურქეთში. მისი ტელეფონის ნომერიც გავიგე, მაგრამ ვერ ვუკავშირდები. ტელეფონი გათიშული აქვს.

– „თემოს" რა კატეგორიის ადამიანები მიჰყავს თურქეთში?

– მას აქვს სიები თურქი დამსაქმებლების და ისინი აწვდიან ციფრებს თუ რამდენი ადამიანი სჭირდებათ. შემდეგ ისიც აგროვებს ქართველებს. მათ კარგ პირობებს ჰპირდება და მიჰყავს თურქეთში. თუმცა იქ ჩასულ ადამიანებს აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაცია ხვდებათ. თურქეთში ერთი ადგილია, სახელწოდებით აქსარა, სადაც საქართველოდან მიმავალი ავტობუსები ჩერდება. სწორედ იქ მოდის „თემოს" თურქი მეგობარი დამსაქმებელთან ერთად და „თემოს" უხდიან თანხას. ჩემს შემთხვევაში, ჩემს თვალწინ გადაუხადეს 300 ლარი.

– რამდენს უხდიან ფულს „თემოს" თითოეულ ქართველში?

– გაყიდვის პროცესში, დაახლოებით, 250-300 ლირამდე. შემდეგ გადამიყვანეს ფაბრიკაში, სადაც სხვა ქართველებთან მქონდა ურთიერთობა. მათ უმძიმეს პირობებში უწევთ ცხოვრება და მუშაობა. ტანსაცმლის ფაბრიკა იყო. თურქ დამსაქმებლებს მოსყიდული ჰყავთ ადგილობრივი პოლიცია და ამ ყველაფერს შეთანხმებულად აკეთებენ. საღამოს გადავყავდით ხუთსართულიან შენობაში. გვიკეტავდნენ კარებს და დილამდე იქ ვიყავით გამოკეტილები. თუმცა მათი წასვლის შემდეგ ვაღებდი კარებს, გამოვდიოდი გარეთ და ვხვდებოდი ჩვენ, თანამოქალაქეებს. იქ გავიგე ინფორმაცია, რომ ორი თვის წინ, როცა სტამბულში დაიწვა ქარხანა, იქ იმყოფებოდა 12 ადამიანი, მათ შორის 6 ქართველი, რომლებიც ცეცხლში ჩაიწვნენ. სამწუხაროდ, ამასთან დაკავშირებით საქართველოში არაფერი არ თქმულა, არც მედიასივრცეში და არც საკონსულოს მხრიდან. დამქირავებლები ქართველებს ჩაიში ურევენ სტიმულიზატორებს, რათა გათენებამდე ამუშაონ.

– როგორ ახერხებდით ჩაკეტილი კარის გაღებას. შენობაში არ იყო დაცვა?

– ჩაგვკეტავდნენ და მიდიოდნენ. გაძლიერებული დაცვა არ ყოფილა. დილით ისევ მოდიოდნენ და სამუშაოდ მივყავდით. არანაირ საუზმეს არ გვაძლევდნენ, 2 საათზე პატარა ულუფას მოგვცემდნენ. ეს იყო და ეს.

– როგორ მოახერხეთ განთავისუფლება?

– ვუთხარი, რომ სამუშაო პირობებით უკმაყოფილო ვიყავი და წასვლა მინდოდა. მოვთხოვე, დაებრუნებინათ ჩემი პასპორტი, თუ არადა, გავიპარებოდი და ყველაფერს შესაბამის სამსახურებს შევატყობინებდი. შეეშინდათ და ასე წამოვედი. იქ გადაღებული ვიდეო-მასალა მივაწოდე საქართველოში თურქეთის საკონსულოს. ქართველების კონკრეტული გვარები მომთხოვეს, მაგრამ ამას ვერ გავაკეთებდი, რადგან ყველა მათგანს დეპორტაცია ემუქრება.

– რას აპირებთ, რა გეგმები გაქვთ?

– ისევ ვაპირებ ჩასვლას სხვადასხვა არასამთავრობათან ერთად და აუცილებლად წავიყვანთ ფსიქოლოგსაც, რათა ქართველების ნაწილი გამოვიყვანოთ თურქეთის საკონსულოს დახმარებით.

– თურქმა დამსაქმებლებმა წამოსვლისას წინააღმდეგობა არ გაგიწიეს, რადგან ხომ შეიძლებოდა მათი საქმიანობის შესახებ სამართალდამცავებისთვის შეგეტყობინებინა? მათ საქმიანობას თქვენი წამოსვლის შემდეგ ხომ საფრთხე შეექმნებოდა?

– წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. უფრო მეტიც, ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით ორი ქართველის წამოყვანაც შევძელით, რომლებიც ახლა ბათუმში იმყოფებიან. ასე, რომ ჩვენ მზად ვართ სხვებიც გამოვიყვანოთ იმ საშინელებიდან.

– ასე მარტივად გამოგატანენ „გაყიდულ" ქართველებს?

– როდესაც მივალთ და ავუხსნით სიტუაციას. ვეტყვით, თუ არ გაგვატანთ ამ ადამიანებს, მთავარ პროკურატურას შევატყობინებთ თქვენი საქმიანობის შესახებო, იძულებული გახდებიან პირობაზე დაგვთანხმდნენ.

მირანდა ნაბახტეველი

politikuri partia `qarTuli ocneba _ demokratiuli saqarTvelos~ deklaracia

არსებული ვითარების შეფასება

თბილისი,
21 აპრილი,
2012 წელი

საქართველოს ხელისუფლების საგარეო და საშინაო პოლიტიკურმა კურსმა და სახელმწიფოს მართვის მის მიერ დამკვიდრებულმა მეთოდებმა რეალური საფრთხე შეუქმნეს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პერსპექტივას.

2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ განვითარებული პოზიტიური პროცესები, ცალკეული წარმატებული რეფორმები ფასადურმა დემოკრატიამ და ავტორიტარიზმმა შეცვალა. უკეთესი მომავლის მოლოდინი საზოგადოების უდიდეს ნაწილს იმედგაცრუებად ექცა.

მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების დამძიმებისა და მოსახლეობის გაღატაკების შეუქცევადი პროცესი. მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ხელმიუწვდომელია ჯანდაცვა და განათლება. უსაფუძვლოდაა გაზრდილი კომუნალური და სახელმწიფო სააგენტოების მომსახურების გადასახდელები. შემაშფოთებელია უმუშევრობის, მოსახლეობის მიგრაციისა და დემოგრაფიული მაჩვენებლების ვარდნის მასშტაბები.

ნორმად იქცა საბიუჯეტო სახსრების, მათ შორის საერთაშორისო დახმარების, განკარგვის გაუმჭვირვალობა და არამიზნობრივი გამოყენება. გამეფებულია ელიტარული კორუფცია, მონოპოლიზებულია ბიზნესი, კრიტიკულად იზრდება საგარეო ვალის მოცულობა.

ყველა სფეროში ირღვევა ადამიანის უფლებები. ხელყოფილია უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა და თავისუფლება, მათ შორის პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით. ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლის ერთპიროვნულ ნებასაა დამორჩილებული სასამართლო სისტემა და მედიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

პოლიტიზებულია ჯარი, პოლიცია, პროკურატურა და მაკონტროლებელი ორგანოები. დამახინჯებული პრობაციისა და საპროცესო გარიგებების სისტემა გადაქცეულია ფულის ამოღების და ადამიანებზე ზეწოლის მექანიზმად.

საზოგადოება ჩამოშორებულია ქვეყნის მართვის და ობიექტური ინფორმაციის მიღების საშუალებებს. ხელოვნური ბარიერები ექმნება თავისუფალი მედიის და სამოქალაქო სექტორის საქმიანობას. სახელმწიფო სრულად აკონტროლებს სარეკლამო ბაზარს.

ფეხქვეშაა გათელილი კონსტიტუცია. ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით კონსტიტუციისა და კანონების ხშირი ცვლილებები ყოველგვარ სამართლებრივ და მორალურ ნორმებს სცილდება.

ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის ვერც პრევენცია და ვერც მისთვის ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა, რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი ადამიანური მსხვერპლი, მორალური და მატერიალური ზარალი, ტერიტორიების ოკუპაცია.

ხელისუფლებას არ გააჩნია კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის მწყობრი სტრატეგია. სახელისუფლებო პროპაგანდის ძალისხმევა მიმართულია ცრუ ინფორმაციის ტირაჟირებასა და ოპონენტების დისკრედიტაციაზე, რაზეც ათეულ მილიონობით საბიუჯეტო თანხები იხარჯება.

ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით ხელისუფლება ცდილობს გააძლიეროს ზეწოლა საკუთარ ხალხზე, შეინარჩუნოს და განამტკიცოს ავტორიტარული მართვის სისტემა.

შექმნილი რეალობა მეტყველებს მეგობარ სახლმწიფოთა რჩევებისა და მოწოდებების იგნორირებაზეც. ხელისუფლება იქცა დასავლეთისაგან მიღებული პოლიტიკური და მატერიალური დახმარების უპასუხისმგებლო მომხმარებლად.

პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" ამოცანები. სახელმწიფოს მართვის პრინციპები და პრიორიტეტები

პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" უახლოესი პერიოდის ამოცანად განიხილავს ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლას, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენის, ჩვენი შვილებისა და მომავალი თაობების უსაფრთხოების, თავისუფლების და კეთილდღეობის გარანტირების აუცილებელი პირობაა.

პარტიის იდეოლოგია ეფუძნება ჭეშმარიტ დემოკრატიულ ღირებულებებს, სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

პარტია მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

პარტია ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ოპოზიციური ძალების ერთიანობის გამყარებას პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნების" ფარგლებში და ინტენსიურად ითანამშრომლებს სხვა პოლიტიკურ ძალებთან, რომლებიც იზიარებენ კოალიციის სადამფუძნებლო დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ ხედვებს.

სახელმწიფო მართვის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოების ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებში. ამის გარანტიაა საარჩევნო გარემოს სამართლიანობა, ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნა, კონსტიტუციური რეფორმების პროცესში საერთო სახალხო რეფერენდუმის მექანიზმის გამოყენება, საგანგებო მნიშვნელობის კანონების მიღებაში ხალხის უფრო ფართოდ მონაწილეობის ახალი ფორმების დამკვიდრება.

საზოგადოებრივი თანხმობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბალანსი ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის, სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობა, მთავრობისა და არჩევითი ორგანოების ანგარიშვალდებულება ხალხის წინაშე, ობიექტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა თავისუფალი მედიის მეშვეობით.

მნიშვნელოვანია ქვეყნის მართვაში ოპოზიციური ელექტორატის წარმომადგენელთა აქტიური ჩართვა. ისინი უნდა წარმართავდნენ საბიუჯეტო შემოსავლების ხარჯვისა და სახელმწიფო ქონების განკარგვის მაკონტროლებელ უწყებათა სააგენტოების საქმიანობას.

აუცილებელია, რომ ხელისუფლების ყველა შტო, სახელმწიფო ბიუროკრატია ემსახუროს მთელი ხალხის და არა რომელიმე ცალკე აღებული პოლიტიკური ძალის ინტერესებს და განუხრელად დაიცვას ქვეყნის კონსტიტუცია. სახელისუფლო სტრუქტურებში დასაქმების კრიტერიუმებს უნდა წარმოადგენდეს ადამიანების პატიოსნება, ღირსება, პროფესიონალიზმი და არა პარტიული კუთვნილება.

აუცილებელია შეიქმნას სახელმწიფო მართვის ისეთი სისტემა, რომლის ამოსავალ წერტილად იქცევა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. დემოკრატიული ინსტიტუტების სიმძლავრე ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის მთავარ წინაპირობას წარმოადგენს.

სახელმწიფოს სტაბილურობისა და დემოკრატიული განვითარებისათვის საკმარისი არაა ადამიანის უფლებების დეკლარირება მხოლოდ სამართლებრივ აქტებში. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ უფლებების რეალიზაციის საკმარისი მექანიზმების შექმნა. დაუშვებელია, რომ მატერიალური შესაძლებლობის დეფიციტი გახდეს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთლობის, განათლების, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის მიზეზი.

ადამიანის სამართლებრივ

და სოციალურ დაცვაზე, ჯანმრთელობაზე, მის განათლებაზე მზრუნველი მართვის სისტემა უზრუნველყოფს მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთპასუხისმგებლობას. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, სახელმწიფო ბიუჯეტი, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებული უნდა იყოს ამ ამოცანის გადაწყვეტაზე.

ჯანდაცვის სფეროს მოწესრიგება სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავია. საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საბაზისო სადაზღვევო პაკეტი და ეს პაკეტი უნდა იყოს უფრო ფართო, ვიდრე არსებული ხელისუფლება ჰპირდება ყოველ მეორეს.

ომების შედეგად დაზარალებულ, დევნილ მოქალაქეებსა და დაღუპულთა ოჯახებზე ზრუნვა, მათთვის განსაკუთრებული შეღავათების დაწესება, წარმოადგენს არა სახელმწიფოს კეთილ ნებას, არამედ - ვალდებულებას.

აუცილებელია, შემწეობის მიმღები ყველა კატეგორიის მოქალაქეებისათვის გამოყოფილი საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და სახელმწიფო რესურსების მართვის კოორდინაცია. შეღავათებისა და სტიმულების დაწესებით უნდა წახალისდეს ადგილობრივი ბიზნესწრეების საქველმოქმედო საქმიანობა და ამ მიმართებით სახელმწიფოს ვალდებულებების გაზიარება.

სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს უმუშევრობის დონის შემცირება, გადასახდელების გადამხდელთა რაოდენობის გაზრდა და შედეგად ლადაა შესაცვლელი საგადასახადო სისტემა. დასაწყისისათვის აუცილებელია დაწესდეს დაუბეგრავი მინიმუმი, რომელიც საარსებო მინიმუმს გაუტოლდება. ადამიანები, რომელთა შემოსავალი თვეში საარსებო მინიმუმის ტოლია, საერთოდ არ უნდა იბეგრებოდნენ საშემოსავლო გადასახდით, ხოლო ყველა დანარჩენს დასაბეგრი ბაზა უნდა შეუმცირდეს.

ეკონომიკური პოლიტიკა უნდა დაემკვიდროს ლიბერალურ საბაზრო პრინციპებს. ბიზნესის სფეროების დემონოპოლიზაციის გარეშე შეუძლებელია კონკურენტული გარემოს შექმნა, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება, სამუშაო ადგილების ზრდა და საშუალო სოციალური ფენის გაფართოება.

კერძო საკუთრება ხელშეუხებელია. დაუშვებელია, რომ სახელმწიფო ხელს უწყობდეს მის გადანაწილებას პოლიტიკური ნიშნით, პროპაგანდაზე აგებული ეკონომიკური პროგნოზითა და მცდარი ეკონომიკური სტიმულებით შეცდომაში შეჰყავდეს კერძო მესაკუთრე, ზღუდავდეს ან კრძალავდეს იმ მეწარმეთა საქმიანობას, რომლებსაც საბანკო ვალი აქვთ აღებული.

სოფლის მეურნეობის განვითარება შესაძლებელია ამ სექტორში ინვესტიციების მოზიდვით, მათ შორის მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო რესურსების გამოყენებით. სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი წარმოების გაფართოება სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეთა ჩართულობის გაფართოება. ქვეყნის ბიუჯეტი უნდა ძლიერდებოდეს გადასახდელების გადამხდელთა რაოდენობის და არა გადასახდელების მოცულობის ზრდის ხარჯზე. დაუშვებელია, საზოგადოების და სახელმწიფოს ურთიერთობები მიმდინარეობდეს მთხოვნელისა და მოწყალების გამცემის ურთიერთობის ფორმატში.

სოციალური სამართლიანობის მიღწევის მიზნით ძირეუ-

სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს როგორც კერძო ფერმერული მეურნეობების განვითარებას, ასევე გლეხური მოეურნეობების კოოპერირებას. საგანგებო ყურადღებასა და მხარდაჭერას საჭიროებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინადადება, რომელიც გულისხმობს მოტივირებული და ორგანიზებული მეურნეებისათვის საეკლესიო მიწების უსასყიდლოდ გადაცემას.

სახელმწიფოსა და მოსახლეობის ერთობლივი ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა. ჩვენი მომავალი თაობების წინაშე ჩადენილი დანაშაულია მოკლევადიანი ეკონომიკური სარგებელის ფასად ეკოლოგიური ზიანის მომტანი კანონების მიღება. ამასთანავე, სწორედ ეკოლოგიური რესურსი და ბუნების მრავალფეროვნება წარმოადგენს მთელი რიგი შემოსავლიანი დარგების განვითარების და ხალხის ფიზიკური სიჯანსაღის ბაზისს.

ეროვნული ისტორიული ფასეულობებისა და კულტურული მემკვიდრეობის, ისევე როგორც ხელოვნებისა და სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშეწყობა საერთო მსოფლიო ოჯახში საქართველოს იდენტობის დამკვიდრებას უნდა ემსახურებოდეს.

სახელმწიფოს სტაბილურობის უზრუნველყოფის ამოცანებს ასევე განეკუთვნება საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის ზრუნვა, მათი თანასწორუფლებიანობის გარანტირება.

განათლების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაზე, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა საერთო სახელმწიფო სისტემაში ინტეგრირებასა და საერთაშორისო დონის სპეციალისტების მომზადებაზე.

ძირეულადაა შესაცვლელი სახელმძღვანელოების პოლიტიკა. ბოლო უნდა მოეღოს განათლების სფეროს პოლიტიზაციას და პოლიციური მეთოდებით ადმინისტრირებას.

ასაღორძინებელია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი, რომლის დეფიციტს განიცდის როგორც ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგი, ასევე სოციალური და კულტურული სფეროები.

ჯანსაღი ცხოვრების წესი ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად უნდა იქცეს. ამის განხორციელება შეუძლებელია კამპანიური, პროპანდისტული ხასიათის ღონისძიებებით. სახელმწიფოს განვითარების პროგრამის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად უნდა იქცეს საზოგადოების ფართო ფენებისათვის სპორტის ხელმისაწვდომობა, საგანმანათლებლო სისტემაში მისი ფართოდ დაბრუნება.

აუცილებელია კრიმინალთან და დანაშაულობებთან ბრძოლის გამკაცრება. უსაფრთხო გარემო ქვეყნის განვითარებისათვის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. ამასთანავე, ყოვლად დაუშვებელია ეს ხორციელდებოდეს საზოგადოებრივი კონტროლის მიღმა დარჩენილი, სრულიად პოლიტიზირებული და სადამსჯელო ოპერაციებზე ორიენტირებული სტრუქტურების მიერ.

საქართველოს საზოგადოება საჭიროებს მისი ინტერესების დამცველ პოლიციელს. დემოკრატიული ქვეყანის სტანდარტი მოითხოვს რესოციალიზაციაზე ორიენტირებულ და არა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის მატარებელ და ღირსების შემლახავ სასჯელაღსრულების სისტემას.

საგარეო ურთიერთობების ორიენტირები მიმართული უნდა იყოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ. არანაკლებ მნიშვნელოვანია რეგიონალური თანამშრომლობის განვითარება და ურთიერთობების ნორმალიზაცია რუსეთთან. საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის საიმედო და პროგნოზირებად პარტნიორად უნდა იქცეს.

საქართველომ საერთაშორისო თანამეგობრობას უნდა შესთავაზოს ტერიტორიული პრობლემების მშვიდობიანად მოგვარების მწყობრი, მრავალმხრივ მოლაპარაკებებზე ორიენტირებული სტრატეგია.

ქვეყნის უსაფრთხო არსებობას უნდა უზრუნველყოფდეს თანმიმდევრული ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის ქვაკუთხედიც არსებული სამხედრო საფრთხეების ადეკვატური შეიარაღებული ძალებია.

საჭიროა სამხედრო ძალების განვითარება ეფუძნებოდეს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს. სამოქალაქო-დემოკრატიული კონტროლიდან გამოსული ეროვნული უსაფრთხოების სიტემა და მისი მმართველობა, ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს სტაბილურ გარემოში განვითარების შესაძლებლობას.

პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" მზადაა პასუხისმგებლობა აიღოს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანაზე, მოქალაქეების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე, შიდაეროვნული თანხმობის მიღწევასა და დამკვიდრებაზე, რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში საქართველოსათვის ღირსეული პარტნიორის ფუნქციის დაბრუნებაზე.

ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება - მშვიდობიანი განვითარების საშუალება მივცეთ ჩვენს ლამაზ ქვეყანას, უსაფრთხო მომავალი შევუქმნათ მომავალ თაობებს.

გვფარავდეს უფალი!

Jurnalist giorgi sanaias mkvlelobis ucnobi detalebi

ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობიდან მალე 11 წელი შესრულდება. თითქოს ეს საქმე გაიხსნა და მკვლელიც დასაჯეს, მაგრამ დღემდე მაინც ბურუსითაა მოცული რეალურად რატომ მოკლეს ცნობილი ჟურნალისტი. საზოგადოების უმეტეს ნაწილს მისი მკვლელობისთვის მსჯავრდებული გრიგოლ ხურცილავა ნამდვილად არ მიუჩნევია რეალურ დამნაშავედ. როგორც შევიტყვეთ, ხურცილავა კარგა ხანია თავისუფლებაზეა.

გიორგი სანაიას მკვლელობიდან რამდენიმე დღეში პოლიციამ ვინმე დათო გელაშვილი დააკავა. როგორც უფლებადამცველი და ადვოკატი გიორგი თევზაძე აცხადებს, დაკავებულმა დახმარებისთვის მას მიმართა, სამართალდამცავებს გელაშვილისთვის უნდოდათ ამ მკვლელობის დაბრალება. დაკავებულის განცხადებაში ვკითხულობთ, რომ გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეში ის სრულიად უდანაშაულოა, მას საერთოდ არ იცნობდა და არც რაიმე ურთიერთობა ჰქონია, მითუმეტეს ისეთი, რაზეც ედავებოდნენ.

„ამ ყველაფერს კი არაჯანსაღი აჟიოტაჟი მოჰყვა. ფაქტობრივად ჩირქს გვცხებენ მარტო მე და ჩემს ოჯახს კი არა, აწ განსვენებულ გიორგი სანაიასაც. ათასგვარ შეურაცხმყოფელ და ცილისმწამებლურ ჭორებს ავრცელებენ. მე თავად მოვითხოვ ამ საქმის ობიექტურად გამოძიებას და მკვლელობაში რეალური მონაწილეების დასჯას.

მოგახსენებთ რა პირობებში მოხდა ჩემი დაკავება: 3 აგვისტოს გვიან საღამოს მელიქიშვილის ქუჩაზე უცნობმა მამაკაცმა გამაჩერა და მკითხა – დათო ხარო, რაც დავუდასტურე. მან ხელმკლავი გამომდო და ავტომანქანაში ჩამსვა, სადაც კიდევ ორი მამაკაცი იჯდა. ვკითხე, ვინ იყვნენ და სად მივდიოდით, რაზეც მიპასუხეს 15 წუთში ყველაფერი გაირკვევაო. მიმიყვანეს შსს-ს შენობის მე-6 სართულზე. კვლავ მოვითხოვდი აეხსნათ რატომ დამაკავეს. მიპასუხეს, შენ აქ არც ქურდობისთვის ხარ მოყვანილი, არც ყაჩაღობისა და ნარკოტიკისთვის, შენ თვითონ მიხვდი რისთვისაც ხარო. მათ ქარაგმებს ვერაფერი გავუგე. შემდეგ დამიწყეს გამოკითხვა ჩემს სექსუალურ ორიენტაციაზე, კერძოდ, ვიყავი თუ არა „ცისფერი“. მათაც ვუთხარი და ვიმეორებ, ეს ჩემთვის, შეურაცხმყოფელია. მე არანაირი სექსუალური დეფექტი არ გამაჩნია, სრულფასოვანი მამაკაცი ვარ, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. მოვითხოვე, ამ კუთხით ექსპერტიზა ჩაეტარებინათ, რათა საბოლოოდ დადასტურდეს, რომ ჩემს გადახრებზე საუბარი ცილისწამებაა და კანონის წინაშე პასუხი აგონ ცილისმწამებლებმა. შემდეგ მკითხეს თუ ვიცნობდი გიორგი სანაიას, რაც ვუარე. არ დამიჯერეს, იცნობდი და გვიმალავო. რომ მცნობოდა ნამდვილად არ დავმალავდი. მერე მომიტანეს 2 თუ 3 ფოტორობოტი, არცერთი არ მგავდა. შემდეგ თავად გადამიღეს სურათები, ვიდეოფირზეც დამაფიქსირეს, მკითხეს თმას რომელ მხარეს ვივარცხნიდი, რადგან მაშინ თმა გადაპარსული მქონდა. ამის მერე ჟურნალში ვნახე სავარაუდო მკვლელის ფოტორობოტები და ერთი უკვე მგავდა, ფაქტობრიუვად, ის შეცვლილი იყო.

მაშინ ამ მკვლელობასთან დაკავშირებით ბინძური ხმები მართლაც ვრცელდებოდა, მაგრამ აქ მთავარი ისაა, ვინ იყო გამავრცელებელი. მართალია, ზოგიერთი ე.წ. რეფორმატორი, რომელთაგან ზოგი დღეს ხელისუფლებაშია მიკალათებული და ზოგსაც ოპოზიციონერის მანტია აქვს მოსხმული, აცხადებდა, რომ ამ ხმებს შსს ავრცელებდა, მაგრამ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ეს არ დაუჯერებია. სხვათა შორის, გიორგი სანაიას მეგობარმა ცნობილმა ჟურნალისტმა ქალბატონმა ცოტა მოგვიანებით საგაზეთო ინტერვიუშიც განაცხადა, რომ ამ სიბინძურის გამავრცელებლები ეს „დემოკრატი-გულშემატკივრები“ უფრო იყვნენ. მაშინდელი კულუარული ინფორმაციით, თურმე, შსს-ში დასაკითხად ყველა საეჭვო ორიენტაციის მამაკაცი მიიყვანეს, მათ შორის ბევრი ცნობადი თუ ცნობილი სახეც, თუმცა დაკითხვის შემდეგ ყველა გაუშვეს. ეს უკვე ნიშნავდა, რომ სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ რაიმე ამგვარი ვერსია უარყოფილი იქნა.

გიორგი თევზაძე: „გელაშვილის დაკავების შემდეგ შსს ხმამაღალ პრესკონფერენციებს მართავდა, სანაიას მკვლელობაში ეჭვმიტანილი დავაკავეთო. გელაშვილს იმ პერიოდში მხოლოდ თაღლითობის ბრალდება ჰქონდა წაყენებული. მან თავიდან, როგორც უფლებადამცველს, ისე მომმართა, შემდგომ კი მთხოვა მისი ადვოკატიც ვყოფილიყავი. იმ პერიოდში იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი კონტროლის საბჭოს წევრი ვიყავი და უფლება მქონდა ნებისმიერ ბრალდებულსა თუ მსჯავრდებულს შევხვედროდი, თანაც ნებისმიერ დროს. იმ პერიოდში მიხეილ სააკაშვილი იყო იუსტიციის მინისტრი, მისი ინიციატივით შეიქმნა ეს საბჭო. შევხვდი გელაშვილს, რომელმაც მითხრა, რომ ეს იყო შეკერილი ბრალდება და მისი დაჭერით დაინტერესებულნი იყვნენ მაშინდელი თანამდებობის პირები. მისი საუბრიდან გამომდინარე დავრწმუნდი, რომ ამ მკვლელობაში უდანაშაულო იყო. მის ოჯახს ვუთხარი, რომ გელაშვილს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავიცავდი თუ უდანაშაულო იყო, თანაც უსასყიდლოდ. სხვათა შორის, სხვა ადვოკატებმა მის დაცვაზე თავიდანვე უარი თქვეს.

საერთოდ, რატომ დააკავეს ეს პიროვნება თუ, როგორც თვითონ აცხადებს, ფოტორობოტი გააყალბესო?

როგორც გითხარით, მას მანამდე თაღლითობის ბრალდება ჰქონდა წაყენებული და ამ საქმეში ე.წ. დაზარალებულებად მაშინდელი პარლამენტარების ოჯახის წევრები გადიოდნენ. განტევების ვაცს ეძებდნენ, რომ ეს მკვლელობა მიეწერათ და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის დაიჭერდნენ, მთავარია, ბრალდებული ჰყოლოდათ. აკი, ბრძანა კიდეც მაშინდელმა გენპროკურორმა გია მეფარიშვილმა სანაიას მკვლელობის გახსნა სამართალდამცავების ღირსების საკითხიაო. ისეთი ვიღაც უნდა ეპოვათ, ვისაც პატრონი და საზოგადოების მხრიდან მომკითხავი არ ეყოლებოდა. თუმცა არაფერი გამოუვიდათ. მაღლობა მინდა ვუთხრა მაშინდელ ჟურნალისტთა კორპუსს, რომელიც, როგორც ადვოკატს, გვერდით დამიდგა. თავიდან ისინიც აყვნენ ფეხის ხმას, ეგონათ, გელაშვილი იყო მკვლელი, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ აქ რაღაც სხვა თამაში იყო. დაკავებულის 11-12 საათის განმავლობაში დაკითხვა ყოვლად დაუშვებელია, არცერთ სამართლებრივ და პროცესუალურ ნორმებში არ ჯდება. დაკითხვა მეორე დღესაც გაგრძელდა, ოღონდ უკვე შსს-ს „კაპეზეში“, მაგრამ რატომღაც ეს ყველაფერი მაშინდელ ე.წ. რეფორმატორებს არ გაუპროტესტებიათ. გელაშვილზე ფიზიკური ზეწოლა არ მომხდარა, ეს არც აწყობდა შსს-ს, რადგან სასჯელაღსრულების დაწესებულებები მაშინ უკვე იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარებოდა. კახა თარგამაძისა და მიხეილ სააკაშვილის დაპირისპირების ამბავი კი ყველას კარგად გვახსოვს. გელაშვილს რაიმე ფიზიკური დაზიანება რომ ჰქონოდა, სააკაშვილი ერთ ამბავს ატეხავდა. პოლიციამ სასურველი ჩვენება გელაშვილისგან ვერ მიიღო. იგი №5 საპყრობილეში გადაიყვანეს, მაგრამ როგორც ჩანს, შსს, გარკვეულწილად, მაინც აკონტროლებდა სასჯელაღსრულების სისტემას, რადგან გელაშვილი ისეთ საკანში მოხვდა, სადაც ხსენებული უწყების აგენტები იყვნენ. სხვათა შორის, მისმა ერთერთმა თანასაკნელმა შეხვედრა მთხოვა, დაუყოვნებლივ ვინახულე, მეგონა, თავისი უფლებების დაცვას მთხოვდა, მაგრამ მითხრა, შსს-დან ინფორმაცია მაქვს თუ გელაშვილი დღეს არ აღიარებს სანაიას მკვლელობას, სექსუალური მანიაკების ბედს გაიზიარებს და შეიძლება მოკლან კიდეცო. მაშინვე ჩავაყენე საქმის კურსში ციხის ადმინისტრაცია და გელაშვილი დაუყოვნებლივ გადაიყვანეს სხვა საკანში. შეიძლება, უბრალო დამთხვევა იყო, მაგრამ მეორე დღეს სამთავრობო სხდომაზე გენპროკურორმა გია მეფარიშვილმა გელაშვილი ეჭვმიტანილის მაგივრად, უკვე ბრალდებულად მოიხსენია. ბატონ გიას დიდ პატივს ვცემ, როგორც პროფესიონალ იურისტს, საეჭვოა მას ელემენტარული სამართლებრივი ნორმა დავიწყებოდა, რომ პირი, რომელიც მოცემულ საქმეზე ოფიციალურად ეჭვმიტანილადაც კი არ იყო დაკითხული, ბრალდებული ვერ იქნებოდა.

– ისე, ამ მკვლელობისთვის მსჯავრდებული გრიგოლ ხურცილავა და დათო გელაშვილი გარეგნულად მართლაც წააგავდნენ ერთმანეთს.

– ამის შემდეგ დააკავეს ხურცილავა, რომელმაც დანაშაული აღიარა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მტკიცებულებები თურმე თავადვე მიიტანა პოლიციაში. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, მანამდე რატომ დუმდა, რას ელოდებოდა? ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მისი ადვოკატი პირდაპირ აცხადებდა: ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი დამნაშავეაო. მე შინაგანად მაინც მგონია, რომ ამ მკვლელობაში ხურცილავაც უდანაშაულოა, მაგრამ ვერ ჩავერეოდი, ყველა ადამიანი თავად ირჩევს საკუთარ ბედს. სხვათა შორის, გელაშვილსაც სთავაზობდნენ მაცდუნებელ წინადადებებს მკვლელობის საკუთარ თავზე აღების სანაცვლოდ, მაგრამ კატეგორიული უარი თქვა. მეც მითხრა, განა ისეთი რა უნდა გადამიხადონ, რომ ჩემი შვილები მკვლელი მამის შვილობისთვის გავწიროო.

მაშინაც და შემდეგაც აქტიურად ვრცელდებოდა ხმები, რომ გიორგი სანაიას მკვლელობა პანკისის ხეობაში არსებულ მძიმე კრიმინოგენურ ვითარებას და იმ ვიდეოკასეტას უკავშირდებოდა, რომელზეც მაშინდელი შსს-სა და უშიშროების მაღალჩინოსნები ნარკობარონებთან ერთად იყვნენ აღბეჭდილნი. მაშინდელმა გამოძიებამ ეს ვერსია უარჰყოო. 2001 წლის ნოემბრის შემდეგ აღარც კახა თარგამაძე იყო თანამდებობაზე და აღარც ვახტანგ ქუთათელაძე, თანამდებობა დატოვა გენპროკურორმა გია მეფარიშვილმაც. რა უშლიდათ ხელს, რომ ამ ასე ვთქვათ, რეალურ და ობიექტურ ვერსიას მიბრუნებოდნენ. მითუმეტეს 2003 წლის ნოემბრიდან ხელისუფლებაში რეფორმატორები მობრძანდნენ და პოლიცია-პროკურატურა მთლიანად მათ ხელში იყო, ვინ ჰყავდათ ჭეშმარიტების დადგენაში ხელისშემშლელი? რატომ დარჩა ეს მკვლელობა ყოფით პრობლემებთან დაკავშირებით ჩადენილ დანაშაულად? ეს ყველაფერი აძლიერებს იმ ეჭვებს, რომ აქ არც პანკისის ხეობა იყო არაფერ შუაში და არც მაშინდელი ძალოვანები. თუ ობიექტური გამოძიება ჩატარდებოდა, სულ სხვა პერსონებამდე მიგვიყვანდა. კულუარული ინფორმაციით, მაშინდელმა პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ პირადად სთხოვა კახა თარგამაძეს ეს საქმე ბოლომდე და ობიექტურად არ გამოიძიოო. კახა თარგამაძის ადვოკატობას ნამდვილად არ ვაპირებ, თუმცა მის პროფესიონალიზმში ეჭვი ნამდვილად არ მეპარება და არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ მან ნამდვილი მკვლელისა თუ დამკვეთის ვინაობა კარგად იცოდა. რაც შეეხება იმ საბედისწერო ვიდეოკასეტას თუ ის სინამდვილეში მართლაც არსებობდა, როგორც მაშინ ვრცელდებოდა ხმები იმ ვიდეოკასეტაზე სულ სხვა რამ იყო აღბეჭდილი. ავ ენებს თუ დავუჯერებთ იმ ვიდეოკასეტაზე მარადმწვანე დეპუტატთა და ჩინოსანთა „მამაკაცური სიყვარულის“ დამადასტურებელი ამურული სცენები იყო აღბეჭდილი და მავანნი ცდილობდნენ ეს „მამხილებელი“ მასალები ასლან აბაშიძის ხელში არ მოხვედრილიყო.

მანანა სუხიშვილი

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

Cvenze daudevrad sakuTar qveyanas dRemde aravinar mopyrobia

დღეს ხელისუფლება ინტენსიურად საუბრობს ეკონომიკის, მრეწველობისა სოფლის მეურნეობის ინვესტირებასა და აღორძინებაზე. თუმცა რა დაანგრია და რატომ, დღეს აღარავის ახსოვს. იყო თუ არა დანაშაულებრივი ქმედება სახელისუფლებო წრეების მხრიდან ბოლო ოცი წლის განმავლობაში იმ საქმეში, რასაც მოჰყვა შემდგომში უმუშევრობა, გაღატაკება და ქვეყნის დაცარიელება.

საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს.

— ბატონო ჯუმბერ, დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკისა თუ სოფლის მეურნეობის ნგრევა, გუშინ და გუშინწინ არ დაწყებულა, ფაქტობრივად, ქვეყნის დამოუკიდებლობამ შექმნა ჩვენში არსებული ვითარება, დღეს კი ლაპარაკი ლაპარაკად რჩება, საქმე კი არ ჩანს. რაში ხედავთ გამოსავალს, მარტო ხელისუფლების შეცვლა რომ ხალხის ცხოვრებას უკეთესობისაკენ არ ცვლის ეს უკვე დაამტკიცა გამოცდილებამ...

— დავიწყოთ იქიდან, თუ რანი ვიყავით და რისი პოტენციალი გაგვაჩნდა. დღეს ქვეყანაში ნორმალური, ხარისხიანი პურის დეფიციტია იმ დროს, როდესაც მსოფლიოში არსებული ხორბლის 24 ჯიშიდან 14 ქართულია, მისი წარმოებით კი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა ვიყავით. მე კარგად მახსოვს, როდესაც ჩამოდიოდნენ აქ იაპონელი მეცნიერი გენეტიკოსები, როგორ იყვნენ დანტერესებული ამ ჩვენი ჯიშებით და როგორ ცდილობდნენ მის წაღებას თავის ქვეყანაში. ასევე მნიშვნელოვანი იყო ეს ფაქტი იმ ამერიკული კომპანიებისა და ფირმებისათვის, რომელნიც დღეს აქ ჩამოდიან და ცდილობენ თავს მოგვახვიონ თავისი პროდუქცია.

მაოცებს დღევანდელი ხელისუფლების მიდგომა, ორი კვირით გაუშვებენ ვინმეს უცხოეთში სწავლებაზე და იქიდან ელიან, რომ სრულად განათლებული ადამიანი დაბრუნდება. აბსოლუტურად გაუგებარია, ორ კვირაში დაუშვებელია რომელიმე დარგის შესწავლა, და არც ის სერტიფიკატი ვარგა არაფრად, რაც იქიდან ჩამოაქვთ, ეს არის სრული ბლეფი!

დღეს ჩვენ გვყავს საკმაოდ ბევრი ისეთი დონის მეცნიერი, რომელიც თავისუფლად შეძლებს განავითაროს რომელიმე დარგი ისე, რომ იყოს საუკეთესო ქვეყნისათვის, მაგრამ მარტო რას გაა‍ფყობენ? უსმენს მათ ვინმე? ხელისუფლებას აინტერესებს? ავიღოთ, თუნდაც, ჩაი, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში გაშენდა კოლხეთში. ამ კულტურას ჰქონდა საბჭოთა დროს თავისი ინსტიტუტი, უმრავი მეცნიერი მუშაობდა ამ დარგში, მისადმი დამოკიდებულება იყო უზენაესი, ამიტომაც იყო ის წარმატებული ქვეყნისათვის. გვაქვს დღეს ქართული ჩაი? მხოლოდ მცირე რაოდენობით და ისიც კერძო სტრუქტურაში, მისდამი სახელმწიფო მიდგომა დაიკარგა. გეოგრაფიულად ვართ ჩრდილოეთ-სუბტროპიკული ზონა, ამიტომარის შესაძლებელი იყოს ჩვენს მიწაზე ამდენი კულტურა. ეს უნიკალური პირობები დღეს ვინმეს ახსოვს? გავიხსენებ

იმ დროს, როდესაც მანდარინი ღირდა 20 კაპიკი, მას ვაგზავნიდით საკავშირო ფონდში და იქიდან 11 კაპიკად შემოგვქონდა ხორბალი. ფაქტობრივად, ერთი კილოგრამი მანდარინი, ორ კილოგრამ ხორბალზე იცვლებოდა, წელიწადში კი ვაგზავნიდით 200-250 ათას კილოგრამს. იყო, წლებიც, როდესაც ჩვენთან საშუალო მოსავალი ხორბლის უფრო მეტი იყო ვიდრე აშშ-ში. მაგალითისთვის გეტყვით, რომ 1988 წელს საქართველომ მიიღო 880 ათასი ტონა ხორბლის მარცვალი.

შეუძლებელია, რომ ქართველ მოღვაწეებს დავიწყებოდათ ის, რაც იყო. ქვეყანა იყო რესპუბლიკათა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, ქართველი გლეხკაცი გამართული დადიოდა სოფელში და ჰქონდა თავისუფლება, ის არასოდეს არაფერში არ შეუზღუდავთ. დღეს ჩვენ მარტო ტერიტორიები კი არ დავკარგეთ, ყველაფერი დავკარგეთ.

იყო თუ არა კოლმეურნეობა კომუნისტური? არა, სულაც არ იყო, ილიასეულ განმარტებას თუ ვიხმართ, ის ასეთ კოლექტიურ, სახელმწიფო მეურნეობას უწოდებდა სამსოფლიოს, ანუ სახელმწიფო მეურნეობას, საქვეყნოს და არა კერძოს, რომელიც ქვეყანას სჭირდებოდა.

დღეს ილიაზე ლაპარაკობენ, კაბინეტებში სურათებიც უკიდიათ — წაკითხული კი საერთოდ არ აქვთ! ისიც კი არ იციან, რომ მსოფლიოში 1600 ვაზის ჯიშიდან 600 — ქართულია! რუსეთის ბაზრის დაკარგვამ ისევ ჩვენ არ დაგვაზარალა? როგორ შეიძლება მოსკოვის რომელიმე ოლქში ის, ხმებოდეს მილიონი დეკალიტრი, ხვანჭკარა? ეს ყველაფერი ისევ საქართველოს ეკონომიკას დაუბრუნდა ცუდად.

არ იყო სასოფლო-სამეურნეო დარგში სფერო, რომელიც საქართველოში არ ფუნქციონირებდა. ავიღოთ აბრეშუმი, აბრეშუმის გზას რომ გაიძახიან, დღეს ჩვენ აბრეშუმს ვაწარმოებთ? ვინმეს ახსოვს, რომ ქართული აბრეშუმი ბევრად უფრო სჯობდა აბრეშუმის მწარმოებელი სხვა, ქვეყნების აბრეშუმს ხარისხით? სად გაქრა ვინმეს, აინტერესებს? აბრეშუმის მუზეუმი რომ იყო თბილისში სად არის?

მომავალმა თაობამ მინდა იცოდეს, რომ ჩვენ მაშინ ვმუშაობდით და არ ვთაღლითობდით, ვაკეთებდით იმას, რაც ქვეყნის ინტერესებს სჭირდებოდა.

საქართველოში იყო 2 მილიონ 200 ათასი სული ცხვარი, დღეს ის მცირე ნაწილიც იყიდება, რაც დარჩა, რა გველის მომავალში, ვინმე ფიქრობს? წელიწადში 1 მილიარდი ცალი კვერცხი იწარმოებოდა საქართველოში, მეფრინველეობის ფაბრიკებში, 20-25 ათასი

ტონა ფრინველის ხორცი და ეს ისე არ ხდებოდა. პროფესიონალების რჩევებს ითვალისწინებდა ხელისუფლება და ასე ხდებოდა ყოველივე. უცხოეთიდანაც მოგვყავდა კონსულტანტები.

— ბატონო ჯუმბერ, თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ ყველა საქმეში, რომელსაც სახელმწიფო აკეთებდა, ჩადებული იყო პატრიოტული ელემენტები, ამიტომაც ქვეყანა არ ზარალდებოდა, დღეს ხელისუფლება ინვესტორებს არის მიჩერებული, მარტო მათი იმედი აქვთ, ჩვენ რა გვრჩება?

— შეკითხვა არის დროული, მაგრამ გეტყვით, რომ ჩვენ ასე არ გვიცხოვრია, რომ გვეფიქრა — ჩვენ რა გვინდა? ქვეყანაზე ფიქრი იყო სერიოზული. დამოუკიდებლობა არ ნიშნავს იმას, რომ გააკეთო ის, რაც გინდა. ქვეყანაში ინვესტიციები უნდა იყოს, მაგრამ მიჩნდება კითხვა, რა არის ინვესტორების საზრდო? მე მირჩევნია ეს ყოველივე ქართველმა გააკეთოს, მათ შანსი უნდა მიეცეთ, აქვთ მათ ამის პირობები? ჩვენზე დაუდევრად საკუთარ ქვეყანას დღემდე არავინ არ მოქცევია!

— 2004 წელს დაიწყო ყველაფერი?

— პირიქით, 2004 წლამდე უკვე ყველაფერი განადგურებული იყო, სამოქალაქო ომი რომელ ქვეყანაში მოხდა ჩვენს გარდა? ეს ყველაფერი იყო დაგეგმილი პროექტი, რომელიც შესანიშნავად განხორციელდა! გარე ძალები მუშაობდნენ მშვენივრად და მიაღწიეს ყველაფერს და ეს გახლავთ დანგრეული საქართველო! აიღეთერთი მაგალითი, ავღანეთში ვინ იბრძვის, მარტო ამერიკა და ჩვენ. ნატოში 27 ქვეყანაა, რატომ ისინი არ იბრძვიან? ჩვენ რატომ ვზრდით სამხედროების რაოდენობას? — ეს ყველაფერი არის ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი ქმედება! ავღანეთის მოსახლეობას მეხსიერებაში ხომ რჩება ეს ყოველივე, შემდგომში ეს ჩვენ გამოგვადგება?

— ბატონო ჯუმბერ, ადრეც ხდებოდა, როცა სოფლის მეურნეობის მინისტრი ექიმი იყო ან ჯანდაცვის მინისტრი არასპეციალისტი?

— ეს იმდენად დიდი გაუგებრობაა, რომ არ მესმის. ერთ მაგალითს გავიხსენებ. 1987 წელს აშშ-დან ჩამოსული იყვნენ სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები საქართველოში. როდესაც ისინი ჩვენს მოსწავლეებს შეხვდნენ და მათი ცოდნის დონე გაიგეს, ამერიკელი მასწავლებლები გაოცებულები დარჩნენ ჩვენი მოსწავლეების მრავალმხრივი განვითარებით. დღეს რატომ დაიკარგა ეს ყოველივე? იყო თუ არა ეს მიზანმიმართული?

— ერთი რამ მინდა გკითხოთ, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია დღეს ისევ სადაოა, ამბობენ, რომ თქვენ ეს საკითხი საკავშირო მთავრობასთან მოგვარებული გქონდათ, მაგრამ შემდეგ შეჩერდა, რა იყო ამის მიზეზი?

— ამ საკითხთან დაკავშირებით მოსკოვში გახლდით გორბაჩოვთან, მან ფაქტობრივად, მომისმინა, დაუკავშირდა მაშინდელ საკავშირო თავდაცვის მინისტრს — იაზოვს და ჩემივე თანდასწრებით მოსთხოვა ამ საკითხის გადაწყვეტა ჩვენთვის ყველაზე მისაღები ვარიანტით. ასეც მოხდა, რამოდენიმე დღის შემდეგ აქ ჩამოვიდა იაზოვი, საკითხი შეისწავლა და შევთანხმდით, რომ, დაახლოებით, 70 ჰექტარი მიწა, ბერთუბნის ტერიტორია ჩვენ გადმოგვეცემოდა სხვა შესაბამისი ტერიტორიის სანაცვლოდ. სამწუხაროდ, რამოდენიმე თვეში პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა, სსრკ დაიშალა და ეს შეთანხმება ვეღარ განხორციელდა, თუმცა აზერბაიჯანის მთავრობაც თანახმა იყო ამ შეთანხმებზე, დღეს არავის სცალია იმისათვის, რომ ეს პრობლემა სახელმწიფოთა შორის განსჯის საგანი გახდეს, დღეს დავით გარეჯს ახსენებს ვინმე?

— დღეს გაღატაკებული საქართველოს ასაღორძინებლად, ქართული პოტენციალის აღსადგენად, ხელისუფლებას დაუპირისპირდა ბიძინა ივანიშვილი. მისი მოკრძალებული საუბრიდან ირკვევა, რომ მას სერიოზული სახელმწიფოებრივი გეგმები აქვს, როგორ ფიქრობთ, შეძლებს თუ არა ის დღევანდელ სიტუაციაში იმას, რომ არჩევნების გზით მოვიდეს ხელისუფლებაში თავის გუნდთან ერთად?

— უნდა მოხდეს ხალხის მხარდაჭერა ისეთი, როგორიც არ მომხდარა, ხალხმა უნდა დაიცვას თავისი ხმა. ბიძინა ივანიშვილისადმი ჩემი დამოკიდებულება არის და იყო ერთგვაროვანი, კერძოდ ის, რომ ის გახლავთ ერთი უნიჭიერესი ქართველი კაცი, რომელმაც მიაღწია იმას, რაც ბოლო ნახევარ საუკუნეში არავის არ მიუღწევია და შეუქმნია! მე ის გავიცანი 1994 წელს, როდესაც მან პირველმა ქართველმა შემოიყვანა საქართველოში 500 ტრაქტორი და ეს იყო ძალიან მძიმე პერიოდი საქართველოსათვის. ზოგჯერ მასზე ლაპარაკობენ ისინი, ვისაც არაფერი გაუკეთებია ცხოვრებაში, მაგრამ ის გახლავთ მართალი ბიზნესმენი და მას გააჩნია ღირსება, ამ ღირსების გარეშე ვერ მიაღწევდა იმას, რაც შექმნა.

საქართველოს გადაარჩენს არა მარტო არჩევნებში მონაწილეობა, არამედ, ჩვენს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება, რომელიც შექმნის ისეთ ფონს, რომ ჩვენ, როგორც ქვეყანა, ვიქნებით საინტერესო იმ ქვეყნებისთვისაც და იმ ადამიანებისათვისაც, ვინც დღეს ჩვენთან არ ურთიერთობს.

მოდით, ყველამ ქართულად შევხედოთ საქართველოს ისე, როგორც ჩვენი წინაპრები უყურებდნენ.

ეთერ კასრელიშვილი

ვლადიმირ პუტინმა დიმიტრი მედვედევი „ედინაია როსიას" თავჯდომარეობის კანდიდატად წარადგინა

რუსეთის ფედერაციის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის და ახლადარჩეული პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განცხადებით, ინაუგურაციის შემდეგ ის მმართველი პარტიის „ედიანაია როსიას" თავმჯდომარის პოსტს დატოვებს. პუტინმა აღნიშნულ თანამდებობაზე დიმიტრი მედვედევის კანდიდატურა წარადგინა.

„ბი-ბი-სის" ცნობით, ამის შესახებ პუტინმა „ედიანია როსიას" ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას განაცხადა.

„ინაუგურაციის შემდეგ, რომელიც 2012 წლის 7 მაისს შედგება, მე მართებულად ვთვლი უარი ვთქვა პარტია „ედიანაია როსიას" თავმჯდომარის უფლებამოსილებაზე"-აღნიშნა პუტინმა.



მისი თქმით, რუსეთში ისეთი პრაქტიკა დამკვიდრდა, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტი ზეპარტიულ ფიგურაა.

„კონსტიტუცია პრეზიდენტს, რომელიმე პარტიის წევრობას არ უკრძალავს, მაგრამ ჩვენთან პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებულ სიტუაციაში, პრეზიდენტი- ეს ყველას გამაერთიანებელი ფიგურაა", — აღნიშნა პუტინმა.

მან „ედიანაია როსიას" წევრებს მაისის მეორე ნახევარში ყრილობის ჩატარება შესთავაზა.

„მედიანიუსი"

ამოიკვლია ჯარისის პოზიციით

natos aspirantura saqarTvelosTvis

aliansis wevrobas Semodgomaze dagegmili saparlamento arCevnebis demokratiuloba da misi xarisxi ganapirobebs

ჩიკაგოს სამიტზე საქართველოს ნატოში რომ არ მიიღებენ, ეს დიდი ხანია ცნობილია. საქართველოს ხელისუფლება გულდაწყვეტილია, რადგან ბრიუსელიდან მხოლოდ დაპირებები ისმის – ალიანსში ქვეყნის გაერთიანების შესახებ პრინციპული გადაწყვეტილება არსებობს და მის აღსრულებას დრო სჭირდებაო. არავინ აზუსტებს, როდის დადგება ეს დრო.

თბილისში ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის ვიზიტისას საქართველოს პრეზიდენტმა გაბედა და განაცხადა, რომ აღმოსავლეთის ცხელ წერტილებში გაგზავნილი ჯარისკაცები პირნათლად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს; ამიტომაც ნატოში შესვლის თარიღთან დაკავშირებით მეტი კონკრეტიკა იქნებოდა სასურველიო... რასმუსენის პასუხმა, ვეჭვობთ, დააკმაყოფილა მასპინძელი – როგორც კი შესაბამისი მომენტი მოიხელთა, გენერალური მდივანი დემოკრატიული ფასეულობების დაცვაზე ალაპარაკდა და თქვა, რომ ნატოში საქართველოს შესვლა უშუალოდ უკავშირდება საპარლამენტო არჩევნების ხარისხს, რომელიც შემოდგომაზე უნდა გაიმართოს და დასავლურ სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს.

ხელისუფლებისგან განსხვავებით, რასმუსენმა წაახალისა ქართული ოპოზიცია: საპარლამეტო არჩევნებს მაქსიმალურ ყურადღებას მიაქცევს დასავლეთი და შესაძლებელი იქნება მისი დემოკრატიულად ჩატარება.

დასავლელ პარტნიორებს ბრიუსელში შეთანხმებული განცხადების მსგავსი დეკლარაციები ადრეც არაერთხელ მიუღიათ. მათში ყოფილი ავტონომიები „ოკუპირებულ ტერიტორიებად“ არის მოხსენიებული, ხოლო რუსეთს ამ ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანის მოთხოვნას უყენებენ. მოსკოვი ასეთ მოთხოვნებს აინუნშიც არ აგდებს და ბუნებრივია, ჩიკაგოს სამიტის შემდეგაც არაფერი შეიცვლება – მოსკოვი აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ჯარებს არ გაიყვანს. როგორც ჩანს, ვაშინგტონს ასეთი განცხადებით თავისი სამხრეთკავკასიელი პარტნიორის დაშოშმინება სურს. ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებით, ხელისუფლებამ, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიგნოს, რომ ნატო მხოლოდ ამერიკა და პოლონეთი როდია, რომლებთანაც პრობლემები არ გააჩნია... ნატო – ეს არის აგრეთვე საფრანგეთი და გერმანია, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგებიან საქართველოს მიღებას ალიანსში და რომლებთანაც საქართველოს ხელისუფლებას არცთუ იდეალური ურთიერთობა აქვს. იმის ნაცვლად, რომ კავშირი აღადგინოს, საკაშვილი კონფრონტაციის გზას დაადგა. გავიხსენოთ ცნობილი დიპლომატის დიტერ ბოდენის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებული მისი ულტიმატუმი... საქართველოს პრეტენზიებს, რასაკვირველია, გერმანიაში აღტაცება არ გამოუწვევია.

ნატოსთვის აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებია, იგი ემხრობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას... ასეთი დამოკიდებულება სოხუმსაც აღიზიანებს და ცხინვალსაც. მაგალითად, აფხაზეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ვიაჩესლავ ჩიკირბა აცხადებს, რომ რაც უნდა მოიმოქმედოს დასავლეთმა, რესპუბლიკა არასოდეს დაბრუნდება საქართველოს შემადგენლობაში. „ამერიკის შეერთებული შტატების ზემოქმედების შედეგად, რამდენიმე ქვეყანამ უარი თქვა ეღიარებინა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. მიმდინარეობს აშკარა დაშანტაჟება იმ ქვეყნების ლიდერებისა, რომლებმაც აფხაზეთი უკვე აღიარეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მათ ფინანსური დახმარების შეწყვეტით ემუქრებიან“, – აცხადებს ჩიკირბა. მისივე თქმით, ახლახან სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფილიპ გორდონი იკვეხნიდა, რომ აიძულა დომინიკის რესპუბლიკა, უარი ეთქვა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. მუქარა გაისმა აგრეთვე ბელარუსის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და სხვა ქვეყნების მიმართაც.

საქართველოს და ნატოს თანამშრომლობა ბრიუსელში რუსეთის საგარეო მინისტრმა სერგეი ლავროვმაც შეფასა. „გაკვირვებული ვართ იმით, რომ საქართველო ეგრეთ წოდებულ ნატოს ასპირანტთა რიცხვში მოხვდა, რადგან საქართველოს ხელახალი მილიტარიზაციის სწრაფი პროცესი მიმდინარეობს. თუ სააკაშვილს დავუჯერებთ, მან სრულად აღადგინა სამხედრო მომარაგება და მიიღო კიდეც დაპირება ნატოში შესვლის შესახებ. ეს საგანგაშოა, რადგან ჩვენ აღარ გვსურს მორიგი დესტაბილიზაცია სამხრეთ კავკასიაში“, – განაცხადა მან რუსეთი-ნატოს საბჭოს სხდომის დამთავრების შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე. მინისტრს მიაჩნია, რომ მკრეხელობაა ნატოში შესვლის პერსპექტივაზე საუბარი იმ ადამიანთან, რომლის ბრძანებითაც ხალხს ხოცავდნენ. „კლავდნენ იარაღით, რომლითაც საქართველოს ჩრდილოეთატლანტიკურ ალიანსში შემავალი ქვეყნები ამარაგდებდნენ. კლავდნენ სამხედროები, რომლებსაც ნატოს წევრი-სახელმწიფოების ინსტრუქტორები წვრთნიდნენ... რაც შეეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს – ჩვენ გვყავს ორი დამოუკიდებელი მოკავშირე. მათთან ურთიერთობა ვითარდება და ღრმავდება. ჩვენ მოწადინებული ვართ, რომ სამხრეთ კავკასიაში ყველა სახელმწიფომ ერთმანეთთან კონსტრუქციული ურთიერთობა დაამყაროს და რევანშისტული ზრახვები დაიოკოს“, – დასძინა მან.

Íåçàâèñèì àÿ ãàçåòà

saqarTveloSi xelisufleba akontrolebs yvelas, visi Semosavali c 100 dolaria

ბოლო ხანებში დასავლეთის გამოცემები ხშირად ლაპარაკობენ რეფორმების ქართულ გამოცდილებაზე. ეს თემა რუსულმა მედიამაც აიტაცა – სააკაშვილის რეჟიმს აქებენ „ბიზნესის გახსნილობისა და ეკონომიკური თავისუფლების გამო“. რამდენიმე დღის წინ, ახალი უპილოტო თვითმფრინავების პრეზენტაციაზე, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანში საქართველო მოსკოვს უახლესი ტექნიკის წარმოებით აჯობებს.

სააკაშვილის რეჟიმმა კარგად აითვისა ცნობილი წესი – დიდი ტყუილი შესაძლოა დიდ სიმართლედ გაასაღო. სინამდვილეში, რა იმალება „ქართული რეფორმების“ და ქართული „წარმატებების“ მიღმა? ამ კითხვის პასუხად გამოდგება ავტორიტეტული ეკონომისტებისა და ექსპერტების ანალიზის შედეგები, რომლებიც ბოლო 2 წლის მაჩვენებლების მიხედვით შეაფასეს.

2011 წლის ბოლოსთვის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეალური სტატისტიკური მონაცემები ასეთია: ადამიანის განვითარების ინდექსით, საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მეათე ადგილზეა, ეკონომიკური განვითარებით – მეთერთმეტეზე. საქართველოს ხელისუფლებამ დაადგინა ყველაზე მაღალი საპენსიო ასაკი ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე და ყველაზე დაბალი პენსია – 48 დოლარი სომხეთში პენსია 65, აზერბაიჯანში – 107, ხოლო რუსეთში 220 დოლარია. საქართველო ჩამორჩება საშუალო ხელფასისა და საშუალო პენსიის თანაფარდობითაც: ეს მაჩვენებელი 15,2 პროცენტია, სომხეთში – 20,1, რუსეთში – 34,2 პროცენტი. საქართველოში ყველაზე ძვირია უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გადასახადი, ყველაზე დაბალი სტიპენდიაა და ყველაზე ცოტა იხარჯება მეცნიერების განვითარებისთვის.

ხელისუფლება თავს იწონებს, რომ საქართველოში ძალზედ მარტივია ბიზნესის მართვა და ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს. თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ რატომ არ ჩქარობენ უცხოეთში გადახვეწილი ქართველები სამშობლოში დაბრუნებას?! ვინც დაიჯერა ცრუ პროპაგანდა და დაბრუნებულმა საკუთარი თვალით იხილა სინამდვილე, ისევ უკან გაქცევას ცდილობს. დაქირავებული შრომა ფაქტობრივად დაუცველია. მართალია, ბიზნესის დაწყება გაიოლებულია, მაგრამ ასევე იოლია მისი გაკოტრება, რეჟიმს დაქვემდებარებული ბიზნეს-კლანებისგან წარმატებული და აწყობილი საქმეების მიტაცება. ვინც სააკაშვილის ტყუილებს წამოეგო და საქართველოს ეკონომიკის რომელიმე დარგში საკუთარი კაპიტალი ჩადო, დღეს ნანობს თავის საქციელს და გაკოტრებულს ქვეყნიდან გასვლა არ შეუძლია. მოტყუებით დაბრუნებულები დასაქმებას ამაოდ სთხოვენ ხელისუფლებას.

რუსეთის ბაზრის დაკარგვამ დაზარალა აგრარული სექტორი, რომელიც ხელისუფლებას აღარ მიჩნია პრიორიტეტულ დარგად – სახელმწიფო ასიგნებების ფარგლებში მისთვის მხოლოდ 0,82 პროცენტია გამოყოფილი. 2008-2010 წლებში, აგრარულმა სექტორმა მიიღო პირდაპირი უცხოური ინვესტიციის 1,08 პროცენტი, რაც 45,6 მილიონი დოლარია.

დაფარული უმუშევრობის მაჩვენებელი 60 პროცენტია – ხალხი ნებისმიერ სამუშაოს თანხმდება.

„სააკაშვილის გარემოცვა იცნობს და აკონტროლებს ყველას, ვინც 100 დოლარზე მეტს გამოიმუშავებს“. კორუფცია სიტყვიერად აღარ არსებობს, სინამდვილეში მან სახე იცვალა. გაჩნდა უამრავი საგადასახადო მზაკვრული ვალდებულება, ბიზნესს „წველიან“ აუცილებელი „შენატანებითა და გადარიცხვებით“ საკაკაშვილის პარტიის ფონდისთვის. კორუფციის ყველაზე პოპულარული ფორმაა, როცა წარმატებულ საწარმოებს ძალოვანი უწყებების მეშვეობით ხელში იგდებენ.

გაიხსენეთ „რუს ჯაშუშთა“ არც ისე დიდი ხნის წინანდელი დასხმები წარსულს ჩაბარდა, თუმცა სააკაშვილმა შექმნა ისეთი ვითარება, როცა წარმატებული ბიზნესმენები, მასმედია და მოსამართლეები სახელმწიფოს „ქოლგის“ ქვეშ მოექცნენ. მთავრობა მკაცრად აკონტროლებს მათ შემოსავალს. სწორად შენიშნა ერთმა ოპოზიციურმა ლიდერმა, როცა განაცხადა: „სააკაშვილის გარემოცვა იცნობს და აკონტროლებს ყველას, ვინც 100 დოლარზე მეტს გამოიმუშავებს“.

საქმე. მათ შორის იყვნენ წარმატებული მეწარმეები, მსხვილი ფირმების ხელმძღვანელები, რომლებმაც არ მოისურვეს, სააკაშვილის ხალხთან წილი ჰქონოდათ. ანტიმონოპოლიური კომიტეტის გაუქმების შედეგად, პრეზიდენტთან დაახლოებულმა ბიზნესმენებმა ბაზრიდან კონკურენტები განდევნეს და ბიზნესის საკვანძო დარგების გაკონტროლება მოახერხეს.

საქართველო 100 ათას მოსახლეზე პატიმართა რაოდენობითაც მსოფლიო ლიდერია. ახლახან საერთაშორისო კონსალტინგურმა კომპანია მერცერ-მა საზოგადოებას მსოფლიოს დიდი ქალაქების ცხოვრების დონის ყოველწლიური კვლევის შედეგები წარუდგინა. თბილისმა ევროპის ქალაქებს შორის ცხოვრების დონით 214-ე ადგილი დაიკავა, ხოლო უსაფრთხოების დონის მიხედვით – ბოლო, 215-ე ადგილი.

სავალალო მდგომარეობაა სოციალურ სფეროში – ერთ სულ მოსახლეზე ჯანდაცვის დანახარჯი 35 დოლარია – 170 ქვეყანას შორის საქართველო, იემენთან, ტოგოსა და ერითრიასთან ერთად, 149-152-ე პოზიციაზეა. 2010 წელს განათლებასა და ჯანდაცვაზე ერთობლივი დანახარჯი 1,5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე უსაფრთხოებასა და თავდაცვაზე.

Ðîñèéñêàÿ ãàçåòà

ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა
Ø. ჯავჯავაძემ.

astrologi `qarTul ocnebas~ sayvedurobs

ამა წლის 15 აპრილს ტელეკომპანია "კავკასიის" ეთერში გამოსვლისას ასტროლოგმა ბატონმა მიხეილ ცაგარელმა მომავალი კვირის ასტროლოგიური პროგნოზის შემოთავაზების დროს ხაზგასმით ისაუბრა შაბათი დღის, 21 აპრილის შესახებ.

ყველაზე ყურადსაღები ის გახლდათ, რომ ბატონმა მიხეილმა გასული კვირის პროგნოზის ფონზე 21 აპრილი ყველაზე ნეგატიურ დღედ დაასახელა, რადგან იგი ემთხვეოდა ახალმთვარეობას.

"მიკვირს, ქართული ოცნება სერიოზული ნაბიჯების გადადგმის დროს როგორ ახერხებს ასეთი სასწაული დღეების არჩევას, – ამბობს ასტროლოგი. – საინტერესოა, შემთხვევით აკეთებს ამას ვინმე თუ სპეციალურად. შაბათი, 21 აპრილი ახალმთვარეობაა, სასიკეთო კოსმიური ენერგიების ნაკლებობის დღე; პირდაპირ ვიტყვი: სატანური ენერგიების დღეა. აამ დროს არაფერი ახალი არ უნდა წამოიწყოთ, მითუმეტეს, ისეთი სერიოზული საქმე, როგორიც ახალი ორგანიზაციის, ან პარტიის დაფუძნებაა. დაფუძნებით კი დაფუძნდება, მაგრამ მერე მოჰყვება ორმაგი სირთულეები, წინააღმდეგობები.. 21 აპრილი ისეთი დღეა, რომელიც ყველასგან ითხოვს მაქსიმალურ ყურადღებას, სირთულეებია მოსალოდნელი ადამიანთა პირად ურთიერთობებშიც, ჯანმრთელობის თვალსაზრისითაც. ეეს დღე სამეურნეო თვალსაზრისითაც უარყოფითი დღეა, ასეთ დღეებში ადრე მცენარეებსაც არ რწყავდნენ . . . ერთი სიტყვით, მომავალ კვირაში ყველაზე მეტად უარყოფითი ტენდენციები უკავშირდება შაბათ დღეს, ის ადამიანებისგან ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და მითუმეტეს ახალმთვარეობაზე ახალი პარტიების გაშვება მსოფლიო პოლიტიკურ ოკეანეში არაფრით არ შეიძლება"

ზემოთთქმულიდან გამომდინარე ბატონ **მიხეილ ცაგარელს** კომენტარი ვთხოვეთ:

– ბატონო მიხეილ, თქვენ აღნიშნეთ, რომ 21 აპრილი ყველანაირად უარყოფითი დღეა ახალი საქმიანობების წამოწყებისთვის, მით უმეტეს არ შეიძლება ახალი პარტიის დაფუძნება. თქვენთვის რომ მოემართათ რჩევისთვის, რას ეტყოდით?

– მე არაერთხელ აღვნიშნე, მათ შორის ჩვენს ინტერვიუებშიც, რომ ახალმთვარეობის დღეს ადამიანმა არაფერი ახლის წამოწყება არ უნდა დაამთხვიოს. ეეს ვთქვი ორკვირიანი პერიოდი საუკეთესოა ახალი საქმიანობების წამოწყებებისთვის, ორგანიზაციებისა თუ პარტიების დაფუძნებისთვის. ძალიან კარგი იქნებოდა ეს მოვლენა მომხდარიყო 25 ან 27 აპრილს, ან 20 მაისის შემდგომ პერიოდში. მმაგრამ მაინც საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა 25 ან 27 აპრილი, რადგან ბიძინა ივანიშვილისთვისაც კარგი დღეებია პირადი ჰოროსკოპიდან გამომდინარე. აანუ იქნებოდა კარგი პერიოდიც და კარგი დღეც.

– რას მოიტანს ასტროლოგიური პროგნოზების გაუთვალისწინებლობა?

– გაორმაგდება სირთულეები, წინაღობები, ინტრიგები, კონფლიქტები, ბარიერები. აამის შემდგომ მაინც თუ გაითვალისწინებენ რაიმეს, კარგია, მაგრამ ერთ შეცდომას მეორე მოჰყვება და ეს უარყოფითი ტენდენციები არასასურველ შედეგს მოიტანს ოქტომბრის თვეში.

თამუნა ქადაგიძე

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ივანიშვილის პარტიას დამოუკიდებელი საარჩევნო პროგრამა არ ექნება

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერ მანანა კობახიძის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური კოალიცია "ივანიშვილი – ქართული ოცნება" საარჩევნო პროგრამას მაშინ გამოაქვეყნებს, როცა ამას საჭიროდ ჩათვლის.

როგორც კობახიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მის პარტიას დამოუკიდებელი საარჩევნო პროგრამა არ ექნება, რადგან არჩევნებში კოალიციის რეჟიმში მონაწილეობს.

ბიძინა ივანიშვილის პარტიის თავმჯდომარის განცხადებით, "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" რეგისტრაციისთვის იუსტიციის სამინისტროში ოფიციალურ განცხადებას მიმდინარე კვირის განმავლობაში შეიტანს. კობახიძე არ გამორიცხავს, რომ ამ თვალსაზრისით, პარტიას გარკვეული პრობლემები შეუქმნან.

პარტიის „განახლებული საქართველოსთვის“ წარმომადგენლები კონტროლის პალატაში დაიბარეს

პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ წარმომადგენლები კონტროლის პალატაში დაიბარეს. როგორც დღეს ჟურნალისტებთან შეხვედრისას პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ მრჩეველმა საერთაშორისო საკითხებში მინდია გულუამ განაცხადა, მათი პარტიის წარმომადგენლები კონტროლის პალატამ „ქართული ოცნების“ წევრის, კობა დავითაშვილის თხოვნის საფუძველზე დაიბარა.

კონტროლის პალატაში 14.00 საათზე დაბარებულები არიან „განახლებული საქართველოსთვის“ თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიორგი ოძელი, ასევე პარტიის რეგიონალური სამსახურის უფროსი ლაშა გვასალია და პარტიის კიდევ რამდენიმე წარმომადგენელი.

„მედიანიუსი“

facebook

xalxis azriT

ერთი ჰკითხონ მიხეილ ლუციფერს, ბოკერიასა და მისთანებს ატარებენ თუ არა ჯვრებს. გამოიკვლიონ, რატომ მივიდა ქვეყნის პირველი პირი მახათაზე განგრეულ კაიფში. მე მგონი, ეს კითხვები უფრო აწუხებს დღეს საზოგადობას. ეხლა გაახსენდათ ქრისტიანობა? რატომ იმაზე არ ამოიღეს ხმა, ფერიას მთაზე ეკლესიას რომ ანგრევდნენ, ბერებს რომ ვინჩესტერებს ადებდნენ კეფაზე კოდის და სოდის თანამშრომლებმა, როცა სიონის გვერდით კაზინო წამოჭიმეს და 100 000 წმინდა მოწამის სისხლით გაჟღენთილ მიწაზე ბუდა-ბარი, საიდანაც ყოველდღე გალეშილი მოჰყავთ საკაშვილი. ეს არის ქართული ჟურნალისტიკა? მრცხვენია, რომ ქართველი ვარ.

ამ ქვეყანაში ივანიშვილის მოქალაქეობა გახდა სახვეწი და ქვეყნის პრეზიდენტი კი არაქართველია; ივანიშვილის ქრისტიანობა დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ და ერთ-ერთი ტაძრის მშენებლობის საფუძველს კი დაბოლილი პრეზიდენტი ხსნის; ივანიშვილის პოეტების ციტირებებისას პაუზებსაც არ პატიობენ, პრეზიდენტს კი არათუ წიგნი, ერთი ლექსიც კი არ აქვს წაკითხული, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ (მისი ინტელექტი ამისი შესანიშნავი დასტურია)..... დიდება მოთმინებასა შენსა..... მართლაც შეუდარებლად ღირსეული ადამიანი ბრძანდებით, ბ-ნო ბიძინა, ქართულ ჟურნალისტიკას რომ ასეთი მოთმინებით იტანთ.....

დღეს შედგა ნაცმოძრაობის პანაშვილი, გასვენება ოქტომბერში, კუბოს ამწევი: გიორგი ასანიძე, ჭირისუფლები: ნინა წკრიალაშვილი, დუტა სხირტლაძე. საფლავი: პოლიტიკური სანაგვე.

რა დროს ეს არის ამ დილაადრიან, მარა ამ "რუსთავი-2"–ის ჟურნალისტებმა საბოლოოდ გაუბერეს:))

ყოფილ ადვოკატ მანანა კობახიძეს, რომელიც ივანიშვილის პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს, პასუხს თხოვენ – რატომ იცავდი ნარკოდილერ ბოჭორიშვილსო:))))))))))))

თქვე, ბოდიში და, ჩემისებო! ნორვეგიაში ადვოკატები ბრეივიკს იცავენ! იმ ადვოკატებიდან რომელიმე მომავალში პოლიტიკოსი რომ გახდეს – პასუხი უნდა მოთხოვონ 70 ადამიანის მკვლელს რატო იცავდიო????

როგორ შეიძლება ადვოკატს პასუხი მოსთხოვო იმაზე, ვის როდის იცავდა? მისი დაცვის ქვეშ მყოფი კანიბალიც რომ იყოს, ამის უფლება არავის აქვს!

ეს ჟურნალისტიკაა თუ იდიოტების დღიდა მართლა? ეგ ერთი და მეორეც, ბოჭორიშვილს მიშასთვის რომ მიეტანა ის, რაც მოსთხოვეს, მაშინ არ იქნებოდა ნარკოდილერი? მესამე, ბოჭორიშვილს ფული რომ აახიეს და იმ ფულით სკოლებში კომპიუტერები შეიტანეს, უკაცრავად და შემთხვევით კომპებს კოკაინის სუნი ხომ არ ასდის?

არავითარ ფულს ტრამპი ჯერჯერობით არ დებს საქართველოში. ამიტომ ეს ორდენიც რაღაც ავანსად მიცემულს – გავს. ტრამპი საკმაოდ ჭკვიანი და საკმაოდ რისკიანი ადამიანია. ხან უმართლებს, ხან – არა. თუ ის ინვესტიციებს ჩადებს საქართველოში, ამას მართლაც ექნება სხვა ინვესტორების მოზიდვის ეფექტი, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ექნებოდა უორენ ბაფეტს, ბილ გეიტსს, ლაქშმი მიტალის და სხვა ცნობილი ინვესტორების შემოსვლას. თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ტრამპმა ბევრი დიდი პროექტი განახორციელა და ბევრი დიდი პროექტი ჩააგდო. მაგრამ საქართველოში ის ჯერ არაფერს დებს. თუ სილკ როოუდი დაამთავრებს, „ტრამპ ტაუერს“, ტრამპი უეჭველად იამაყებს თავისი შორსმჭვრეტელობით, რომ საქართველოში ჩამოვიდა. ხოლო თუ საქმე ჩავარდება, იგი იმით იამაყებს, რომ თავისი ფული არ ჩაუდვია. ასე, რომ მისთვის ეს წაუგებელი თამაშია.

ბარემ მოქალაქეობაც მიგეცა, შე კაცო, აბა, მარტო ბრწყინვალების ორდენი რა თავში უნდა იხალოს?

დავლიოთ თუ არა ლუდი?

ლუდის სეზონი გაზაფხულზე იწყება და გვიან შემოდგომამდე გრძელდება. ერთი შეხედვით, თითქოს უჩვეულოა, რომ ქარვისფერი, ქაფიანი და არომატული სითხე ერთნაირად უყვართ დიდებსაც და პატარებსაც, აი, მედიკოსებს კი მის შესახებ დღემდე განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. ერთნი მის საერთოდ აკრძალვას მოითხოვენ, მეორენი კი – ლუდის ზომიერ სმაში ჯანმრთელობისთვის საზიანოს ვერაფერს ხედავენ.

თანამედროვე სუპერმარკეტებში ლუდის მართლაც, დიდი არჩევანია – როგორც ქართული, ისე ლუდის მწარმოებელი უცხოური ფირმები ლუდის მოყვარულთ ნამდვილად ათამამებენ. არადა, ბევრმა არ იცის, რომ დასახელებათა მიუხედავად, ნებისმიერი მარკის ლუდი შეიძლება ორ დიდ ნაწილად დაიყოს: ერთი ჯგუფი ხორბლისგან მომზადებულ სახეობებს აერთიანებს, მეორე კი – ქერისგან მომზადებული სასმელია. მომხმარებლამდე ლუდი საკმაოდ მკაცრ კონტროლს გადის, ძირითადად ლუდის ფერი, გემო, სისქე და გამჭვირვალობა მოწმდება. ასევე აუცილებელია, რომ მისი ქაფის მდგრადობა და სუნი, ნახშირმჟავა აირით გაჯერებაც ზუსტად შეესატყვისებოდეს სადეგუსტაციო ნორმებს.

რატომ უნდა ვსვათ

– ლუდს, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, ჩვეულებრივ მსუბუქ ალკოჰოლურ სასმელად მიიჩნევდნენ, ვიდრე მასში უნიკალური თვისებების მქონე მომწარო გემოს ძლიერ სასარგებლო არაერთი ნივთიერება არ აღმოაჩინეს, რომელიც სასმელში მისი ტექნოლოგიური დამუშავების პროცესის შედეგად ჩნდება. ამასთან, ასეთი ნაერთები სხვა არც ერთ ალკოჰოლურ სასმელში არ მოიპოვება;

– ლუდის შემადგენლობაში შედის სვია, რომელიც მას დამამშვიდებელ, საძილე და ანტიბაქტერიულ უნარს სძენს, ეს კი ხელს უშლის მიკრობების აქტიურ გამრავლებას და ამით ორგანიზმს სხვადასხვა სახის დაავადებებისგან იცავს.

– ლუდის ანტიბაქტერიული თვისება იმდენად კარგადაა გამოხატული ტუბერკულოზის გამომწვევ კოხის ჩხირზე, რომ ლუდს ბევრ ქვეყანაში „ანტიტუბერკულოზურ სასმელსაც“ კი უწოდებენ;

– ცნობილია, ლუდის „ინტელექტუალური“ შტრიხიც – ლუდის ზომიერად მოყვარულები, თუმცა, გაცილებით უკეთ აზროვნებენ, ვიდრე ისინი, ვისაც ეს სასმელი ჭირის დღესავით სძულს, მცირე კონცენტრაციით ალკოჰოლი ხომ ტვინს, განსაკუთრებით კი მეხსიერების ფუნქციას ააქტიურებს.

რატომ არ უნდა ვსვათ

– ლუდი, არაყის, კონიაკის, პორტვეინის, მშრალი ღვინის მსგავსად, ალკოჰოლური სასმელია, რომლის შემადგენლობაშიც შედის ეთილის სპირტი. ამასთან, 2 ჭიქა ლუდის დალევისას ორგანიზმში იმდენივე ალკოჰოლი ხვდება, რამდენიც 100 გრ არაყის დალევისას;

– ადამიანები ლუდს დაახლოებით 300-500-გრამიანი ჭიქებით სვამენ, პირველი ჭიქის შემდეგ ორგანიზმში ხვდება 20 გრამი აბსოლუტური ალკოჰოლი, მეორე ჭიქის შემდეგ 40 გრამი, ეს დაახლოებით არაყით სავსე 200-გრამიანი ჭიქის ეკვივალენტია, რაც, ბუნებრივია, იწვევს კუჭის ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას, ღვიძლისა და გულ-სისხლძარღვთა ორგანოების დაზიანებას.

– ლუდის სისტემატური სმა ისეთსავე დამოკიდებულებას აყალიბებს ალკოჰოლისადმი, როგორსაც არაყი ან სხვა მაგარი ალკოჰოლური სასმელი. ეს ტენდეცია განსაკუთრებით იმ ქვეყნებში შეიგრძნობა, სადაც ლუდი ტრადიციული სასმელია.

– ლუდს ჩვეულებრივ დიდი ოდენობით ისმება, რაც ორგანიზმში სითხის ჭარბად დაგროვებას იწვევს, მათ დროულად გამოსადევნად გული და თირკმელები გაძლიერებულ მუშაობას იწყებენ, ქრონიკულად ასეთი მდგომარეობა ნელ-ნელა აყალიბებს ე.წ. ხარის გულს და თირკმლის მუშაობასთან დაკავშირებულ პრობლემებს;

– ლუდის ზომაზე მეტად მოყვარულთა ერთ-ერთი მუდმივი თანამგზავრია ჭარბი წონაც.

– სახეობისა და ხარისხის მიხედვით, ლუდი 4-10 პროცენტ ადვილად მოსანელებელ ნახშირწყლებს შეიცავს, გაცხიმოვნება და ნივთიერებათა ცვლის დარღვევა ისევ და ისევ ღვიძლს აზიანებს, დიდი დატვირთვისას ის თანდათან კარგავს ბარიერულ ფუნქციას, ალკოჰოლი სისხლში სულ უფრო და უფრო თავისუფლად აღწევს, აზიანებს გულ-სისხლძარღვთა და შარდგამომყოფ სისტემას და ორგანიზმის ძლიერ მოწამვლას იწვევს.

– ლუდის უვნებლობის შესახებ ილუზია განსაკუთრებით საშიშია მათთვის, ვინც ეს-ესაა ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგო სამკურნალო კურსი ჩაიტარა.

– როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ასეთებისთვის ალკოჰოლისადმი პათოლოგიური ლტოლვის კვლავ გასააქტიურებლად ერთი ჭიქა ლუდის შესმაც კი საკმარისია.

სჯობს გაითვალისწინოთ

– 18 წლამდე ლუდის სმა მაინცდამაინც სასურველი არ არის.

– თუ მის გარეშე გიჭირთ, ეცადეთ, დღეში ნახევარ ლიტრზე მეტი არ დალიოთ;

– კატეგორიულად აკრძალულია ლუდთან ერთად რომელიმე სხვა ალკოჰოლიანი სასმელის დალევა, რადგან ალკოჰოლით დათრგუნული ტვინი ჯეროვნად ვეღარ აკონტროლებს თირკმელების გაძლიერებულ მუშაობას, რაც ერთიორად ზრდის ალკოჰოლურ მოწამვლასა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობის დარღვევის ხარისხს;

– ძლიერი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ ცივ ლუდს მაშინვე ნუ დალევთ, ერთი საათი მაინც შეისვენეთ, შემდეგ კი სასმელი ნელ-ნელა, ყლუპ-ყლუპით დალიეთ, ასე არც თირკმელი გაღიზიანდება და არც ისეთი დიდი და მრგვალი ღიპი დაგემუქრებათ, ლუდის ძლიერ მოყვარულებს სხვებისგან ასე რომ გამოარჩევს.

ბულემია და ანორექსია

„კვებითი ქცევის დარღვევები“ – სპეციალისტებმა ასე უწოდეს იმ დაავადებათა ჯგუფს, რომლებიც საკვებისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულების შედეგად იჩენს თავს. ამ ჯგუფის ყველაზე მკაფიო და ნაცნობი პათოლოგიებია გაუმაძღრობა, ბულემია და ანორექსია.

კვებითი ქცევის დარღვევები ქალბატონთა ხვედრი აღმოჩნდა: ყოველ დაავადებულ ათ მანდილოსანზე ერთი დაავადებული მამაკაცი მოდის მხოლოდ.

დარღვევათა ერთიანი მიზეზები არ არსებობს, ეს მულტიფაქტორული, ანუ მრავალმიზეზიანი პათოლოგიებია.

მისი რისკ-ფაქტორებია: სიმსუქნისადმი გენეტიკური, სოციალური წინასწარგანწყობა და ტემპერამენტის თავისებურებანი.

მათ განვითარებაში დიდია ამ მიზეზთა როლიც: ოჯახური კონფლიქტი, ძვირფასი ადამიანის დაკარგვა, სომატური დაავადებები, სექსუალური კონფლიქტი, ტრავმები.

დარღვევათა მექანიზმის „გამშვებ რგოლად“ შესაძლოა, იქცეს გათხოვება და ცოლის შერთვაც კი.

კარგი მადა თუ დაავადება?

ამ ჯგუფის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დარღვევა გაუმაძღრობა, იგივე მსუნაგობაა. პაციენტებს ახასიათებთ საკვებისადმი მუდმივი ლტოლვა, ისინი პრაქტიკულად მუდამ რაღაცას ღეჭავენ, გაჩერება არ შეუძლიათ. მათი წონა მატულობს და მიუხედავად იმისა, რომ ამას ამჩნევენ და საკუთარი გარეგნობითაც უკმაყოფილონი არიან, მაინც ვერაფერს უხერხებენ საკვებისადმი ავადმყოფურ ლტოლვას. ჭამენ, ჭამენ, ჭამენ, ჭამენ... ჭამენ დილიდან ღამემდე, ზოგჯერ შუაღამით იღვიძებენ და კვლავ მაცივრისკენ გარბიან.

სპეციალისტები გვაფრთხილებენ: თუ საკუთარ თავს კვირაში ერთხელ მაინც „აღმოაჩენთ“ შუაღამისას მაცივართან, ამასთან ჭარბი კოლოგრამებიც გაწუხებთ, გადადეთ ყველა საქმე გვერდზე და დასახმარებლად სპეციალისტს მიმართეთ.

მკურნალობა – პირველ ყოვლისა, აუცილებელია გაუმაძღრობის გამომწვევი მიზეზის დადგენა და მისი აღმოფხვრა, რაც მიიღწევა როგორც მედიკამენტური თერაპიით (მადის დამაქვეითებელი პრეპარატებით), ისე ფსიქოთერაპევტის დახმარებით.

საშიში „მონანიება“

კვებითი ქცევის დარღვევის კიდევ ერთი გამოვლინებაა ბულემია. ეს, გაუმაძღრობასთან შედარებით, გაცილებით მძიმე მდგომარეობაა. პაციენტები მშვენივრად ამჩნევენ, რომ ჭარბად იკვებებიან, უკმაყოფილონი არიან საკუთარი გარეგნობით, მეტად აშინებთ გაცხიმოვნების პერსპექტივაც და რადგან ვერაფერს უხერხებენ გაძლიერებულ მადას, „თვითდახმარებაზე“ გადადიან.

იწყება პერიოდული შიმშილობები, დამთრგუნველი ფიზიკური დატვირთვები, საფაღარათო და შარდმდენი საშუალებების უკონტროლო მიღება.

განსაკუთრებით საპატიო ადგილს „თვითდახმარების“ არსენალში ღებინების სტიმულატორი და მაპროვოცირებელი საშუალებები იკავებს, ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეა, რომ სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდეს.

ტიტანური შრომის მიუხედავად, სხეულის მასა სტაბილური რჩება. საკმარისია, სულ რამდენჯერმე არ გამოიწვიონ ღებინება (რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში რეფლექსურ ხასიათს იძენს – პაციენტები ყოველი ჭამის შემდეგ, უკვე წამლების გარეშე თავადვე აღებინებენ), რომ სხეულის მასა საგრძნობლად იმატებს. აშკარაა, რომ კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გარეშე სიტუაცია ვერ გამოსწორდება.

მკურნალობა – ბულემიასც ისევე მკურნალობენ, როგორც გაუმაძღრობას, ოღონდ კურსს ემატება ნივთიერებათა ცვლის მოშლის საკორექციო პრეპარატები. უმეტეს შემთხვევაში ბულემია მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემითაა პროვოცირებული, ამიტომ მკურნალობის დაწყებისთანავე აუცილებელია ფსიქოთერაპია და მედიკამენტური თერაპიის გაცილებით ინტენსიური კურსის ჩატარება სპეციალიზებულ კლინიკაში.

პაციენტები საჭიროებენ მუდმივ მეთვალყურეობას, რადგან მათი ნაწილი დეპრესიითაა შეპყრობილი და ხშირად აქვთ სუიციდის მცდელობები.

დიეტა ლეტალური შედეგით

ანორექსია კვებითი ქცევის ყველაზე საშიში ფორმაა. ერთ მშვენიერ დღეს ქალბატონი იღვიძებს და აღმოაჩენს, რომ ძალიან მსუქანია, მყისიერად იღებს გადაწყვეტილებას, არაფერი ჭამოს და მთელი თვეების მანძილზე სალათის ფოთლებითა და წყლით იკვებება. სხეულის მასა კატასტროფულად ქვეითდება, მაგრამ პაციენტი მაინც უკმაყოფილოა და მიუხედავად იმისა, რომ ჭარბი ერთი კოლოგრამიც აღარ აქვს, ფიქრობს, რომ კვლავ ძალიან მსუქანია, ამიტომ შიმშილობას „სასურველ შედეგის მიღწევამდე“ აგრძელებს.

ასეთი კვება, დროთა განმავლობაში, იწვევს არტერიული წნევის დაქვეითებას, გულისცემის შენელებას, ქრონიკულ ყაბზობას, ძვლოვანი ქსოვილის გამოფიტვას და მენსტრუალური ციკლის დარღვევას.

გამწმენდი პროცედურები ორგანიზმში ასევე არღვევს ნივთიერებათა ცვლას, თავს იჩენს სტომატოლოგიური პრობლემები, სანერწყვე ჯირკვლების გადიდება, ჩნდება ბოყინი, გულძმარვა, გულისრევა, ღებინება, საბოლოოდ სისხლში ქვეითდება ნატრიუმის დონე და შიმშილისგან გამოწვეულ სიკვდილამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება.

მკურნალობა – ანორექსიის მკურნალობა გაცილებით ხანგრძლივი და რთულია. აუცილებელია ჰოსპიტალიზაცია, მკურნალობის საფუძველს, გაძლიერებული კვების გარდა, წარმოადგენს ფსიქოტროპული მედიკამენტები და ფსიქოთერაპია.

მთავარია, პაციენტმა დაორგუნოს სიგამხდრისადმი პათოლოგიური ლტოლვა, საკუთარი თავი მიიღოს ისეთი, როგორიც ბუნებამ შექმნა. ეს, რა თქმა უნდა, ფსიქოთერაპევტის ამოცანაა.

საბედნიეროდ, ანორექსია საერთოდ არ ვითარდება ახალნამშობიარებ ქალებში, ახალშობილი დედას უსიტყვოდ „არწმუნებს“, რომ მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფუძვლიანად და რაციონალურად იკვებოს.

ზვიად ღონღლაძე

`qarTuli ocneba~ _ demokratiuli saqarTvelos~ yrilobaze

21 აპრილს პარტია „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია შედგა.

გთავაზობთ ყრილობის დელეგატების კომენტარებს.

ლიმა ჯაიანი: – მე ყველგან ვარ, სადაც ქართული საქმე კეთდება. ახლაც მგონია ქართული საქმე კეთდება. ისე, როგორც აფხაზეთიდან დევნილი კაცი, ერთს ვიტყვი: იმათ ხელში, ვგულისხმობ სააკაშვილის ხელისუფლებას, აფხაზეთის დაბრუნებაზე ფიქრიც არ შეიძლება. იმედი მაქვს, „ქართული ოცნება“ სხვა კუთხით შეხედავს ამ პრობლემას, როცა მოვლენ ხელისუფლებაში.

– თქვენი გამოცდილებას, თუ გამოიყენებს „ქართული ოცნება“ აფხაზეთის საკითხში?

– ჩვენ, ალბათ, ბატონ ბიძინას მალე შევხვდებით, სადაც ყველა პრობლემაზე დაწვრილებით ვისაუბრებთ. მომავალს ოპტიმისტურად, იმედით ვუყურებ.

– რამდენად მოულოდნელი იყო პარტიის თავმჯდომარედ მანანა კობახიძის არჩევა?

მამუკა არეშიძე: – მაინცდამაინც მოულოდნელი არ ყოფილა. სასიამოვნო მოულოდნელობა შეიძლება დავარქვათ მის არჩევას. მას დიდ პატივს ვცემ. ეს იყო საუკეთესო არჩევანი. ჩემი აზრით, სწორი ნაბიჯი გადადგა საინიციატივო ჯგუფმა და ბიძინა ივანიშვილმა, მიუხედავად ჩემი ღრმა პატივისცემისა ეკატერინე ხვედელიძის მიმართ, გაუთავებელ სალაპარაკოდ გახდებოდა პარტიის თავმჯდომარედ მისი არჩევა. ამიტომ მიმაჩნია, რომ საუკეთესო გამოსავალი მოიძებნა. მანანა კობახიძეს დიდი ავტორიტეტი აქვს საქართველოშიც და უცხოეთშიც.

– როგორ ხედავთ „ქართული ოცნების“ პერსპექტივას?

– სამუშაო ძალიან ბევრია. არ დაგიმალავთ, ზოგჯერ მომწონს ტემპი და ზოგიერთი ორგანიზაციული ნაბიჯი. მაგრამ, რასაკვირველია, პერსპექტივა აქვს, როგორც გულშემატკივარი და მონაწილე ვთვლი, რომ უფრო მეტი ცენტრალიზება და ძლიერი ვერტიკალის შექმნაა საჭირო. საზოგადოებისთვის საჭირ-ბოროტო საკითხებზეც უფრო ბევრია სალაპარაკო.

– თუ გამოგითქვამთ ხმამაღლა თქვენი პრეტენზიები?

– რა თქმა უნდა, ბატონი ბიძინასთვისაც არაერთხელ მითქვამს. მე ვერასდროს ვიქნები უტყვი წევრი ორგანიზაციის, თვითონ ბატონი ბიძინა ზოგჯერ ითვალისწინებს სხვის აზრს, ზოგჯერ არა, იმას ვაბრალებ იმას, რომ ის გზადაგზა სწავლობს.

ნიკუშა შენგელია:

– მე აქ სტუმრის სტატუსით ვარ, ეს არჩევანი მათი პარტიული საკითხია. საერთოდ კი იმედი დიდია, ეს ადამიანია, რომელმაც გადაწყვიტა გამოიყვანოს ქვეყანა იმ სიყალბისგან, უსამართლობიდან, რომელშიც აღმოვჩნდით. პერსპექტივა ახლა ჩვენზე, ხალხზეა. ერთხელ და სამუდამოდ მოქალაქეებმა უნდა გადაწყვიტონ, რომ ხელისუფლება ემსახუროს ხალხს და არა პირიქით. ბატონი ბიძინა არ მოდის ხელისუფლებაში იმისთვის, რომ თვითონ გაკეთდეს, როგორც ხდებოდა აქამდე და მიგვაჩვიეს, ხალხი რომ მშიერი დატოვეს. მე გაძლევთ იმის გარანტიას, რომ ასე არ მოხდება. ამ ადამიანმა თავისი ქველმოქმედებით და მოღვაწეობით მარტომ შეძლო, ვფიქრობ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხუთჯერ და ათჯერ მეტს გააკეთებს ქართველი ხალხისთვის. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი გამოთქვა ადამიანმა, რომელსაც არ სჭირდება საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია ეს გარემოება, რადგან ჩვენთან ასე არასოდეს ყოფილა.

მეკა ბესელია: – ვფიქრობ, ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა, განსაკუთრებული დღეა, ყველას ვულოცავ პარტიის დაფუძნებას, მნიშვნელოვანია, რომ იწყება ახალი ეტაპი. ყველაფერი წინ არის, ბევრი გეგმა გვაქვს.

მანანა კობახიძე: – იყო საუბრები სხვადასხვა კანდიდატებზე, მაგრამ არჩევანი ყრილობამ ასეთი გააკეთა. საერთოდ, როდესაც მიდიხარ პოლიტიკაში, მოულოდნელი არაფერი უნდა იყოს, სადაც მოითხოვდა საჭიროება, ვიქნებოდი იქ. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისთანავე, ბატონ ბიძინას ექნება საშუალება გახდეს ამ პარტიის თავმჯდომარეც, იყაროს კენჭი და შევიდეს პოლიტიკაში. ეს არის მდგომარეობა, რომელიც განაპირობა კანომდებლობაში არსებულმა ხარვეზებმა, ხელისუფლების ქმედებებმა, ჩვენ ამ შემთხვევაში ვუპასუხეთ კანონის მოთხოვნებს. დღემდე პარტია, როგორც ასეთი, დაფუძნებული არ იყო, შესაბამისად, გატარდება რეგისტრაციაში იუსტიციის სამინისტროში და ჩავერთვებით საარჩევნო პროცესებში, ჩვენი მიზანია ოცნების რეალობად ქცევა.

ნოდარ ხადური: – მნიშვნელოვანი დღეა, საზოგადოება ელოდებოდა ამ დღეს. სამწუხაროდ, დარბაზმა ყველა მსურველი ვერ დაიტია. მოლოდინი გამართლდა, მართალია იურიდიული ნიუანსები ბევრი იყო, მაგრამ მოსახლეობის ინტერესი დააკმაყოფილა გაცხადებულმა საპროგრამო დოკუმენტმა. ახლა, როდესაც იურიდიულად დავაფუძნეთ პარტია, ვიწყებთ ბრძოლას ავიხდინოთ ქართული ოცნება. ჩვენი მთავარი გეგმა ის არის, რომ ვიწყებთ აქტიურ მუშაობას ქვეყნის ყველა კუთხეში, სოფელში.

– როგორც ვიცი, თქვენთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა პარტიის თავმჯდომარედ მანანა კობახიძის არჩევა...

დავით ფაცაცია: – ასე ვთქვათ, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. ყველას ვიცნობ ჩვენს პარტიაში, რომლებიც გამოირჩევიან პატიოსნებით, ერთგულებით, საქმის ცოდნით. დარწმუნებული ვარ მომავალშიც უფრო მეტ ყურადღებას გამოიჩენენ, როგორც ქვეყნის, ასევე საზოგადოების მიმართაც. ახალგაზრდული ფრთა გააქტიურდება და ბევრ სიურპრიზსაც შემოგთავაზებთ. ახალგაზრდებს ვერაფერი შეგვაჩერებს, განსაკუთრებით სტუდენტები იაქტიურებენ.

დავით უსუფაშვილი: – დღეს დასრულდა ახალი პარტიის ფორმირების პროცესი, რომელიც ცოტა გაჭიანურდა, რადგან საინიციატივო ჯგუფი ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენას ელოდებოდა. თავიდანვე იყო ნათქვამი, რომ სააკაშვილი ვერ მოახერხებდა ამ პარტიის ფორმირების შეფერხებას. დღევანდელი ღონისძიებით კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ „ქართული ოცნება“ დასახული გეგმით მიდის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისკენ. დარწმუნებული ვარ ყველა ერთად ავიხდენთ ქართულ ოცნებას.

გია ბურდული

facebook xalxis azriT

გაეცანით „ქართული ოცნების'' დეკლარაციას, ნაცებს ენა მუცელში ჩაუვარდებათ, იძახონ ახლა რუსეთი და რუსეთი. ეს ოფიციალური დოკუმენტია უკვე და ფაქტობრივად, სამოქმედო პროგრამის წანამძღვრებიც არის მასში ასახული. ივანიშვილმა რუსეთში ბიზნესი თითქმის გაყიდა, ჩოჩელი (ანუ მერაბიშვილი) კი ეხლა იწყებს რუსეთის ბაზარზე ქართული ლიმონათის გატანას. მერე ვინმე იტყვის, რუსეთს ვებრძვითო.

შევარდნაძის გაზრდილები და აღმოჩენები არიან: მიხეილ სააკაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, ძმები კუბლაშვილები, მამა-შვილი გაბაშვილი, ხათუნა გოგორიშვილი, ოჩიაური და მისნაირები.... ე.წ.ოპოზიციიდან სრულიად ქდმ და მისნაირები.... ესენი დღეს ხელისუფლებაში არიან და თავი ყველას პირველი სკრიპკა გონია.... უი, სიკვდილსაც დავიწყებია გიგი წერეთელი...))) ამის გარეშე მოქკავშირულ-ნაციონალური შაიკა ბროშკის გარეშეა.... შევარდნაძემ გამოზარდა და ფიანდაზად გაეგო ბიზნესში გრეჩიხას, აი, იმას ახალი როა და არასდროს ძველდება.... ივანიშვილთან მისული შევარდნაძის ასკოლკები ჩანს მხოლოდ, ხოო?)))))

რა დროს ეს არის ამ დილაადრიან, მარა ამ "რუსთავი-2"–ის ჟურნალისტებმა საბოოლოოდ გაუბერეს:))

ყოფილ ადვოკატ მანანა კობახიძეს, რომელიც ივანიშვილის პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს, პასუხს თხოვენ – რატომ იცავდი ნარკოდილერ ბოჭორიშვილსო:))))))))))))

ეს ჟურნალისტიკაა თუ იდიოტების დოღია მართლა?

ეგ ერთი და მეორეც, ბოჭორიშვილს მიშასთის რომ მიეტანა ის, რაც მოსთხოვეს, მაშინ არ იქნებოდა ნარკოდილერი? მესამე, ბოჭორიშვილს ფული რომ აახიეს და იმ ფულით სკოლებში კომპიუტერები შეიტანეს, უკაცრავად და, შემთხვევით, კომპებს კოკაინის სუნი ხომ არ ასდის?

მე, როგორც მეტად ცნობისმოყვარე ადამიანს, მაინტერესებს, ვინ იყო ის ჟურნალისტი, რადგან ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა „დადგმულ კითხვა-პასუხს''.

ადამიანი, რომელსად დიდი წვლილი მიუძღვის სამების აშენებაში და 400-მდე ეკლესია-მონასტრის რესტავრაციაში. "ჟურნალისტი" ეკითხება ჯვარს ატარებო?

არ სჭირდება ივანიშვილს ასეთი შოუს დადგმა...მისი ცხოვრების გზა აჩვენებს ...ის რომ ქრისტიანია თუ არა და ატარებს თუ არა ჯვარს, მხოლოდ მისი გადასაწყვეტია...და ასეთი ჟურნალისტების არსებობა ...მაჩვენებელია არა იმის თუ როგორი განათლება აქვთ მიღებული...არამედ როგორ ოჯახებში გაიზარდნენ...და რა საზოგადოება ვართ ჩვენ ... ის რომ მან ჯვარი აჩვენა.. კიდევ ერთი იმის მაჩვენებელია, რამდენად თავდაბლობით...გამოირჩევა ...

რაზ, დვა ტრი. . . ზელენ პაკაჟი:)))) „მამაო ჩვენოს“ წაკითხვაც უნდა მოეთხოვა, მარტო ჯვარი მაჩვენე რა არის?:)))

ტერაქტზე მთავარი პასუხისმგებლობა ყოველთვის ეკისრება ორგანიზატორს, რომელიც ტერორისტს ტანზე ბომბის დამაგრებას და თავის აფეთქებას აიძულებს. "მაჩვენე ჯვარი",– იმის ნიშანია, რომ ჩვენს ქვეყანაში რელიგიური შუღლის და ქსენოფობიის გაღვიძება ოფიციალურად წახალისებული და დაფინანსებულია. ეს ფაქტი ძირისძირობამდე უნდა იქნას შესწავლილი და პასუხი მოეთხოვოს იმ ჯგუფს, რომელმაც ეს შეკითხვა ჩაუდო თავში ჟურნალისტს და საჯაროდ თავის აფეთქება აიძულა. "მაჩვენე ჯვარი",– დარჩება ამ ხელისუფლების წიაღში შექმნილ ისეთივე საფირმო შეკითხვად, როგორიცაა – "ბენზინი ხომ იშოვა?!"

mware gakveTilebi

evroamerika, ruseTi da saqarTvelo

ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

ჯემალ დავლიანიძე

რისთვის დასჭირდათ შევარდნაძე და... ყველაფერი მაინც რუსეთს დაბრალდება

შევარდნაძემ კომპარტიის ცეკას პირველი მდივნობისას მრავალი უბედურება დაატეხა საქართველოს. შემდგომ იგი გადაიყვანეს საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროში და დანიშნეს საგარეო საქმეთა მინისტრად. იქაც, რუსეთში, რუსი ხალხის საწინააღმდეგო დავალებებს ასრულებდა! მერე იყვირა – რუსეთში დიქტატურა მოდისო! დისიდენტობაც მოინდომა. თითქოს პენსიაშიც გავიდა და ჩრდილოეთში უნდა დაბანაკებულიყო, მაგრამ ისევ დასჭირდა ბნელეთს, ისევ დასჭირდა დემონურ სამყაროს!

რისთვის?

შევარდნაძე დასჭირდათ იმიტომ, რომ დაემხოთ საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით ხელისუფლებაში მოსული ეროვნული ხელისუფლება! საამისოდ სათანადო, მოსამზადებელი სამუშაოები წინასწარვე მიმდინარეობდა. პირველ რიგში, - უნდა განადგურებულიყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოში დარჩენილი ქონება...

საჭირო შეიქნა განტევების ვაცის ძებნა! აბა, თვითონ ხომ არ მოსპობდნენ ყველაფერს. შორიდან უნდა ეცქირათ, რათა თითოეული უბედურება სხვისთვის ანუ ეროვნული ხელისუფლებისთვის დაებრალებინათ!

მანამდე კი მზად იყო სამი ავტონომია: აფხაზეთი, აჭარა, სამხრეთ ოსეთი და მათ, როცა სურდათ, მაშინ გამოიყენებდნენ. ამისთვისაც წინასწარ იზრუნეს... პირიქითა საქართველო ხომ თითქმის წაგვართვეს!

მაშინ, ბატონებო, საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია და ევროამერიკას პირდაპირ არ შეეძლო შინაურ საქმეებში ჩარევა! თუმც, აგერ არ არის შევარდნაძე? რაო, რა, მისი ხელით ვერ გაკეთდება ქართველთათვის უკეთური საქმე, რომელიც შემდგომ მაინც რუსეთს დაბრალდება?

შევარდნაძე ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში! აკეთე სიბოროტე რამდენიც გსურს, დაადამბლავე ხალხი, ჰხოცე, მოწამლე, დაატიმრე, დახვრიტე, - ყველაფერი მაინც რუსეთს და მის მმართველებს დაბრალდებათ! აკი კიდეც თქვა შემდგომ (და დღესაც იძახის!) მე მაშინ რა შემეძლო – ჭანჭიკი ვიყავი, ბრძანებებს ვასრულებდიო!

შევარდნაძის მსგავსი ადამიანის გამონახვა არასოდეს არ არის ადვილი. საშემსრულებლო მისია, რომელსაც ვიღაცა ზემდგომი გავალებს, საადვილო საქმე არ გახლავთ. ამიტომაც, კოსმოპოლიტი, უთავმოყვარეო, უსინდისო, უზნეო, ყველაფრის მკისრებელი ადამიანის, სპეცადამიანის გამოყვანაა საჭირო! როცა ამას შეძლებ, - ჩანაფიქრსაც ადვილად შეასრულებ!

რუსეთს არასოდეს აკლდა შევარდნაძის მსგავსი გენერლები, მარშლები, მინისტრები, რომლებიც არასოდეს, არც თვით რუსეთის, არც სხვა ქვეყანათა კეთილდღეობას არ ემსახურებოდნენ.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ – ყოველივე ბნელეთის დავალებით კეთდებოდა, რუსი ხალხის მომავალ ბედზე არავინ ზრუნავდა. სახელი კი ერქვა რუსეთი, მაგრამ ინტერესები რუსი ხალხისა, არ იყო დაცული!

იმ შორეული წარსულის გამოძახილი დღესაც სახეზეა.

ევროპელები მრავლად იყვნენ რუსეთის იმპერიის მმართველობაში, თვით მაღალ ეშელონებში, მაგრამ ძირითადად, თურმე, როგორც დღეს ჩანს, ისინი თავიანთ ბნელ ზრახვებს ახორციელებდნენ. სწორედ ამგვარი ადამიანების სამშობლოდან გვესმის დღეს, რომ რუსეთი ხიფათია მსოფლიოსიო! მიდგება საქმე საქმეზე და პირში მოგახლიან – რუსეთი ბოროტების იმპერიაა! ამ დროს საჭიროა მოაგონო თავიანთი წინაპრების უბნელესი საქმიანობა, რომელსაც ეწეოდნენ ამავე რუსეთში...

სხვათა შორის, ევროპელებს, როცა სჭირდებოდათ, რუსეთისკენ მახვილითაც მოდიოდნენ და თვით მოსკოვსაც ცეცხლს უკიდებდნენ. იქნებ ვცდები? იქნებ ფრანგები, გერმანელები, პოლონელები, შვედები არასოდეს წამოსულან ასი ათასიანი არმიებით რუსეთის ასაოხრებლად?

აუჰ და ვაჰ! ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედოთ! ჩვენს უბედურებას შეეხეოთ თვალებში!

სად შევჩერდით?

აჰა! ბნელმა სამყარომ საჭიროდ ჩათვალა აღორძინებული და დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველო დაემუშავებინა ანუ მათხოვრად ექცია!

ვინ გვართმევდა და ვინ გვართმევს მიწა-წყალს!

უნდა ითქვას, ევროპა მუდამ ხელს უწყობდა თავისი წიაღიდან გამოსული ჩინოვნიკების მიერ იმპერიად ქცეული რუსეთის გაშლა-გაფართოებას, რასაც სისხლის წვიმებიც ახლდა.

ევროპამ, ბატონებო, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ცხვირწინ მოგვიჯახუნა კარი ქართველებს. სულხან-საბას თხოვნა არ მიიღეს. ჩვენთვის ვერ მოიცალეს. იგივე მოხდა რუსეთის მეფის კარზეც, რადგან ვახტანგ VI-ის დროს, რუსეთს თითქმის გადაცმული ევროპელები მართავდნენ... კიდეც შევიქენით სპარსეთის და ოსმალეთის საჯიჯგნ ტერიტორიად!

თვალსაჩინოებისათვის, ავდგეთ და გადავხედოთ ისტორიას. უფრო წინა წლებში გადავინაცვლოთ, შევხედოთ რუსეთის იმპერიის საქმიანობას ჩვენს მიმართ.

ვფიქრობ და თქვენც დარწმუნდებით, რომ, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, არც ქართველი და არც რუსი ხალხის (როგორც ასეთის!) ინტერესებში სულაც არ შედიოდა!

საილუსტრაციოდ ივანე ჯავახიშვილს მივმართოთ და მის ერთ საინტერესო წერილს გადავავლოთ თვალი, რომლის სათაურია: „ასე ხორციელდებოდა რუსეთის მზაკვრული მიზანი“ (გაზეთი „იბერია-სპექტრი“, 1991, №11, 319):

„რუსეთის მთავრობისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისთანავე რუსი ხელმწიფის წარმომადგენელნი, ერთის მხრივ, სომეხ მოხელეთა დაწინაურებით, მეორეს მხრივ, ნასალდათართა დასახლებით, საქართველოს მოსახლეობის ინტერესების შელახვითა და მიწა-წყლის ეთნოგრაფიული აჭრელებით, ქართველთა მოსალოდნელი პოლიტიკური მოძრაობისგან უზრუნველყოფას ცდილობდნენ. სომხები მათ აპოლიტიკურ ხალხად ჰყავდათ მიჩნეული და ამასთანავე, თავიანთ ერთგულად სთვლიდნენ. უკვე 1928 წლიდან მოყოლებული, როდესაც ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა სამოსახლოთაგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს. გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთიმერეთიდგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და ოსმალეთიდან გადასახლებულ სომეხთაგან 30 000 მცხოვრები ჩაასახლა. ამ ხელოვნური საშუალებით მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 90%-ს აღემატებოდა, 1832 წელს უკვე რუს მოხელეთა წყალობით უმრავლესობა სომეხნი იყვნენ (ვინ იყო პასკევიჩი, ყველას ჩინებულად მოეხსენება.



ვითომ რაიმე განსხვავებაა შევარდნაძეს და პასკევიჩს შორის? გავიხსენოთ შევარდნაძის ბნელი საქმიანობა აფხაზეთში და სამაჩაბლოში, რომელიც ქართველთა აყრა-აწიოკებით და იქ სომეხთა და სხვათა ჩასახლებით დასრულდა. ბატონებო, ჰგვანან თუ არა, პასკევიჩი და შევარდნაძე ერთმანეთს? და, თითოეული მათგანი რუსები იყვნენ თუ არა? თავად რუსი ხალხის ინტერესებში შედიოდა თუ არა ამ ორი ადამიანის მიერ ჩადენილი ცოდვანი? – ჯ.დ.).

მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთის პოლიტიკური წრეები (შევარდნაძის და პასკევიჩის სულიერი ძმები! – ჯ.დ.) უკვე ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ ამიერკავკასია მოსახლეობითაც რუსულად ქცეულიყო. 1864 წ. მ. კატკოვს მარტო რუს ნასალდათართა დასახლება აღარ აკმაყოფილებდა და იმაზეც ოცნებობდა, რომ ამიერკავკასიაში მარტო ქალაქები კი არა, არამედ სოფლებიც თანდათანობით რუსებით ავსებულიყო.

ამისათვის ერთ-ერთ ხელშემწყობ საშუალებად, მას კავკასიაში და კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე, რუს თავადაზნაურთა გადასახლება მიაჩნდა.

მაგრამ ამ დროს, რუსეთის მთავრობა რუსების ჩამოსახლებით პოლონეთის გარუსებას ცდილობდა, ამიტომ დარწმუნდნენ რა, რომ ამდენი ხალხი არ ჰყავდათ, ამავე ხანებში სომეხმა კანონმა საკოლონიზაციოდ ზეითუნის სომხების გადმოსახლების პროექტი წამოაყენა. კატკოვმა, აქ რუსი კოლონისტების სიმცირის გამო, მას მხარი დაუჭირა და პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებით, მიზანშეწონილად სცნო – სომხები ჩვენი ერთგული მომხრენიც იქნებიან და ვითარცა ვაჭარი ხალხი, თან ფულსაც მოგვიტანენო. ამ აზრს, რომ ამიერკავკასიაში დასასახლებლად სომხები ყოფილიყვნენ გამოყენებულნი, ისეთი გავლენიანი შავრაზმელის დასტურის შემდგომ, როგორც კატკოვი იყო, მთავრობის ადგილობრივი უმაღლესი წარმომადგენლობა მიემხრო და სომხების დასახლებას შეუდგა. სომხებთან ერთად, გერმანელების და ესტონელების ჩამოსახლებასაც მიჰყვეს ხელი. რუსები ცოტანი ჩანდნენ (რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ თვით უბრალო რუს ხალხს სრულიად არ სურდა საკუთარი მიწიდან ძალიძალად სხვაგან ჩასახლებულიყო! – ჯ.დ.). ამგვარად, ის მოხდა, რომ თავისუფალი მიწების დასახლება საკოლონიზაციო საქმეს სრულებითაც არ ქმნიდა და თანაც ქართველებს გაფართოების საშუალებას უსპობდა. ეს გარემოება კი რუს პოლიტიკოსებს, რასაკვირველია, ოდნავადაც არ აწუხებდა. 1887 წელს იგივე კატკოვი, უკვე გაჭკიოდა, შავი ზღვის სანაპიროზე ყველას ასახლებენ მცირე აზიიდან, ავსტრიიდან და გერმანიითგანაც, მხოლოდ რუსები არ ჩანანო (საკითხავი ხომ არის – თუ რუსები იყვნენ დაინტერესებული თავიანთი მოსახლეობის ანუ ჭეშმარიტი რუსების ჩამოსახლებით, ამ ავსტრიელებს თუ გერმანელებს, ხელს ვინღა უწყობდა? ვის შეეძლო რუსეთის იმპერიაში თვით რუსისთვის შეეშალა ხელი და ავსტრია-გერმანია წინ დაეყენებინა? განა ეს ფაქტი არ მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლებაში მაშინ არარუსნი ანუ უცხო ჯილაგის ადამიანები იყვნენ? განა პასკევიჩი და შევარდნაძე, ერთი და იგივე საქმეს არ ემსახურებოდნენ? – ჯ.დ.). კატკოვი საკოლონიზაციო საკითხს პოლიტიკურ-ეროვნულ საკითხად სთვლიდა და რუს მოახალშენეთა გაძლიერებას მოითხოვდა.

სომხების საქართველოში ჩამოსახლების პოლიტიკის სულისჩამდგმელად და მხურვალე, მარჯვე განმახორციელებლად ალ. და გ. ხატისოვების მამა – ივ. სტეფანეს ძე ხატისოვი იყო, რომელიც 1855 წლიდან 1875 წ. სახელმწიფო ქონებათა და სასოფლო მეურნეობის სამმართველოში, ამიერკავკასიაში გავლენიანი თანამდებობის პირად ითვლება. მის დროს და მისი დახმარებით, ბევრი სომეხი ჩამოსახლდა საქართველოში – ბორჩალოში, შავი ზღვის სანაპიროზე და ჯავახეთში. რაკი შავი ზღვის სანაპირო პოლიტიკურად მნიშვნელოვან ადგილად ითვლებოდა და ეს ადგილიც რომ სომხებისთვის დაეთმოთ, მან წამოაყენა ორი მოსაზრება – რაკი ეს ქვეყანა უმაღლეს სამეურნეო კულტურის კერად უნდა იქცეს, აქ დასახლების უფლება, ამგვარი კულტურის მქონეს უნდა მიეცესო. რუსები სულ სხვა ჰავასა და მარტო ხორბლეულის კულტურას არიან მიჩვეულნი და აქაური ციებისაგან დაიხოცებიანო. სომხები და ბერძნები კი ციებიან ადგილებს მიჩვეულნი არიან, ამ კუთხეს გააშრობენ, ააყვავებენ და შემდეგ რუსების დასასახლებლადაც გამოდგებაო, მაგრამ ბოლოს, სომეხთა გადმოსახლების აზრის მომწონებელმა, კატკოვმაც დაინახა, რომ აქ უბრალო ოინბაზობა იყო და 1881 წელს უკვე სწერდა, რომ თუ შავი ზღვის სანაპიროზე რუსები დაიხოცებიან, განა გერმანელ, სომეხ და ბერძენ მოხალისეებსაც ხომ იგივე დაემართებათო, მაგრამ საქმე უკვე იყო და აღმოჩნდა, რომ სხვებისათვის თავისუფალი სამოსახლო ადგილი იქ თურმე აღარ არსებობდა. ამ დროს ქართველი ხალხი არავის ახსოვდა. თავის მამა-პაპეულ მიწა-წყალზე დასახლება ყველაზე უპირველესად ხომ მისი უფლება იყო, ამის გაგება და გაგონება არც რუსეთის მთავრობას (რომელიც სავსე იყო არარუსი ეროვნების ადამიანებით! – ჯ.დ.) და არც მის სომეხ მოხელეს, არ სურდათ... ცხადი გახდა, რომ გარკვეული პოლიტიკურ-ეროვნული გეგმის, გაბნეულ სომეხთათვის ერთი მთლიანი ტერიტორიის შესაქმნელად იყო არჩეული ადგილები საახალშენოდ... ამ დროს მსოფლიო ომიც ატყდა. რუსეთის მთავრობამ ოსმალეთში სამხედრო მოქმედების გასაადვილებლად დაშნაკებს ოსმალეთის სომხების ავჯანყება ურჩია. თან დაჰპირდნენ, რომ ოსმალეთის სომხებს გაანთავისუფლებდნენ და რუსეთის ფარგლებში ავტონომიასაც მისცემდნენ. სომხები განსაზღვრულ დროს ავჯანყდნენ, მაგრამ ოსმალები გაბრიყვებული სომხების საზიზღარ ჟლეტას შეუდგნენ. ვინც მოასწრო გამოქცევა ამიერკავკასიაში, სპარსეთში ან სხვაგან, გადარჩა, მაგრამ დიდძალი ხალხი მსხვერპლად შეეწირა...

გერმანიის დამარცხების შემდეგ ოსმალებიც ფრანგ-ინგლისელებს დამორჩილდნენ. სტამბოლში და შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ინგლისელებისა და მისი მოკავშირეების საოკუპაციო ჯარი რომ გამოჩნდა, დაშნაკელ სომეხთა მთავრობას და პოლიტიკურ წრეებს, დიდი სომხეთის აღდგენის იმედი კვლავ მიეცა. სწორედ ამ დროს, 1918 წ. სტამბოლში დაიბეჭდა სომხეთის ვითომც ისტორიული რუკა, რომელიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული და სამსონის აღმოსავლეთით შავ ზღვაზე მდებარე ადგილთაგან ხმელეთაშუა ზღვამდე აღწევს და სელევკის ჩრდილოეთით მდებარე ადგილთაგან,

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ქ. არდებილის ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალი ხაზით, ამ სრულიად სომხეთის საზღვარი კასპიის ზღვასთან თავდება. ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და ტფილისიც კი სომხეთის კუთვნილებადაა ჩათვლილი და საქართველოს მხოლოდ პატარა, ვიწრო ზოლი აქვს მიკუთვნებული (კარგად დააკვირდით მეგობრებო, ხსენებული რუკა დაიბეჭდა სტამბოლში, ოსმალეთში, რომელიც იმ დროს ფრანგ-ინგლისელებს ემორჩილებოდა. რაღა თქმა უნდა, აქ ევროპელების ხელი ურევია და თავიანთ საქმეს აკეთებენ! – ჯ.დ.).

ამავ დროს, იმავ სტამბოლში, ზემოთხსენებული ფანტასტიკური ისტორიული რუკისდა მიხედვით, გამოცემულ იქნა ახალი, სრულიად სომხეთის სახელმწიფო რუკა, რომელშიაც სომხეთი უშველებელ სახელმწიფოდ არის წარმოდგენილი: ოსმალეთის დიდი ნაწილი შიგ არის მოქცეული: ტრაპიზონი, ორდუ, ქ. კესარია, ადანა, ედესსა, თვით სპარსეთის ჩრდილოეთი ნაწილიც ქ. თავრიზითა და არდებილით სომხეთის კუთვნილებად არის აღბეჭდილი. ფანტასტიკურ რუკასთან შედარებით აქ საქართველოს ოდნავ დათმობილი აქვს საზღვარი შავ ზღვაზე, რომელიც ბათუმის სამხრეთით იწყება, მაგრამ ახალციხე საქართველოშია მოქცეული, სამაგიეროდ, ახალქალაქი უკვე სომხეთშია და აქედან მოსაზღვრე ხაზი ჩრდილოეთისკენ იწევს, საქართველო-სომხეთის საზღვარი მტკვრის გასწვრივ მიემართება და ქ. განჯაც სომხეთსაა მიკუთვნებული. ცხადია, რომ ახალი სომხეთის სახელმწიფოსათვის ასეთი საზღვრები ეთნოგრაფიული პრინციპების მიხედვით არ არის შემოფარგლული, ეს გეგმა არც ისტორიულ საფუძველზეა დამყარებული, რადგან არასოდეს ასეთი სომხეთი, რომელიც მე-11 საუკუნის შემდეგ პოლიტიკურად აღარ არსებობდა, არ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ მის შემდგენელთ ოდნავი ლიტონი საღი გონიერებაც არ ატყვიათ (აი, ევროპელი „ძმები“, როგორ ცდილობდნენ კავკასიაში არეულ-დარეულობა გამოეწვიათ და შემდგომ ეთარეშათ! – ჯ.დ.).

ასეთი ფანტასტიკური რუკის წინააღმდეგ ოსმალეთის დელეგაციას დიდი ბრძოლა არ დასჭირებია, რადგან სტატისტიკური ცნობებით დაამტკიცა, რომ სომეხთა მოსახლეობას ომამდე არსებული რაოდენობის მიხედვითაც ამ უზარმაზარ სახელმწიფოში ოთხკუთხა ვერსზე 2-3 სულზე მეტი სომეხი არც კი ეყოლებოდათ. სომეხთა დელეგაციის მიერ წარდგენილი რუკის სიყალბე ყველასათვის ცხადი შეიქნა და თვით ფრანგი, ინგლისელი და ამერიკელი წარმომადგენლების თვალში სომეხთა დელეგაციის ფანტასტიკურ გეგმებს ყოველგვარი ნდობა დაუკარგა (როგორ გგონიათ, მეგობრებო, ფრანგმა, ინგლისელმა და ამერიკელებმა მაშინვე არ იცოდნენ, რა ყალბი რუკები შეადგენინეს სომხებს? იცოდნენ და თან, კარგადაც იცოდნენ. როგორც ვხედავთ, რა გეგმებიც მაშინ გააჩნდათ კავკასიაში, იგივე გაგებით მოქმედებენ დღესაც და მათი ვერაგულ ჩანაფიქრთა გამო, კავკასიელი ხალხი, მათ შორის საქართველოც, დღემდე მწარედ იტანჯება! – ჯ.დ.).

...საქართველომ თავისად მხოლოდ ტფილისის, ქუთაისის და ბათუმის გუბერნიები გამოაცხადა. სომხეთის რესპუბლიკა, ოსმალეთის სომხეთის გარდა, რომელიც ხელიდან წაუვიდა, ერევნის გუბერნიის გარდა, ყარსის ოლქსაც, არტაან-ართვინითურთ ეპატრონებოდა, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილებულა. წინასწარ ფარული სამხედრო სამზადისის შემდგომ, ინგლისის საოკუპაციო ჯარის უფროსს, გენერალ უოფესთან შეთანხმებით, 1918 წ. დეკემბრის დამდეგს სომხეთის დაშნაკელთა მთავრობამ თავისი ჯარი საქართველოს შემოუსია და თანაც საგარეო საქმეთა მინისტრის პირით, საქართველოს ულტიმატუმი წაუყენა, ქართლის საზღვრამდე დაეხია... რადგანაც ქართლად სომხები გორის მაზრას სთვლიან, ცხადია, რომ ეს ულტიმატუმი ტფილისის დაცლასაც გულისხმობდა და ამგვარად, ზემოაღნიშნული სომხეთის ორ რუკასთან, ყველაზე უფრო ფანტასტიკურ, ვითომც ისტორიული რუკის საზღვრების აღდგენას ცდილობდა (ზოგიერთ ჩემს თანამემამულეს, რომელიც ამერიკა-ევროპას გაჰყვირის და რუსეთის გარდა, მტრად არავინ მიაჩნია, ვურჩევ, კარგად დააკვირდეს და კარგად წაიკითხოს, როგორ წააქეზა ინგლისელმა გენერალმა დაშნაკელ სომეხთა ჯარი თბილისისკენ წამოსულიყო. თან დაიმახსოვრეთ, რომ სადაც ინგლისია, იქვე, სულ ახლოს მუდამ ამერიკაა, რომელიც ოდითგანვე სხვისი ხელით ნარის გლეჯასაა მიჩვეული! – ჯ.დ.). ოსმალეთში საქმის წაგებას სომეხთ პოლიტიკოსთა მადა საქართველოს წასართმევად და დასაკუთრებისათვის, არამც თუ დაუკარგავთ, პირიქით – გაზრდიათ კიდეც და ძველი სომხეთის ვითომც ისტორიული აღდგენა ქართველი ხალხის ხარჯზე უნდოდათ.

სხვა გზით და სხვა საშუალებით დაშნაკელთა ამ გეგმის განხორციელების მცდელობა შემდეგშიც არ შეწყვეტილა... ლორეს რაიონის სომხეთთან შეერთების გეგმის განხორციელებას სომხებმა მაინც მიაღწიეს, თუმცა ეს ქართველი ხალხის მესაქონლეობის ინტერესებისათვის საზიანო იყო. 1922 წ. სომეხთა იმავე წრეების მიერ, ახალი პროექტი იქნა წარდგენილი, რომ ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის უდიდესი ნაწილი ბორჩალოს მაზრასთან ყოფილიყო შეერთებული და ერთი სომხური ადმინისტრაციული ერთეული შექმნილიყო. რადგან სომეხთა ეროვნული ინტერესი ენისა, სკოლისა და ადგილობრივი მმართველობის მხრივ, უზრუნველყოფილი იყო და თანაც ბორჩალოს მაზრასა და ჯავახეთს შორის, არაფერია საერთო არც გეოგრაფიულად, არც ეკონომიკურად, მათ შორის არსებული მაღალი და გაუვალი მთების გამო, ფიზიკური კავშირიც კი შეუძლებელია. ცხადია, ეს გეგმაც მხოლოდ ამ ორი მაზრის საქართველოს

სსრ საზღვრებთაგან გამოყოფის და სომხეთთან შეერთებისათვის ოსტატურად მოგონილი პირველი საფეხურის პროექტი იყო, რომელსაც აუცილებლად მეორეც მოჰყვებოდა. საკმარისია, ადამიანმა დაშნაკელთა რუკებს თვალი გადაავლოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რომ აქაც ბრძოლა მხოლოდ იმავე წინანდელი მიზნით, სხვა გზით განხორციელებისათვის სწარმოებდა.

სსრკ შინაგან საქმეთა კომისარიატმა, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრების მცხოვრებთა აზრის და ეთნოგრაფიულ-ეკონომიკური ფაქტორების გამო, ამ გეგმის განხორციელება შეუძლებლად სცნო, რაც მან, 1923 წ. თებერვალს, კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს №299/157 აცნობა კიდეც და ცენტრალურმა კომიტეტმა ეს დასკვნა დაადასტურა კიდეც.

ამის შემდგომ სომეხთა იმავე შთაგონებით, წამოყენებულ იქნა საქართველოს ყარაია-შირაქის ველის სომხებით დასახლების პროექტი. ეს ადგილი უნდა სარწყავი არხების გაყვანით მორწყულიყო და იქ სომხებს მებამბეობის მეურნეობა უნდა მოეწყოთ, რომელიც, მათი სიტყვით, რუსეთის საფეიქრო ინტერესებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია და საჭირო. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაშიაც, ივ. ხატისოვისებური მოსაზრება იყო წარმოდგენილი. ის, რომ წყალი ქართველს ხალხისათვის არ ჰყოფნის და ამ მინდვრების მორწყვა, ქართული სამეურნეო კულტურის განადგურებას უდრიდა, ამაზე სომეხი პოლიტიკოსები არ ფიქრობდნენ. სომეხთა ამ პროექტის განხორციელების სრული შეუძლებლობის დამტკიცება საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა და ამგვარად, ეს პროექტიც უარყოფილი იქნა (მაშინ ხელისუფლებაში შევარდნაძე-სააკაშვილი რომ ყოფილიყო, სომეხთა ეს პროექტი აუცილებლად განხორციელდებოდა! – ჯ.დ.). დამახასიათებელია, რომ ფრ. ნანსენმაც, ტფილისში ჩამოსვლისთანავე, ამავე საკითხზე დაიწყო ლაპარაკი და უნდოდა გაეგო, თუ რამდენად შესაძლებელი იყო საქართველოს ამ კუთხეში ლტოლვილი სომხების დასახლება. ცხადია, რომ ფრ. ნანსენსა და აქაურ სომეხთა პოლიტიკოსებს სულის წმინდის შთაგონებით არ მოსვლიათ ერთი და იგივე აზრი, არამედ, აქ ჩვენ სომხეთისათვის პოლიტიკური ტერიტორიის ხელოვნურად შექმნის, დაშნაკელთა ძველი, ზემოთაღნიშნულ რუკებზე აღბეჭდილი გეგმის განხორციელების ხელახალ მცდელობასთან გვაქვს საქმე (როგორც ვხედავთ, ეს ვინმე ფრ. ნანსენი, სულაც არ არის რუსი და იგი საქართველოს დაქუცმაცების ერთერთი პირწავარდნილი მოსურნეა! – ჯ.დ.).

დასასრულ, ეხლა ორიოდე სიტყვა კიდევ ვითომც ერთს ახალ პროექტზე – ჯავახეთისათვის ავტონომიის მინიჭებისა და გამოყოფის აუცილებლობის შესახებ. ყველა ზემონათქვამის შემდგომ, ცხადია, თუ საიდან და რისითვის მომდინარეობს ეს პროექტიც. არც გეოგრაფიული და არც ეკონომიკური პირობები არ შეცვლილა. სომეხთა ეროვნული ინტერესი ეხლა ხომ სავსებით უზრუნველყოფილია? მაშ, რითღა არის, ეს ვითომც ახალი გეგმა გამოწვეული, თუ არა იმავე პოლიტიკურ-ტერიტორიალური მიზნის მისაღწევად? ამ გეგმის განხორციელებით, ამავე დროს ქართველი მშრომელი ხალხის იმ ნაწილს, რომელიც მესაქონლეობას მისდევს, არსებობის უკანასკნელი ლუკმა უნდა ექნეს პირითგან გამოგლეჯილი და მეცხვარეობა საქართველოში უნდა მოისპოს სრულიად. ... ეს იმდენად დაუჯერებელი რამეა, რომ დარწმუნებული ვარ, სსრ მთავრობა ამ პროექტსაც უარყოფს იმგვარადვე, როგორც უარყოფილი იყო იმავე წრეებითგან გამომდინარე ზემოაღნიშნული ამისივე მსგავსი პროექტები“.

დიდი ქართველი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილის ეს საგულისხმო წერილი ტყუილად არ მოვიყვანე სამაგალითოდ. თვალსაჩინოა, რომ საქართველოს მიწების ოკუპაციას ეშმაკური ხერხებითა თუ სამხედრო აგრესიით, მრავალი უცხოელი, იგივე ევროპელები, ამერიკელები, სომხები და ოსმალოები ცდილობდნენ. საინტერესოა, ამ ყბადაღებული დასავლეთისკენ და ამერიკისკენ თვალმიჭყეტილი შევარდნაძე-სააკაშვილები, რატომ კრინტს არ ძრავენ? რატომ იყრიან თავზე ნაცარს და ერთადერთ მტრად, რაღა რუსებს ასახელებენ?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

facebook xalxis azriT

Facebook

ამ კლოუნებისთვის, ვგულისხმობ, ნაცებს და მათ მსახურებს, თვითონვე ამტკიცებენ, რომ პოლიტიკა შოუა! თან ეს ბრიყვი ჟურნალისტი, სავარაუდოდ, რეალტივიდან, ვინც ბიძინას მოსთხოვა ჯვრის ჩვენება, სამჯერ იმეორებს ამას, რომ თურმე მისთვის პოლიტიკა შოუა, არადა, მართლა ასეა ამათ ხელში.

ხოდა, ამიტომაც არის საქართველო დღეს ასეთ ყოფაში! ასე გინდათ ნაცებს ქვეყნის აშენება?

თქვენი აშენებული საქართველო არ გაიშვა!!!

ვთვლი, რომ კაი არჩევანია კობახიძე. აბსოლუტურად ვეთანხმები, რომ მისი მეუღლის კანდიდატურა არ წამოაყენა. ეგ შეცდომა იქნებოდა. არა იმიტომ, რომ ეკა ხვედელიძეს ვიწუნებ. არა. უბრალოდ, ახლა ის სიტუაციაა, რომ სამართლებრივად სწორად უნდა იმოქმედოს და მისი პარტიის ყოველივე ნაბიჯს ლუპით დააკვირდებიან და არ უნდა მოხდეს რამე იურიდიული შეცდომა.

ქართულ პოლიტიკას ეხუმრები, კაცო??? აქ პოლიტიკა კი არა ბოიბეზ პრავილ გახლავთ:))) ამ თამაშს მისი წესები მაინც აქვს თავისი უუუბინძურესი ტექნოლოგიებით და ამ წესებში გარკვევა და ამ ტექნოლოგიების დასწავლა კი არა მხოლოდ პროგრესული ვერსია უნდა წარმოადგინოს მოგების მოსურნემ!!! ანუ წესიერი ავანტურისტებია საჭირო დღეს ქართულ პოლიტიკაში:))) სადმე თუ აღმოაჩინოთ აუცილებლად გამაცანით:))

გიხაროდენ, ცეზარ და იაგო ჩოჩელების ლიმონათი მტერთან შევიდა... (ურა) პატრიოტიზმის გამოვლინებაა... მიშა, შენი გუბერნატორის რუსულ ფულს ნომერი არა აქვს, ხომ?!

ბიძინა ივანიშვილი: „მშვიდობიანი განვითარების საშუალება მივცეთ ჩვენს ლამაზ ქვეყანას, მშვიდობიანი მომავალი შეუქმნათ ჩვენს მომავალ თაობებს“. ესეთი იმედიანი 20 წელია არ ვყოფილვარ, დგება იბერიის გაბრწყინების ჟამი და ამას წინ ვერც ერთი ეშმაკის მოციქული ვერ დაუდგება ჩვენ გადავრჩებით გავძლიერდებით და ჩვენს სიტყვას ვეტყვით მთელ სამყაროს რომ ჩვენ არა ვართ ფასადური რეფორმების და შენიღბული დემოკრატიის მქონე ქვეყანა, არამედ ვართ ძალიან ამაყი, ძალიან კულტურული და ძალიან შეუპოვარი ერი, რომლისგანაც ბევრს შეუძლია ისწავლოს და მაგალითი აიღოს. ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება, მადლობა ბატონ ბიძინას ამ უდიდესი იმედისთვის.

არიქააა, გვეშველა ტრამპი ჩამოსულა :)))) რა იჩალიჩეს რომ პარტიის დაფუძნება გადაეფარათ :))) ამათ ისე მოსდით, კაცი დედის საფლავს რომ გადააბიჯებს და სიდედრის საფლავზე გული წაუვა. ქართველ ბიზნესმენს და უდიდეს მეცენატს საქართველოს ისტორიაში მოქალაქეობას ართმევენ და ვიღაცას ფეხქვეშ ეგებიან, კაცს რომელიც 1 დოლარის ჩამდები არაა საქართველოში. ჩვენმა ვერონიკამ ისიც მოროშა, აი, ეს არის მწვანე შუქი მსოფლიო ბიზნესმენებისთვისო და ეხლა მოაწყდებიან საქართველოს საზღვრებს ფულის ტომრებითო :)))

ვიცოდი ქართული ჟურნალისტიკის ნულოვანი დონე (მცირე გამონაკლისის გარდა), მაგრამ დღევანდელმა შეკითხვებმა დამარწმუნა, რომ ისინი ნულს ქვემოთ არიან. განსაკუთრებით კომიკურია მათი კითხვების “გლობალური” ხასიათი და ქართულ ლიტერატურაში ტესტირების ჩატარების მცდელობა. გვაჩვენეთ ჯვარი- აუ, კაცი რომ ვიყო, შეეიგინებდი, რა უხამსობაა. მოკლედ, მაგრად გაბითურდნენ.

„ზრდილობიანმა” ჟურნალისტებმა ბატონი ბიძინა სტრიპტიზში ჩაითრიეს! ნეტავ ვის მოსდის აზრად სამების მაშენებელისა და უამრავი ეკლესია-მონასტრის აღმდგენის რწმენა ეჭვქვეშ დააყენოს? ისე, ინფორმაციისთვის: ივანაშვილები, ტრადიციულად, ჭორვილის მაცხოვრის ეკლესიის მგალობლები იყვნენ.

7 პროდუქტი, რომლებიც მავნეა ქალის ჯანმრთელობისთვის

ნახევარფაბრიკატები

ბევრი ქალბატონი სამსახურში ატარებს სწრაფი მომზადების წვნიანს. წვნიანი გემრიელია და ადვილად მოსამ-

ზადებელი. მაგრამ ამ საკვებში დიდი რაოდენობით ნატრიუმის გლუტამატი შედის, რაც გემოს გამაძლიერებელი ქიმიური საშუალებაა, და დიდი რაოდენობით მარილი, ყოველივე ეს აზიანებს თირკმელსა და ღვიძლს.

გაზირებული წვენები

მათი მავნეობის შესახებ საყოველთაოდაა ცნობილი. ის აზიანებს კბილის

ემალს, იწვევს სხვადასხვა დაავადებებს, მაგალითად, გულის დაავადებებს, ოსეოპოროზს, დიაბეტს, სიმსუქნეს.

გამომცხვარი დესერტები

ისინიც ჯანმრთელობის პირველი მტრები არიან. შეიცავენ დიდი რაოდენობით კანცეროგენებს, მათში შედის შაქარი, ცხიმები, რომლებიც თერმულად

მუშავდებდა და ჯანმრთელობას დიდ ზიანს აყენებს. ამ საკვების რეგულარული მიღება ქოლესტერინის შემცველობას ზრდის ორგანიზმში.

მსუბუქი სპირტიანი სასმელები

ამ ნაყენებში ბევრი შაქარი და ნახშირწყლებია. ქალები, რომლებიც რეგულარულად იღებენ ასეთ პრეპარატებს, მათი ორგანიზმი მრავალი დაავადების კერა ხდება.

თხევადი საკვები

მაგალითად, იგივე წვნიანები, კოქტეილები, ნაყენები. მათი ხშირი მოხმარების შემთხვევაში მუცელი ზარმაცდება, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოშლას. თხევადი საკ-

ვები ძნელად გადასამუშავებელი საჭმელის შემდეგ უნდა მიიღოთ.

ყველი და შემწვარი კარტოფილი

დაგეთანხმებით, ასეთი საჭმელი ნამდვილად გემრიელია, მაგრამ შემწვარი კარტოფილი მძიმე საკვებია, მას რომ ყველს დაუმატებთ, კუჭს დიდი დატვირთვა მიეცემა. ამავე დროს კარტოფილში ბევრი ნახშირწყალბადია, ყველში –

ცხიმები. მათი ერთდროულად მიღება დიდ საშიშროებასთან არის დაკავშირებული.

ხორცის კონსერვები

მათ განსაკუთრებით იმიტომ უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ამ საკვებში მრავლად შედის არომატიზატორები და გემოს გამაძლიერებელი ფერმენტები, ზოგჯერ ხორცს ცვლიან გენმოდიფიცირებული სოიოთი. ამიტომ ამ საკვებმაც, შეიძლება, არასახარბიელო შედეგამდე მოგვიყვანოს.

ჰიტლერის და სამხრეთ ურალში ცხოვრობდა

იცოდით, რომ ურალში სამი წელიწადი ჰიტლერის და ცხოვრობდა? მაგრამ კი არ „ცხოვრობდა“, ციხეში იჯდა და ამ პატიმარს ერქვა მარია კოპენშტეინერი. ბავშვობაში პატარა ადოლფი ხშირად დადიოდა დედასთან ერთად სტუმრად თავის დასთან და ერთად თამაშობდნენ ხოლმე. მაგრამ, როცა ჰიტლერი გაიზარდა და დიდი, კაცი გახდა, ნათესავები იშვიათად ნახულობდნენ ერთმანეთს. ჰიტლერს სხვა ინტერესები ჰქონდა, მას სურდა სამყაროს მფლობელი გამხდარიყო. მარია კი მსხვილი მიწათმფლობელი გახდა. მას „ეხმარებოდა“ ათობით სამხედრო ტყვე, მათ შორის საბჭოთა კავშირიდანაც.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ჰიტლერის და დააკავეს და იზოლატორში მოათავსეს. სასამართლო სასწრაფოდ ჩატარდა: ქალს, რომელიც ყველა დროის უდიდესი დამნაშავის და იყო, 25 წელიწადი მიუსაჯეს მკაცრი რეჟიმის პირობებში. სასჯელის ოფიციალური ფორმულირება ასე ჟღერდა: „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის“.

ჰიტლერის და ურალის ციხეში გაამწესეს.

არსებობს ლეგენდა: სიცოცხლის ბოლოს მარიას მხედველობა დააკლდა და სათვალე მოითხოვა, ამ მოთხოვნაზე ციხის ხელმძღვანელმა ასეთი რამ დააწერა: „მიეცით სათვალე, მხოლოდ ღამით გამოყენებისთვის“. მარიამ ურალის ციხეში სამი წელიწადი გაატარა. 1948 წელს იგი საკუთარ საკანში გარდაიცვალა ავადმყოფობის შემდეგ.

ჰიტლერის დის საფლავი უცნობია.

მაგრამ საინტერესო ისაა, რომ მხოლოდ მარია არ იყო ამ ციხეში ერთადერთი ცნობილი პატიმარი. აქ იხდიდნენ სასჯელს თურმე კამე-

ნევი, ზინოვიევი, რადეკი, „კომსომოლსკაია პრავდას“ პირველი რედაქტორი ალექსანდრ სლეპკოვი, იქ ისხდნენ ცნობილი რუსი მეცნიერები, ოფიცრები, მსახიობები... ერთი ვერსიით, აქ დაასრულა სიცოცხლე ტერორისტმა ქალმა ფანი კაპლანმა, რომელმაც ლენინს ესროლა.

საინტერესო კიდევ ის არის, რომ ჰიტლერის დას შეუსწავლია რუსული ენა და არცთუ ისე ცუდად ლაპარაკობდა თურმე. ხოლო ურალის ციხე აბსოლუტურად ყველა ისტორიულ წყაროს მიხედვით იყო ისეთი დაწესებულება, საიდანაც არასდროს არ გაქცეულა პატიმარი, რომელიც ციხის სარდაფში მდებარეობდა თურმე, ამ კარცერს ჰქონია უსასრულო ლაბირინთი, საიდანაც გასასვლელი არსად არ იყო. პატიმრები აქ „ცხოვრობდნენ“ სიცოცხლის ბოლომდე, ციხის თანამშრომლები იუწყებიან, რომ ეს იყო ყველაზე საშინელი ციხე, რაც კი ოდესმე სმენიათ. ციხე აგებული ყოფილა ვაჭარი საფრონოვის მიერ. იგი 1918 წელს თეთრგვარდიელებთან თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის დაუპატიმრებიათ. მასაც სიცოცხლეს უკანასკნელი წუთები თავისივე აგებულ ციხეში დაუსრულებია.

ყველაზე დიდი მკერდი ევროპაში 50 ჯგ-ს იწონის

გერმანელი პორნოვარსკვლავი ყველაზე დიდი მკერდის მქონე ქალბატონად ითვლება ევროპაში. მსახიობ ბიშაინს 32 XXX ზომა მკერდი აქვს. ასეთი ზომა საერთოდ არ არსებობს.

28 წლის მსახიობი სიამოვნებით აჩვენებს თავის უზარმაზარ მკერდს მსურველებს და არ მალავს, რომ მისი „სიმდიდრე“ პლასტიკური ქირურგიის დამსახურებაა.

კარიერა ბიშაინმა 5 წლის წინ დაიწყო, როცა მან თავისი პირველი ფოტოები განათავსა ინტერნეტში. იგი აქტიურად ზრუნავს საკუთარ ჯანმრთელობაზე. დადის სპორტდარბაზში, რათა შეინარჩუნოს ძალ-ღონე ატაროს უზარმაზარი მკერდი. ამასთანავე სისტემატიურად იტარებს სამკურნალო მასაჟებს მკერდზე და იზელს სპეციალურ საინექციო გელს ფორმის და სიმკვრივის შესანარჩუნებლად.

მანდარინს უნიკალური თვისებები აქვს

მანდარინს არა მხოლოდ გემრიელი ნაყოფი აქვს, არამედ ის მკურნალობს გულის დაავადებებსა და დიაბეტს.

დასავლეთ ონტარიოს უნივერსიტეტის კანადელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ მანდარინში შედის სპეციალური ნივთიერება ნოილეტინი, რომელიც მანდარინში ბლომად შედის და ამცირებს ადამიანის ორგანიზმში ქოლესტერინის შემცველობას და სისხლში ინსულინის შემადგენლობას, იგი ეხმარება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განკურნებაში და ებრძვის დიაბეტს.

ამასთანავე, მანდარინი კვებავს ორგანიზმს ვიტამინებით, აძლიერებს მადას და აჩქარებს საჭმლის მონელების პროცესს.

სიყვარულის ისტორია: იმპერატრიცას რომანი

1779 წლის შემოდგომაზე თეატრებში მოლიერის წარმოდგენას უჩვენებდნენ, სადაც გმირმა წამოიძახა: „30 წლის ქალი შეიძლება იყოს შეყვარებული, მაგრამ 50-ის? ეს მოუთმენელია!“ იმპერატრიცა ეკატერინე II ამაზე ჩაილაპარაკა: „სისულელეა, არ არის კარგი სპექტაკლი, მომწყინდა“ და დატოვა დარბაზი. იმპერატრიცა მაშინ 60 წლის იყო და მის ცხოვრებაში ახალგაზრდა გვარდიის ოფიცერი პლატონ ბუშოვი მთავარ როლს ასრულებდა. იმპერატრიცა, ცნობილია, რომ მრავალ ფავორიტს იცვლიდა. მაგრამ 21 წლის პლატონ ზუბოვს ყველაზე მეტად „გაუმართლა“.

1789 წლის ზაფხულში ზუბოვი უკვე ირიცხებოდა სამხედრო არმიაში და ის მხედრული დამსახურების გამო კი არა, თავისი სილამაზის წყალობით იმპერატრიცის კარეტის თანმხლებადაც კი მოგვევლინა. ეკატერინას თვალს მისი სილამაზე არ გამოჰპარვია და იგი სადილად მიიპატიჟა. რამდენიმე დღის შემდეგ სასახლის კარისკაცი თავის დღიურში წერდა, რომ როტმისტრმა პლატონ ზუბოვმა მოუხშირა „ზევით სიარულს“. რაც ნიშნავდა, ეკატერინე II საძინებელ ოთახში ხშირ სტუმრობას. მალე სასახლის ლეიბ-მედიკოსი როჯერსონი წერდა, რომ პლატონ ზუბოვი დააჯილდოვეს 100 000 მანეთით.

ამბობენ, რომ პლატონ ზუბოვი მამაკაცური ღირსებების გარდა სილამაზითაც გამოირჩეოდა. მისი პორტრეტი ფრანგმა შარლ ფრანსუა ფილიბერ მასონმა შექმნა: „იმპერატრიცას უამრავი მთხოვნელი და მახვეწარი ეხვეოდა გარს დილიდანვე, მიღებასა და გასტუმრებას ლაქიები ვერ აუდიოდნენ. იქვე სავარძელში იჯდა ყმაწვილი კაცი, ფართოდ გახელილი უდარდელი თვალები ჭერზე ჰქონდა მიშტერებული. სახე ცივი და უმეტყველო ჰქონდა, მაშინვე იპყრობდა მომსვლელთა ყურადღებას. იგი ერთობოდა თავის მაიმუნებთან, რომლებიც ხტუნავდნენ ყველგან, გაჰყვიროდნენ და ფეხებში ედებოდნენ მომსვლელებს. დოლგორუკები, გოლიცინები, სალტიკოვები და სხვა დიდებულები, ზუბოვის გარდა, ყველანი მდაბიოებად ჩანდნენ“.

მასონი მათემატიკას და ფიზიკას ასწავლიდა სასახლეში. ეკატერინე II-ის გარდაცვალების შემდეგ იგი გაძევეს რუსეთიდან, მაგრამ ოჯახი – მეუღლე და გოგონა დატოვეს პეტერბურგში.

ულამაზესი ოლგა მასონი ალექსანდრე პუშკინის ნაცნობთა წრეში ტრიალებდა, მაგრამ თვით მასონის განდევნის მიზეზი გახდა პასკვილი, რომელიც მან ზუბოვის შესახებ დაწერა. იმდროინდელი წყაროები იუწყებიან, რომ არასდროს ენახათ ზუბოვისნაირი ანგარებიანი ადამიანი ამქვეყნად.

ოთახის შხამიანი მცენარეები, რომლებსაც უნდა ვერიდოთ

ზოგიერთი ადამიანი ოთახის მცენარეებს ირჩევს გარეგნობის მიხედვით, ზომით და სილამაზით, მაგრამ ცოტა თუ ფიქრობს იმას, რამდენად საშიში შეიძლება იყოს ზოგიერთი მათგანი.

თუკი სახლში გყავთ პატარა ბავშვები და ცხოველები, განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოთ, რადგან შხამიანი წვენი, რომელიც აქვს ზოგიერთ მცენარეს, თუკი მოხვდა ორგანიზმში, შეიძლება სერიოზული მოწამვლის მიზეზი გახდეს. აი, ეს მცენარეები უქმნიან თქვენს ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს: კალადიუმი, ლილია, ოლეანდრა, მექსიკური წიწაკა, ალოკაზია, ფილდენდრონი და სხვები..

50 წლის მამაკაცები 30 წლის ქალბატონებს ირჩევენ

როგორც წესი, მამაკაცები 45-50 წლის ასაკში გაცილებით მცირეწლოვან ქალბატონებს ირჩევენ საცოლედ. მათთვის ყველაზე პოპულარული ასაკი ქალისთვის 30-34 წელიწადია. ბრიტანეთის ნაციონალური სტატისტიკის მონაცემების მიხედვით, 2011 წელს ასეთ მამაკაცთა რაოდენობა 6 პროცენტით გაიზარდა. მათ შორის მამაკაცების უმრავლესობა ადრე უკვე იყო დაქორწინებული. გაირკვა, რომ მამაკაცთა უმეტესობას 50 წლის შემდეგ კვლავ სურს ჰქონდეს ახალგაზრდა ქალბატონთან კანონიერი კავშირი.

bavSvis bednierebamisi dabadebis Tvezea damokidebuli

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ადამიანის ბედი მისი დაბადების თვეზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული. დიდი ხანი არ არის, რაც მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანის ბედზე დიდ როლს მისი დაბადების თვე ასრულებს და ამავე დროს პასუხისმგებელია მისი სხეულის წონაზეც, იმაზეც, ოპტიმისტი იქნება ადამიანი თუ პესიმისტი, რამდენი შვილი ეყოლება და ა.შ. მაგალითად, გაზაფხულზე დაბადებული ბავშვები ავადმყოფობისკენ არიან მიდრეკილნი, მაგრამ „ზაფხულის ბავშვები“ – ყველაზე ბედნიერები არიან.

მოკლედ, თვე განსაზღვრავს ბავშვი მამაცი იქნება თუ მშიშარა, გამხდარი თუ მსუქანი, მაღალი თუ დაბალი. რა თქმა უნდა, დაბადებისთვის ოპტიმალური თვე არ არსებობს, ყველა პერიოდს აქვს პლუსები და მინუსები, მაგრამ არსებობს თვეები, რომლებსაც ნაკლები რისკები ახასიათებს.

ზამთრის ბავშვები

მათი უმრავლესობა ხშირად ავადობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებით. ბრიტანეთისა და ედინბურგის უნივერსიტეტის მკვლევარების ცნობით, ზამთრის თვეებში დაბადებულ პატარებში გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკი 24 პროცენტით მაღალია. ქალბატონები,

რომლებიც ზამთარში დაიბადნენ, ხშირად უჩივიან სისხლში ქოლესტერინის მაღალ შემცველობას, ამიტომ მშობლებმა პატარაობიდანვე უნდა მიაქციონ ყურადღება მათ კვებას.

ფსიქოლოგების შეხედულებით, ზამთარი ეს არის შესანიშნავი დრო წარმატებული ადამიანების დაბადებისთვის, მიზანმიმართული, ძლიერი ადამიანების დაბადების დრო. ეს ადამიანები შრომობენ და თავის მოქმედებებში დარწმუნებულნი არიან, ზამთარში დაბადებული ადამიანები პატარა ასაკში ხშირად კამათობენ მშობლებთან უბრალო და უმნიშვნელო თემებზე. არ შეუძლიათ აღიქვან საკუთარი შეცდომები,

გაზაფხულის ბავშვები

გაზაფხულის ბავშვები სუსტები არიან, მიდრეკილნი გაციებისა და გრიპისკენ, ისინი ალერგიულები არიან და ხშირად ავადმყოფობენ.

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ გაზაფხულზე დაბადებული ბავშვები ყოყმანები არიან და უჭირთ გადაწყვეტილებების მიღება. მათ შეუძლიათ ყურადღებით უსმინონ მოსაუბრეს. როგორც წესი, აქვთ სწორი შეხედულება და შეფასება საკითხებისა, მაგრამ არ უყვართ კამათი და უარს ამბობენ ლიდერის პოზიციებზე. მშობლებმა უნდა ეცადონ გაალვივონ გაზაფხულის ბავშვებში საკუთარ თავში დარწმუნებულობა, რომ იფიქრონ თუ როგორ სჭირდება ის გარშემომყოფებს და არის დაცული ახლობლების გარემოცვაში.

ზაფხულის ბავშვები

ზაფხულობით ოპტიმისტები და ბედნიერები იბადებიან, – ამტკიცებენ ჰერტფორდშირის უნივერსიტეტის პროფე-

სორები. ზაფხულში დაბადებულები თავიანთ თავს გადაჭარბებულად აფასებენ. ოპტიმისტები არიან. პოზიტიურად უყურებენ ცხოვრებას, თავიანთი თავი იღბლიანად მიაჩნიათ და კმაყოფილი არიან ამით. ზაფხულის ბავშვები ემოციურობით გამოირჩევიან, კეთილი, შთამბეჭდავი, იმპულსური ნატურა აქვთ. არავის არაფერს შეარჩენენ, მაგრამ გულღრძო არ არიან. მიდრეკილნი არიან კარიერისკენ, მათ არ ეშინიათ რისკების და მსხვერპლშეწირვაც შეუძლიათ. მშობლები უნდა შეეგუონ იმას, რომ მათი შვილი განსაკუთრებულ მზრუნველობას გამოიჩენს უსახლკარო ცხოველებისადმი, იქნება სუსტების დამცველი და დაჩაგრულ თანაკლასელს ყოველთვის გამოესარჩლება.

შემოდგომის ბავშვები

თუ გინდათ თქვენი შვილი დღეგრძელი იყოს, უნდა ეცადოთ, ის შემოდგომაზე დაიბადოს. ამაში მას ეხმარება ოპტიმისტური ხასიათი. შემოდგომის ბავშ-

ვები სწავლისა და ცოდნის მოპოვებისკენ არიან მიდრეკილნი, იშვიათად აქვთ კონფლიქტი მეგობრებთან და მშობლებთან, ადრიანად იგებენ ფულის ფასს, გამგონე, მიხვედრილი, დიპლომატიურები არიან. თუკი მშობლები ცხოვრებაში სწორ მიმართულებას აარჩევინებენ და დაეხმარებიან, ისინი წარმატებულები იქნებიან საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.

მოამზადა ანა ვადაჭკორიამ

მოგზაურობა სამშობლოში


ქარელი
სამწევრისი
ბრეთი
ბრეთ
ბრ
ბ
ბ
ბ



თავსატეხი



ᲨᲔᲔᲣᲚᲐᲓ: ალაბი, ავდიგა, ფინია, აგლაძე, ლურაგა, ზედაშე, თარჩია, იდილია, ჯარტიე, ლაგუნა, ოსტინი, რეალია, სიკოკე, ტერორი, ციანა, ჭალარა, კერტეტი.

ᲗᲐᲠᲐᲨᲣᲚᲐᲓ: ატაშე, ლესია, გრაცია, ეიზიტი, ეკორია, შუქარა, ნატაშა, პერონი, ფიფუნია, ქილანი, ლორენა, წრიალი, ზარატი, ჯეიმსი, პაუნა, დიაგრამა, ამელანი.

სავიდან ერთი



ᲨᲔᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ბელელი, ლუკატი, სეფური, 2. თალესი, თეთუნი, თემიდა. 3. პაკეტი, ლედალი, შელაკი. 4. ჯონკა, ტორეი, ბელტი. 5. სკოლი, ომონი, ეკალი. 6. ინიცა, ცხიმი, სტეკი. 11. ხალიმა, ტარიბუა, კომბოტი. 12. კატრანი, ჰელტროუ. ბანგეტი. 13. ხორბალი, კარეკერი, გალეტი. 14. ხოტეკი, ფაკეში, სეგედი. 15. პობედა, ლეგოლი, ლოპეხი. 16. გურაში, სალარო, ბუნაგი.

ᲗᲐᲠᲐᲨᲣᲚᲐᲓ: 3. დალმაცია, პორტუგალი, ბრაზილია. 7. მოდული, მარეული, ბურეკი. 8. კარტრიჯი, კომფორტი, კაბრიტი. 9. ფოლიფი, გალიფე, კეფელი. 10. კოკორეხა, ბარათელი, ტიტეკაკა. 14. ჯილაგი, ლაგეში, ხოხობი. 17. ცვარელი, ტროტილი, არობაჩი. 18. კუპერი, შეკელი, ფანერა. 19. ტრეზეგეტ, ანრიშია, სტენლიხი. 20. სალიმე, გენადი, ზოლიმე. 21. კაბირია, კოლონია, კერტანი.

ᲨᲘᲤᲠᲘᲠᲔᲑᲘ





facebook xalxis azriT

Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook

მერე რა, რომ გიჟია?

მერე რა, რომ კაიფობს?

მერე რა, რომ ქცევა არ უვარგა და განათლებაც მოუკოჭლებს?

საბაგიეროდ, წინ მიჰყავს ქვეყანა :)))) რამდენი რამე აშენდა, დამშვენდა ... შუქი და წყალი გაქვთ (21-ე საუკუნეში) და ბლა,ბლა,ბლა,ბლა....

ნაცებო!!! აქამდე რაც აშენდა, დამშვენდა და გაკეთდა - ყველაფერი ბიძინამ გააკეთა და როგორ გგონიათ, ხელისუფლებაში რომ მოვა თავისსავე გაკეთებულს და აშენებულს დაანგრევს და დაანნელებს? თქვენ თუ ვერ აზროვნებთ, გვაცადეთ.... განა არ სჯობს, რომ ნორმალურმა ადამიანმა მართოს ქვეყანა, სანამ მართლა საბოლოოდ ბნელსა და უკუნში აღმოვჩნდებით? შეხედეთ ამ სურათს!!! ეს გადარეული გინდათ უკუნითი უკუნისამდე? არ გეცოდებათ ეს კაცი, ან ჩვენი ქვეყანა?

შეეშვით დემაგოგიას და გონს მოეგეთ, სანამ კიდევ დროა.

მე ერთი რამე მაინტერესებს, ეს საბიუჯეტო რესურსების გამოყენება რომ არის აკრძალული პარტიების მიერ მარტო ჩინოვნიკებს და სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულებს ეხება თუ იმ "პიპიებს" და ბენზინებსაც რომელსაც ეს ჩვენი ყოჩაღი პარლამენტარები ხმარობენ???!!! აბა, დადოს ნაცმოძრაობამ დაკუმენტი რამდენი ლიტრი ბენზინი გადასცეს აღნიშნულ "ყოჩაღ პარლამენტარებს" ამ ვიზიტებისთვის.

კალმახელიძეს ამ ჩვენს ხათუნას ან იჭერენ ან აწინაურებენ... ან დილით უზამენ ან საღამოს... უკვე 30 წუთია ეკრანიდან არ ჩამოსულა....

მე ვიცი, "ბატონო" პრეზიდენტო, სიძულვილი არაქრისტიანულია, მაგრამ მეზიზღებით 8 აგვისტოს გაწირული ბიჭების გამო, მეზიზღებით 26 მაისის სისხლიანი ღამის გამო, მეზიზღებით შიმშილით გარდაცვლილი პატარების და უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების გამო, უდედოდ დატოვებული ბავშვების და დანგრეული ოჯახების გამო.

მეზიზღებით, "ბატონო" პრეზიდენტო.

აბა, ჯვარი გვანახეთ სად გაქვთო, დასეოდნენ მაქციები და ანახებდა ისიც, კარგად აკეთებდა თავის საკეთებელ საქმეს, ძალიან კარგად. საქართველოს მტერს ებრძოდა, მათ ვინც თქვეს, რომ „გურჯების" და „გრუზინებისაგან" ახალი ქართველი უნდა შევქმნათ, ჩვენამდის რაც იყო, დაივიწყეთო. ჩვენამდის საქართველო არც არსებულაო, სტალინის მოგონილი იყო ყველაფერი და საბჭოთა ტყუილიო, გაიძახოდნენ ნაცისტები. აბა, რა არის ქართული, კონკრეტულად მითხარითო, კითხულობდნენ ნაცისტები და ქართველებიც გაკვირვებული უცქეროდნენ, პასუხს ვერა სცემდნენ. პასუხს, ვერ გაეცათ არა იმიტომ, რომ პასუხი არა ჰქონდათ, არამედ იმ მიზეზით, რომ გაჰკვირებოდათ, ნუთუ არ იციან რა არის ქართველობაო, სიტყვით ვერ გამოეთქვათ, სახელი ვერ დაერქმიათ იმისათვის, რაც იცოდნენ. იცოდნენ, რაც იყო და ვერ კი ეთქვათ ამ უბედურებაში გამოვლილ ხალხს. ვერ აბამდნენ სათქმელს თვს, რადგან სიტყვასაც ძალა დაეკარგა, აღარავინ არ უსმენდა ადამიანს. ცოცხალ მაგალითს ეძებდნენ, გულის სიღრმეში იცოდნენ, რა იყო ქართველობა მაგრამ არ ახსოვდათ მანამ, ვიდრე მაგალითი არა ნახეს. ქართულმა სულმა გამონახა გზა და გვაჩვენა საკუთარი თავი. თავს გადავდებთ და დავიხსნით საქართველოსო, აი, თქვენ ხის ჯვარი, ესაა ჩემი სარწმუნოებაო, უმდიდრესი კაცი ამბობდა. ადამიანი, რომელმაც მიატოვა სიმყუდროვე და ქართველისათვის საქართველოს დაბრუნება გადაწყვიტა. ვინც არ იცის და უნდა, რომ იცოდეს – მოყვასისათვის თავდადება სუფთა ქართული მოვლენაა. ბიძინა ივანიშვილი „პოლიტიკოსის" ჩაბეტონებულ პროტოტიპს ანგრევს. ანგრევს შიშის ძალით გამოქანდაკებულ გრანიტის მემორიალს, რომელსაც ნაცისტები 8 წელი აშენებდნენ. დიდი ძალა აქვს მაგალითს.

ერთი ტელევიზიებში დარეკეთ და გეტყვიან რატომ უძახიან ივანიშვილს მილიარდერს და მსოფლიოში განთქმულ შარლატან ტრამპს კი ბიზნესმენს.

სამი ათეული წლის წინ საბჭოთა საქართველოში ტრაგედია დატრიალდა, ახალგაზრდების ჯგუფმა სცადა სამგზავრო თვითმფრინავით დასავლეთში გაქცევა. ტრაგედიაზე არა ერთი სტატია დაიწერა და გამოქვეყნდა. ქართველი მკითხველისთვის საინტერესო იქნება 1983 წლის ნოემბრის ამ მოვლენის ერთ-ერთი თანამონაწილის – საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცრის მონათხრობი რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების ჟურნალ „Ï î ãðî í è ÷í è ê"-ისადმი (1992 წელი №12 (1076). თადარიგის პოდპოლკოვნიკი (ვიცე-პოლკოვნიკი) ვლადიმერ ზაიცევი აღწერს იმ პერიპეტიებს, რაც დაკავშირებულია ამ სამგზავრო თვითმფრინავთან. სტატიას ფრიად ნიშანდობლივი სათაური აქვს – „ალფა" თბილისში მიფრინავს".

მთარგმნელი დავით არაბიძე

გრიფით „საიდუმლო"-ს გარეშე „ალფა" თბილისში მიფრინავს"

„ყოფილი სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სპეცჯგუფ „A"-ს, იგივე „ალფას" შესახებ ბევრს სმენია. მაგრამ ეს ცოდნა, როგორც წესი, შემოიფარგლება შემდეგი ტიპის ზოგადი ფრაზებით: „მათ იქ ჰყავთ ქვედანაყოფი განსაკუთრებული ამოცანებისთვის..." შეიძლება ვინმეს გაახსენდეს პუბლიკაცია ვლადიკავკაზში ბავშვების განთავისუფლების შესახებ, ან „სარაპულსკის საქმე", როდესაც ტერორისტებმა მძევლებად ქალები აიყვანეს. აი, სულ ეს არის და ეს.

ამგვარი მასალები პერიოდიკის ფურცლებზე უაღრესად იშვიათად იბეჭდებოდა.

ამჟამად ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ბევრი ისევ „კადრს მიღმა" რჩება. მაგრამ ზოგიერთ საქმეზე გრიფი საიდუმლო უკვე მოხსნილია. თქვენს წინაშე წარმოდგენილ მასალაში მოთხრობილია ერთი ოპერაციის შესახებ, რომელიც ფართოდ არ გაშუქებულა ცენტრალურ პრესაში".

ვლადიმერ ზაიცევი
თადარიგის პოდპოლკოვნიკი

1983 წლის 18 ნოემბერი ჯგუფ „A"-ს ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო. მე, ჩემს ქვედანაყოფთან ერთად, გეგმური სწავლებით ვიყავი დაკავებული. გავდიოდით სხვადასხვა ტაქტიკურ-სპეციალურ და საცეცხლე მომზადებას, ვვარჯიშობდით სპორტდარბაზში, ვასრულებდით კროსს.

საღამოს, როდესაც სამსახურისგან თავისუფალი „ალფელები" სახლებში წავიდნენ, მე მორიგეს ოთახში ჩავედი. იქ შემხვდა ჯგუფის მეთაური – ჩემი მოგვარე და შემდგომში საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი ზაიცევი. როგორც კი ერთად გასასვლელს მივაშურეთ, მორიგემ მოგვმართა: სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორ მიხეილ ძე ჩებრიაკოვი გთხოვთ, სასწრაფოდ მას დაუკავშირდეთ. თხუთმეტი წუთის შემდეგ მეთაური კაბინეტიდან აჩქარებული გამოვიდა. სახე ნაცრისფერი, დაძაბული ჰქონდა.

– მიღებულია ინფორმაცია, რომ დღეს, 16 საათსა და 16 წუთზე, თვითმფრინავი ტუ-134, რომელიც ასრულებდა რეისს მარშრუტზე თბილისი-ბათუმი-კიევი-ლენინგრადი, რომლის ბორტზეც 57 მგზავრი და ეკიპაჟის 7 წევრი იმყოფებოდა, გატაცებულია შეიარაღებული დამნაშავეების ჯგუფის მიერ. ასე რომ, სახლში ვეღარ წავალთ, გამგზავრება მოგვიწევს...



ნახევარ საათში ქვედანაყოფში განგაშის სიგნალი გაისმა. მორიგე ჯგუფმა, შემუშავებული გეგმის მიხედვით, ოპერაციის ჩატარებისთვის მზადება დაიწყო. იმ დროისთვის ცნობილი გახდა, რომ ტერორისტების მიერ გატაცებული თვითმფრინავი თბილისში დაჯდა. ჩვენ სასწრაფოდ იქ გადაგვიყვანდნენ.

„ვნუკოვოს" აეროპორტში უკვე გველოდებოდა სამთავრობო ავიარაზმის სპეციალური თვითმფრინავი. 20 საათსა და 30 წუთზე ავფრინდით. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: „ალფას" მორიგე ქვედანაყოფი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ტრანსპორტზე კონტრდაზღვევის სამმართველოს ხელმძღვანელები და თანამშრომლები. ფრენისას ყველანი დაძაბული ვიყავით. დაძაბულობას აძლიერებდა ისიც, რომ არ გვქონდა სრული ინფორმაცია, რა ხდება იქ, თბილისში? პირველადი მონაცემების საფუძველზე მოქმედების სხვადასხვა ვარიანტებზე ვფიქრობდით. დავუკავშირდით ჯგუფ „ალფას" შტაბის თანამშრომელს, რომელმაც მოგვაწოდა გეგმები, ანუ როგორც ჩვენ მათ ვუწოდებთ, ტერორისტების მიერ გატაცებულ თვითმფრინავში მძევლების განთავისუფლებისთვის საჭირო მოქმედებების „მაკეტები". როგორც კი მუშაობა დავიწყეთ, სალონში ვითარება განიმუხტა, განწყობა გაუმჯობესდა.

შუაღამე დგებოდა, როდესაც თბილისში დავეშვით. ადგილზე დაგვხვდნენ კოლეგები საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან. მათი დახმარებით ჩამოვტვირთეთ ბაგაჟი, ანუ, როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, „საბრძოლო კომპლექტი". ამ აღჭურვილობის მოცულობამ და ხარისხმა ადგილობრივი ამხანაგები ჩვენდამი პატივისცემით განაწყო. როდესაც ოპერაციაზე გამოვფრინდით, ზუსტად არ ვიცოდით, რა აღჭურვილობა დაგვჭირდებოდა, ამიტომ თან წამოვიღეთ „ბევრი და სხვადასხვა რამ": ავტომატები, პისტოლეტები, სნაიპერული შაშხანები, ჯავშანჟილეტები, ჩაფხუტები, რადიოსადგურები, ჯავშანფარები, ყუთები სპეცსაშუალებებით, პიროტექნიკა, როლინგსები – ეს ყველაფერი შთაბეჭდილებას ახდენდა.

`alfa~ TbilisSi mifrinavs~

შევედით აეროპორტის შენობაში, სადაც სადეპუტატო დარბაზში ოპერაციის შტაბი იყო განლაგებული. მის შემადგენლობაში შედიოდნენ რესპუბლიკის პროკურორი, სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი, შინაგან საქმეთა მინისტრი და სხვა თანამდებობის პირები. „ალფას" მხრიდან გენადი ნიკოლოზის ძე ზაიცევი. შტაბის მუშაობას ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალ-პოლკოვნიკი ალექსი ნიკოლოზის ძე ინაური.

იგი მეტად ლეგენდარული ადამიანი იყო. სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მისი სამსახური ხუთ ათეულ წელს მოითვლიდა. მას უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა. გარეგნული მოუქნელობის, აუჩქარებლობისა და როგორც მე მეჩვენებოდა, ზედმეტი აუღელვებლობის ფონზე მთელი ამ დრამატული ისტორიის მსვლელობისას ოპერაციაში ჩართული ყველა ადამიანი მის მითითებებს სწრაფად და უსიტყვოდ ასრულებდა. დეპუტატთა დარბაზში მუდმივად იმყოფებოდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე თავის გარემოცვასთან ერთად. მთელი ღამის განმავლობაში იგი ერთხელაც არ ჩამომჯდარა, მთელი დრო ფეხზე მდგომმა გაატარა.

შევარდნაძემ ჩემზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. გარეგნულად გაწონასწორებული ჩანდა, თუმც იგრძნობოდა, რომ ღელავდა. იგი არც დაბნეული იყო და არც ფაციფუცობდა.

შტაბში ჩვენ მოგვიყვნენ რა მოხდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— რას ნიშნავს მემკვიდრეობა წარმომადგენლობით?

— წარმომადგენლობითი მემკვიდრეობა არის ისეთი შემთხვევა, როდესაც სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება მემკვიდრე და მის კუთვნილ წილს იღებს ამ მემკვიდრის მემკვიდრე. კანონი ასეთ სამ შემთხვევას იცნობს:

1. თუკი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე გარდაიცვალა მამკვიდრებლის შვილი, მაშინ მემკვიდრეობას წარმომადგენლობით იღებენ შვილიშვილები;

2. თუკი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე გარდაიცვალნენ მისი ბებია-ბაბუა, მაშინ ბებია-ბაბუის წილს მიიღებენ მათი მშობლები.

3. თუკი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე გარდაიცვალა მისი და ან ძმა, მაშინ მათ მაგივრად, მემკვიდრეობას მიიღებენ დისშვილები ანდა ძმისშვილები.

* * *

— სამკვიდროს მიღებაზე ვაცხადებ უარს. აუცილებელია თუ არა ამის დაფიქსირება ნოტარიუსთან?

— აუცილებელია.

სამკვიდროს მიღებაზე უარი უნდა გაფორმდეს ნოტარიუსთან

* * *

— ვლებულობ მამაჩემის სამკვიდროს? ვიბეგრები თუ არა? მაინტერესებს სამკვიდრო ქონებაზე მოქმედი საგადასახადო რეჟიმი.

— სამკვიდრო ქონება წარმოადგენს შემოსავალს, ხოლო შემოსავალი სახელმწიფოს მიერ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

მაგრამ თქვენ ხართ I რიგის მემკვიდრე და საშემოსავლო გადასახადით არ დაიბეგრებით.

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრებიან I და II რიგის მემკვიდრეები — დედა, მამა, მეუღლე, შვილი და და.

იმ შემთხვევაში, თუკი მემკვიდრეობა მიიღო გარდაცვლილის ბებიამ, დეიდამ ან მამიდამ, ანუ III და IV რიგის მემკვიდრეებმა, ისინი თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისაგან. თუკი მიღებული ქონების ღირებულება არ აღემატება 150.00 ლარს. თუ ქონების ღირებულებამ გადააჭარბა აღნიშნულ თანხას, მაშინ საშემოსავლო გადასახადით, ჩვეულებრივ, დაიბეგრება ის ოდენობა, რომლითაც ქონების ღირებულება აღემატება მითითებულ თანხას. დაგიკონკრეტებთ: თუკი თქვენს მიერ მიღებული ქონების ღირებულება შეადგენს 200.000 ლარს, თქვენ მოგიწევთ მხოლოდ 50.000 ლარის შესაბამისი გადასახადის გადახდა. ამ გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს ქონების მიღებიდან ორი კალენდარული წლის განმავლობაში, არა უგვიანეს ყოველი ხუთი თვის შემდგომი თვის 15 რიცხვისა, თანაბარ ნაწილებად.

ოჯახის წევრისგან მემკვიდრეობით მიღებული ქონება, ასევე, არ ჩაითვლება შემოსავლად ქონების გადასახადით დაბეგვრის დროს.

* * *

— რა ბედი ელის ქონებას, რომელიც მემკვიდრის გარეშე დარჩა?

— აქ იგულისხმება შემთხვევა, როცა მამკვიდრებელს არ ჰყავს კანონით მემკვიდრე და, ასევე, მას არ დაუტოვებია ანდერძი. ასეთ შემთხვევაში ქონება გადადის სახელმწიფოზე.

* * *

— შემიძლია თუ არა შევადგინო ანდერძი ნოტარიული დადასტურების გარეშე? როგორ უნდა მოხდეს ეს?

— შეგიძლიათ, მაგრამ აუცილებლად გაითვალისწინეთ შემდეგი:

1) ანდერძი შეგიძლიათ დაწეროთ თქვენი ხელით და მოაწეროთ ხელი; თუკი გადაწყვეტთ ანდერძი საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებით შეადგინოთ (სბეჭდ მანქანაზე, კომპიუტერზე აკრეფით და ა.შ.), მაშინ ადერძის შედგენა და მასზე ხელის მოწერა უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ანდერძი შედგენილი იყო მათი თანდასწრებით, ტექნიკური საშუალების გამოყენებით. დადასტურება უნდა მოხდეს ანდერძზე ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ, თქვენი და მოწმეების თანდასწრებით, ანდერძზე შესაბამისი წარწერის გაკეთებით და მოწმეთა სახელის, გვარისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით.

2) შესაძლებელია როგორც ღია, ისე დახურული ანდერძის შედგენა. დახურულ ანდერძს მოწმეები არ გაეცნობიან, ისინი მხოლოდ ესწრებიან მის შედგენას და ადასტურებენ ხელმოწერით, რომ ანდერძი შედგენილი იქნა თქვენს მიერ პირადად, მაგრამ ისინი არ გაცნობიან ანდერძის შინაარსს.

3) ანდერძში უნდა მიუთითოთ აუცილებლად მისი შედგენის თარიღი. თარიღის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს ანდერძის ბათილობა, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი წარმოიშვა ეჭვი, რომ ანდერძის შედგენის, მისი შეცვლისას ან გაუქმებისას, ასევე, რამდენიმე ანდერძის არსებობისას— მოანდერძე არ იყო ქმედუნარიანი და ასეთი ეჭვი ვერ გაქარწყლდა.

მკითხველის წერილები

misa, sena xar xalxis mteri!

სააკაშვილი რომ გამოვიდა პარლამენტში იმდენი რამე შეპირდა ხალხს და იმდენი ტყუილები მოაყოლა, ვედარ მოითმინა ბაღათურიამ და დაულაგა წინ თავისი ნამოქმედარი, რომ ის არის კორუმპირებული პრეზიდენტი. მიშა, შენ გეკითხები, ოპოზიციიდან ვინც გამოვიდა, ტყუილი რომელმა გითხრა? გამოვარდი სხდომიდან, ცივი წყალი დაგალევინეს, დაგამშვიდეს. მთელმა ქვეყანამ დაინახა შენი უტიფარი საქციელი. ავღანეთში ჩახვედი და შენმა მარიაჟობამ 3 ახალგაზრდა ჯარისკაცი შეიწირა, ნუთუ სინდისი აღარ გაწუხებს, რატომ ჩაგრავ და სპობ ქართველ ხალხს? ამერიკას ეროვნება არ გააჩნია, შენც იქით მიგყავს საქართველო. მიშა!.. შენი დიპლომატია ნულია. პარლამენტში ამდენი პადხალიმები რომ გყავს და ყველაფერზე ტაშს გიკრავენ, გსიამოვნებს პატარა ბავშვივით, ბრეჟნევის დრო გამახსენდა, ყოველ სიტყვაზე ტაშს რომ უკრავდნენ. პადხალიმი კაცი სანდო არ არის. გურულ კაცს გურულობა შემაზიზღეს, ამდენ პადხალიმებს ხელი ჰქონდათ გამოშვერილი, რომ მიშას ხელი ჩამოერთვა და გაჰკიოდნენ — მიშა, მიშა. არ დაგეკარგოთ, თქვენ თვალები ვერ გაგიხელიათ, სხვას რას დაინახავთ. ამერიკა რომ კარგის მოსურნე იყოს, შენ ომს არ დაგაწყებინებდა, თუმცა რატომ არა, მილიარდებს გიგზავნიან და ფეხებზე არ გკიდია ხალხი?

ახლა გადავიდეთ მტკივნეულ თემაზე, შენ რომ გაწუხებს. გამოჩნდა ივანიშვილი, ატეხე ხალხის დაჭერები, მე დიდ პატივს ვცემ პატრიოტ ხალხს — ბატონ ლაშა დარბაიძეს, რომელმაც ქართველ ხალხს ამერიკაში პატარა საქართველო შეუქმნა, მონასტერი ააშენა და ხალხი, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს, დადიოდა ამ მონასტერში. ლოცულობდნენ იმის გულისთვის, რომ ლაშამ ბატონი ბიძინას სურათები გამოფინა, წინა დღით გაუფორმეს ბრძანება — გაათავისუფლეთ და საპატიო სტატუსი ჩამოართვით და ჩამოაშორეთ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას. თურქებს ლანგრით მიართვი აჭარა. ჩადით, ერთი, აჭარაში როგორ გულაობენ ჩვენი ისტორიული მტრები. სტალინს არ დასცალდა, მას გეგმაში ჰქონდა, მითვისებული მიწები დაებრუნებინა, შენ აიღე და სტალინის ძეგლი ჩუმად, ქურდულად გადააგდე. შენი დიპლომატია ნულია. შენ ყველაფერს თავდაყირა აკეთებ, მოსპე და გაანადგურე საქართველო, შე არაკაცო. იცოდე, დიდი რისხვა გელოდება. რაც შენ 26 მაისს ჩაიდინე, იმის მერე შენ კაცი აღარ გქვია, ესეც არ იკმარე და 9 აპრილს ზონდერბრიგადები დაახვედრე, მოხუცი ქალი მანქანაში შეაგდებინე, ხალხს დაემუქრნენ, პანაშვიდზე მოსულებს, „სახალხო კრებას“ და დემოკრატიული მოძრაობის წევრებს გზა დაუკეტეს. — 26 მაისს რაც მოგივიდათ, იმას გაგიმეორებთო. ამაზე რას იტყვიან ეს მონები — დარჩიაშვილი, მინაშვილი, რუპორი კუბლაშვილი, მეფუტკრე ხაბაზი, წიკლაური, ცისკარიშვილი და პოლიტოლოგი კი არა პროჭიტოლოგი მიშა თავხელიძე. მე იქ ვიყავი, დავინახე ქალბატონი ნინო როგორ აღელდა, რომ დაწყნარებულიყო, ფეხით წავიდა რუსთაველისკენ თავისი 2-კაციანი დაცვით, მიშასავით 200-კაციანი დაცვა რომ ჰყავს. კარგად იცოდეთ მინაშვილები, კუბლაშვილები, დარჩიაშვილები, ცისკარიშვილები, წიკლაურები, თქვენ რომ ტვინი გაქვთ, ის ნინოს ნეკა თითში აქვს, თქვე მონებო, დააქციეთ ქვეყანა, გამოდიხართ პარლამენტში და აღარ იცით, მიშას როგორ ეპადხალიმოთ, თქვე არაკაცებო. ნინო უშიშარი ქალბატონია, მას თავისი ხალხი უყვარს, გული შესტკივა, ერუდირებული და ჩამოყალიბებული ქალბატონია, იქ მყოფმა ხალხმა ნამდვილად დიდი სიყვარული გამოხატა ნინოს მიმართ. ის ნამდვილი ლიდერიაო. იქ იყო ბატონი რეზო ესაძე, რომელმაც მითხრა: ვნანობ, რომ ცოცხალი ვარო. იყო ბატონი ელიზბარ ჯაველიძეც, მე მოვუწოდებ ყველა ოპოზიციურ პარტიას: მიშას წისქვილზე ნუ ასხამთ წყალს, შეიკარით ერთ მუშტად, მერე თუგინდ ნოე აირჩიეთ, თუ გინდათ გერასიმე, ნუ იქცევით მტრის გასახარად.

საკაშვილს მინდა ვუთხრა: მიშა, იცოდე, არჩევნებს ვერ მოიგებ და ხალხის რისხვა წინ დაგხვდება.

ხალხი მშიერი კვდება, შენ კი ტაშფანდურები გაქვს გამართული ნატო მეკოკიშვილი, რომელსაც შიმშილით უკვდება ქმარ-შვილი დახმარებას, შველას ითხოვს, მადლობას ვუხდით დახმარებისათვის ქალბატონ ნუნუ მიქაძე-ქავჯაიას, თამარ მუმლაძეს და ბატონ მურმან ლომიძეს ნატო მეკოკიშვილის დახმარებისთვის. ანგარიშის ნომერია 111186637047000.

ირაკლი (იბო) დოლიძე

plagiatoba

რა ფასი აქვს ადამიანს,
რომელიც მტერს არა სძულს.
კოვალევსკი

სვანი კაცი

სვანი კაცი უთქმელია ბუნებით,
სვანი კაცი სხვა საწყავით აიწყოს,
სვანი კაცი უთქმელია ბუნებით,
მაგრამ იტყვის, ცამ ქუხილი დაიწყოს.

გიერთგულებს, მიგინდობს და გენდობა,
სვანი კაცის სიყვარული მწველია,
სვანს არ უყვარს განდგომა და კენტობა,
საქართველოს ძველი დროშის მცველია.

ძმობას გეტყვის და ძმასავით ინდობა,
გასაჭირში ხელსაც გამოგიწოდებს,
მაგრამ ერთხელ თუ შეგატყო ფლიდობა
იქუხებს და არ დაგინდობს, იცოდე.

დიახ, ვერ დავინდობ ჩემი ძმის, მწერლის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ერისთვის თავდადებულისა და განსაკუთრებით სვანისთვის ნამოღვაწარი პატრიოტის ასე საჯაროდ, საქვეყნოდ გამქურდავს. თქვენთან მოტანილი წერილის შინაარსისთვის მადლობელი ვარ რომ დაბეჭდეთ, მაგრამ ამდენი რამის შემქნელ ადამიანს, რომელიც იყო ღვთისაგან მომადლებული მოშურნეებით სავსე. ამდენს როგორ წერსო, უკვირდათ, რადგან წიგნებით მაღაზიებში თაროები იყო ჩაზნექილი და არ იყიდებოდა, ხოლო აკაკის წიგნები (70-ზე მეტი), რაც არ უნდა დიდი ტირაჟი ყოფილიყო, კვირაზე მეტს ვერ ჩერდებოდა თაროზე, მაშინაც ჭამდნენ და ეხლაც ლექსი მოპარეს. საქართველოა ბროლის სასახლე, ხოლო სვანეთი მისი ზედა სართულია — ამ ლექსის ავტორს ნუთუ ეს უნდა გაუკეთოთ?

1963 წელს გამოვიდა აკაკი გელოვანის წიგნი: „სვანური ბალადები“, სადაცაა ეს ლექსი. შემდეგ იბეჭდებოდა დრო და დრო გაზეთებში, ხოლო მისი გარდაცვალების მერე — რადგან დიდი მოთხოვნა იყო, მეც დავაბეჭდინე გაზეთ „ლილეოში“ რამოდენიმეჯერ. ყველა ეს მასალები მივიტანე ვითომ ეროვნულ და „სამართლიანობისთვის მებრძოლ“ აქუბარდიასთან, ყველაფერი გადაღებული. იმავე ღამით უნდა გაეშვათ, გაუგიათ მარგიანსა და მის სპონსორ ჩეგიანს — მივიდნენ და ჩაფარცხეს ძალიან საეჭვოდ — რითი? ყველა მიხვდება... წიგნი, რომელიც გამოსცეს, მცხეთაში რესტორანში იქეიფეს და 300 ადამიანს დაურიგა საჩუქრად გაყალბებული ამ ლექსის ავტორად მარგიანი და სხვა შეცდომებით სავსეა — მაღაზიებში, ჩემი პროტესტის მერე — გადაუსვეს ხაზი და მიაწერეს გელოვანი, იმის მაგიერ, რომ მთლიანად წაეშალათ, ხოლო იმ 300-დან ვინ წაშლიდა? შექსპირს ამდენი წლების მერე ეცილებიან — ავტორი ტრაგედიებისა არა ხართო და ფსალმუნებში, რომელსაც სათაურად დავითისა არ წერია, მისი არაო და მე რა ვიცი, ოდესმე ვინ რის გამოჩხრეკს ასე ფარშივად მიფუჩეჩებულზე? თუ თქვენ ეროვნული და სამართლიანი ხართ, ეს წერილი დაბეჭდეთ, რომ ხალხმა გაიგოს ეს ცეკას ნამდვილარი რა ქურდიცაა და მისი სარედაქცია კოლეგია და რეცენზენტები ისტორიაში დარჩებიან, როგორც სიყალბეზე ხელის მომწერნი. სვანების მიკვირს და რ.თოფჩიშვილის, რომელიც მეგობრობდა აკაკისთან. ხოლო სვანებო, ის მაინც ვერ შეამჩნიეთ, რომ მეორე კუპლეტის მესამე სტროფის ბოლოს „კენტობა“-ს მაგიერ „კენტორბა“ რომ უწერია და ვიღაცას სვანური ეგონება? ეს მაინც გაგესწორებინათ. მე ვწერ წიგნს ჩემს ძმაზე, სადაც ყველა მიიღებს თავისას — ეს იცოდეს ყველამ.

აკაკი გელოვანის გამწარებული
და ელისო გელოვანი

დეპრესიისგან თავის დაღწევაში ყავა დაგეხმარებათ

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ქალბატონები, რომლებიც 1 ფინჯან ყავასაც არ მიირთმევენ, მეტად არიან მიდრეკილნი დეპრესიისკენ. თუ რატომ, ჯერ დადგენილი არ არის, თუმცა ამას ქიმიურ პროცესებს უკავშირებენ, რომელიც ტვინში მიმდინარეობს.

ამასთანავე ამტკიცებენ, რომ იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ხშირად სვამენ ყავას, იშვიათია თვითმკვლელობის შემთხვევები. ამას კოფეინს მიაწერენ, რომელიც ადამიანებში ცხოვრებით კმაყოფილების გრძნობას იწვევს.

დეპრესიის მიზეზად არასასიამოვნო სიზმრებსაც მიიჩნევენ, რასაც კოფეინი სწრაფად ანეიტრალებს.

მეცნიერთა ნაწილი ყავის მავნეობაზე ლაპარაკობს, ნაწილი პირიქით, ამტკიცებს, რომ ყავის ნაყენი ჯანმრთელობის ელექსირია. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, ვის როგორ უხდება ყავა, ზოგჯერ წამალიც ერთისთვის რომ მავნეა, მეორეს მალამოსავით ედება.

ბანანის არაჩვეულებრივი თვისებები

ბანანი თითქმის ყველაზე გავრცელებული ხილია მსოფლიოში. ის გემრიელია და იაფი. ბევრი ფიქრობს, რომ ის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო პროდუქტია, მაგრამ რამდენად არის სასარგებლო მასში შემავალი კალიუმი?

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ბანანში მრავლადაა სეროტონინისა და ნორეპინეფრინის ჰორმონები, რომლებიც დეპრესიას ებრძვის, მაგრამ ამოხსნეს კიდევ ერთი საიდუმლოც — ბანანი მკურნალობს კუჭის წყლულს, ანადგურებს მავნე ბაქტერიებს, ხელს უწყობს სისხლის ნორმალურ მიმოქცევას და არეგულირებს წნევას.

114 წლის ამერიკის ყველაზე უხუცესი მაცხოვრებელი გარდაიცვალა



მონტანაში ამერიკის ყველაზე უხეცესი მაცხოვრებელი უოლმერ ბრიუნინგი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ რამდენიმეთვიანი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

სიცოცხლეში იგი აცხადებდა, რომ მისი ხანდაზმულობის მიზეზი სწორი კვება და შრომისმოყვარეობა იყო. იგი ამბობდა: სიცოცხლის განმავლობაში უშრომელად 1 დღეც არ გამიტარებია და დღეში ორჯერ ვიკვებებიო.

„როცა იქნება, ყველა მოვკვდებით. ზოგიერთ ადამიანს ამის სასტიკად ეშინია. არ ღირს ამაზე ფიქრი და ლაპარაკი, ისედაც ხომ ყველა წავალთ ამ ქვეყნიდან“. — ამბობდა ბრიუნინგი.

მფრინავი გოგონა

საოცარია, მაგრამ რუსეთის ტყეში ვიდეომოყვარულმა მფრინავი გოგონა დააფიქსირა.

„ძაღლს ვასეირნეობდი, როდესაც ცაში ასეთი რამ შევნიშნე, დაბლა ქალი იდგა, როგორც ჩანს, დედა იყო. ძაღლმაც შეამჩნია, დაუყეფა და როცა მათ ჩემი კამერა დაინახეს, გოგონა მაშინვე დაეშვა მიწაზე, დედამ ხელი ჩაჰკიდა და გაუჩინარდნენ“. — ჰყვება ევგენი, რომელმაც მფრინავ გოგონას ფოტო გადაუღო.

ბუდასა და დაოს სკოლებში მფრინავი ადამიანები თითქოს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ პატარა ბავშვს ამ ცოდნის მიღწევა არ შეუძლია. ზოგიერთი ამბობს, რომ ასეთი შესაძლობები შეიძლება იყოს წინა ცხოვრების გადმონაშთი.

ბოილის წინასწარმეტყველება 350 წლის შემდეგ ახდა

ინგლისელმა მეცნიერმა, ფიზიკოსმა, ქიმიკოსმა, ფილოსოფოსმა და ბიოლოგმა ბოილ-მარიოტის კანონის ავტორმა რობერტ ბოილმა ბევრი თანამედროვე ტექნიკური მიღწევა 350 წლის წინათ იწინასწარმეტყველა.

ბოილი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეცნიერია, რომელმაც მე-17-ე საუკუნის იშვიათი აღმოჩენა გააკეთა, თუმცა ამით არ ამოწურულა რობერტ ბოილის აღმოჩენები. ბოილის არქივში აღმოჩენილია 24 სიახლე, რომელიც ჩვენი დროის ტექნიკური პროგრესითვის ჯერ უცნობია.

ბოილი თავის საიდუმლო არქივში აცხადებს, რომ ადამიანები გამოიგონებენ მფრინავ აპარატებს და წყალქვეშა გემებს. მანვე იწინასწარმეტყველა გენმოდიფიცირებული პროდუქტების შესახებ, საძილე და ტკივილდამაყუჩებელი პრეპარატების გამოგონების თაობაზე. ბოილის საიდუმლო არქივში ინახება დიდი მეცნიერის წინასწარმეტყველური აღმოჩენა იმაზე, რომ ადამიანები შეძლებენ ავადმყოფებს ორგანოები გადაუნერგონ, იქვეა მოხსენიებული სანავიგაციო საშუალებები და აქვალანგებიც.

რობერტ ბოილის არქივი მოწმობს იმას, რომ მეცნიერი, რომელიც 1691 წელს გარდაიცვალა, გაცილებით მასშტაბურად აზროვნებდა, ვიდრე მისი თანამედროვენი.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**



ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი — დაგეუფლებათ სურვილი, დაეხმაროთ იმათ, ვისაც თქვენი დახმარება სჭირდება და გულწრფელი გრძნობა გამოუცხადოთ გარშემო მყოფებს.

კურო — თამამად შეგიძლიათ შეუდგეთ თქვენი გეგმების განხორციელებას. ნაყოფიერი გამოდგება თქვენი სტუმრობა სახელმწიფო მოხელეებთან და სოციალურ დაწესებულებებში.

ტყუპები — მოგეძალებათ სწრაფვა ფუფუნებისა და განცხრომისკენ. თუმცა ვარსკვლავები მოგიწოდებენ ოჯახური საქმეებით დაკავდეთ.

კირჩხიბი — თქვენი დაუფიქრებელი ქმედებები ახლობლებს სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს. კარგია, ბუნებაში თუ დაისვენებთ.

ლომი — სასურველია უარი თქვათ ხმაურიან წვეულებებზე მეგობრების წრეში. ბევრი საზრუნავი გაგიჩნდებათ.

ქალწული — ამ კვირაში შეიძლება, გამოაშკარავდეს თქვენი პარტნიორების ფინანსური მაქინაციები, თუმცა ეს თქვენ არ დაგაზარალებთ.

სასწორი — თქვენი საქმიანობა წარმატებული იქნება. გაიზრდება თქვენი ავტორიტეტი. კარგი დროა შემოქმედებითი წამოწყებისათვის.

მორიელი — თქვენ დაფიქრდებით თქვენს ცხოვრებისეულ დანიშნულებაზე. საკუთარ თავს შეეკითხებით, თუ როგორი მეუღლე ან მეგობარი ხართ.

მშვილდოსანი — ეს კვირა სასურველია ერთობლივ შემოქმედებით საქმიანობას დაუთმოთ. კოლეგები დაგეხმარებიან მიზნის მიღწევაში.

თხის რქა — სიყვარულით და კმაყოფილებით სავსე იქნებით. ამ კვირაში ძალიან გულკეთილი და ხელგაშლილი გახდებით გარშემო მყოფების მიმართ.

მერწყული — საკუთარ მოსაზრებებს სხვებს მოახვევთ თავს. თავი შეიკავეთ ისეთი დაპირებებისგან, რომლებსაც ვერ აასრულებთ.

თევზები — ერთი მცდარი ნაბიჯის გამო თქვენ შეიძლება დაკარგოთ ის, რისთვისაც წლების განმავლობაში იღვწოდით.

ამავე ნომრის სპანვორდის პასუხები:
სპანვორდი

1.ბოჰემა. 2. პაშტეტი. 3. პატისონი. 4. შილკა. 5. ტორბასები. 6. ამილახვარი. 7. ფილიპე. 8. სამი. 9. ბერკლი. 10. ჯომარდი. 11. ჩეინი. 12. ფაბიანო. 13. დახვარი. 14. ვანი. 15. ხოკერა. 16. ხერხემალი. 17. წეროვანი. 18. სიხარბე. 19. ჯიგარი. 19ა. ნიგერი. 20. სიმბიოზი. 21. არამეული. 22. სერი. 23. თათი. 24. ბლახა. 25. ტრენერი. 26. ლონდონი. 27. ხრალი. 28. ხაზარი. 29. თარხანი. 30. რობენი. 31. შამილი. 32. ჩალამძივი. 33. გემოვნება. 34. კარლო. 35. კენი. 36. მინგეჩაური. 37. ბულბა. 38. კატია. 39. ფლაკონი 40. კეკე. 41. მძივი. 42. კროასანი. 43. პრინცესა. 44. ალცჰაიმერი. 45. გალოპერი. 46. ასფიქსია. 47. ვიბრაცია. 48. კონტეინერი. 49. ამაზრზენი. 50. აპიენსი. 51. ვიცე. 52. რაპირა. 53. ბესი. 54. ნაქუჩი. 55. მატეო. 56. ბაქსი. 57. ჯულია. 58. ჰეკლა. 59. მერი. 60. ადრესი. 61. საირხე. 62. მილი. 63. სმიტი. 64. მუმია. 65. თალხი. 66. მათე. 67. ბრაუნი. 68. ნატალია.